



სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურული

კურსები  
1913



ვ ა ი ს ი ვ



**შინაარსი:** 1) პროფ. გურჯარტეი. VIII პირფენება — ლ. ბოცვაძე. 2) ჭლემი და მასთან ბრძოლა — ექიმი შ. მიქელაძე. 3) ფიქრი სკოლაზე (რუსულით) — ვანათში ნამყოფი. 4) ნიკოლაზ ბარათაშვილი — ილ. ფერაძე. 5) ხატება და ქერწვა პირველ- შედ დაწეულით სწავლის დროს (რუსულიდან) — ნ. ბ — ძე. 6) მოგონებანი ილია ჭავჭავაძე — არტურ ლეისტი. 8) კეისარ იმპერატორი, ტრაგედია სამ მოქმედებად (დასრული) — ალ. შანშიაშვილი და მ. შევარდნაძე. 9) ქართველი კაცი, ღვინის ქვევრი და ბოჩკა (რაკი) — ვაჟა-ფშაველა. 10) ბეჭდული ადარუსტევნიძე — გ. მოუსვენარიძე. 11) ქალთ თავადი — გ. გორგაძე. 12) კვლავ წუვდიადია — აკ. სვანი. 13) განუერელად ჩემთან არის! — ლადო გეგეჭკორი. 14) ჭავას როლი ქართული ზმინის უდილიალების დროს — პეტრე მირიანიშვილი. 15) შინური მიმოხილვა — ნირველ-დაწებითი შადალი სასწავლებელი და ქართული ქნა — ი. გ — რი. 16) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში — სამსონ დადიანი. 17) ჯიხაიშელი „მორინაზი კარა“ და 1881 წ. სამსოსწავლი გეგმა — რობერტ. 18) განცხადებანი.

**დამატება.** ქუთაისის განუთვილების 1912 წლის ანგარიში. ოქმი ფოთის განულების საზოგადო კრებისა (დასრული). განცხადება.

**რედაქციისაგან** — ამ ნომერთან ერთად დაპირებისამებრ წლიურ ხელის მომწერლებს ადგილობრივს აგენტებთან ეგზავნებათ დიდი სურათი იაკობ გოგება- შვილისა. რაღანაც სათითაოდ სურათების დაგზავნა მოუხერხებელი აღმოჩნდა, რედაქცია სხვებისთვინაც სურათებს გზავნის მახლობელ აგენტის სახელზე, რომლიდანაც შეიძლება სურათის მიღება. ამიტომ ხელის მომწერლებს ვსთხოვთ სურათები მოიკითხონ: კავკავში — ვ. ბურჯანაძესთან, ბაქოში, ა. ე. გვარამაძესთან თელავში — ნინო გონიაშვილთან, გორში ნ. ლომოურთან, ყვირილაში ს. ორჯონიკიძესთან. სამტრედიაში წ. კ. საჩ. კიოსკში. ხონში — ლ. ჩიმაკაძესთან. ახ. სენაკში — სპ. ენუქიძესთან. აბაშაში ვ. ქობულიასთან, ბათომში — წიგნის მაღაზია „განთიადი“ ფოთში მლ. ლ. წულაძესთან. ლანჩხუთში მ. იმნაძესთან. ახალციხეში კ. გვარამაძესთან. ოზურგეთში — დ. თალაქვაძესთან სოხუმში ნიკო ჯანაშიასთან. ჩოხატაურში ს. თავათრქილაძესთან, სურამში ნატ. გიგაურთან. ონში ილია გოგიასთან. ზუგდიდში ელენე ვასაძესთან.

სიღნალის მაზრის ხელის მომწერლებს დიდი სურათი იაკობ გოგება-შვილისა გეგზავნა „ხმა კახეთის“ რედაქციაში, საედამაც შეუძლიათ წარლონ.

რედაქცია გამოირებით აცხადებს, რომ „განათლების“ იანვრის ნომერს ვერავის გაუგზავნის, რაღანაც ეს ნომერი აკრძალეს და წაიღეს მთლად თუ კიუკანვე დაგვიბრუნეს, რედაქცია დაუყონებლივ დაკამაყოფილებს მკითხველებს.



სამეცნიერო-პედაგოგიური წ სალიტერ. ჟურნალი

# გვალება

(წელიწადი მექანიკური)

V

გ ა ი ს ი

1913 წ.

უურნალი წლიურად ღირს 4 მან.  
ნახევარი წლით . . . 3 მან.  
სახალხო სკოლების მასწავლებლებს  
უურნალი დაეთმობათ წლიურად  
3 მან.

ცალკე ნომ-  
რის ფასი  
40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ფილისი „წერა-  
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და  
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და  
უურნალის ფული უნდა გამოიგზონს ამ ად-  
რესით: თბილის და ქართველი უნივერსიტეტის გამოცემა. ლ. გ. ბოცვაძე.

IX

## პირვენება

ელჩიდა, რომლის გამო დიდი ტან-  
ჯვა ავიტანეთ წარსულ საუკუნეში, მაღალ  
მიზნებს არ მისდევდა და არჩეულს გზა-  
საც მრუდედ მიკყვებოდა. ამასთან ამ გვა-  
რი აღზრდის წყალობით ზოგჯერ თუ  
ჩნდებოდნენ საშუალო ღირსების პირვე-  
ნებანი. მაგრამ არ იყო გაჩაღებული ისე-  
თი კერა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო  
პირვენების შემუშავებისა და განვითარე-  
ბისათვის, რაც საჭიროა ყველა მაღალ  
გონიერების აღაშიანისათვის, რომელიც მასსის  
წინამძღვრად არის მოწოდებული. მუდამ  
გამეორებული პასუხი, რომ სკოლები სა-  
შუალო აღამიანისათვის არის დანიშნუ-  
ლიო,—როგორც უსაბუთო აზრი, დაგ-

მობილი უნდა იქმნას. რასაკვირველია,  
სკოლამ ანგარიში უნდა გაუწიოს საშუა-  
ლო აღამიანსაც. სკოლაში ყველამ ისეთი  
განვითარება უნდა მიიღოს, რაც მისი  
ბუნების შესაფერისია. მაგრამ სუსტა  
სარგებლობას მსხვერპლიად არ უნდა შე-  
ეწიროს ძლიერთა განვითარება.

შინაური აღზრდა უფრო გარეგან ზრდი-  
ლობიანობას აქცევს მეტს ყურადღებას;  
კარგი მიხრა-მოხრა და თავის დაკერა,  
რასაკვირველია, სასარგებლოა და საჭი-  
რო, მაგრამ იგი საზოგადოებრივის საერ-  
თო კარგ ზნებიდან უნდა გამომდინა-  
რებდეს—არა როგორც ხელოვნური ნა-  
ყოფი აღზრდისა, არამედ როგორც ცხოვ-

რების სავალდებულო არსებულს ფორმებთან შეეუება. აქაც მაგალითის ძალამ უნდა დაჩრდილოს შემდეგი ლზრდა, განსაკუთრებით მისი თეორიულად შესწავლა. კარგი მიხრა-მოხრაც უნდა წარმოადგენდეს არა მარტო გარეგან ფორმებს, არა მედ შინაგან ცხოვრების თავისუფლად გამოთქმასაც. სხვა ნაირად ეს „მიხრა-მოხრა ნათხოვარია“, როგორც ვალტერი ამბობს, გარეგნული ელვარებაა, რომელიც სერიოზულ გამოცდას ვერ აიტანს. ახალგაზდა სტუდენტების და კადეტების გარეგანი მიხრა-მოხრა, რომელიც შესამჩნევად ვრცელდება მოქალაქეთა წრეებში, სასაკილოა და საზოგადოების რომელსამე შეუფერებელს წრეში გადატანილი უფრო სასაკილო ხდება. წოდებრივი ჩვეულებანი და მიხრა-მოხრა ჯარის კაცთა უფროსებისა და აზნაურთა, უცვლელად შეტანილი მოვაჭრეთა წრეში, რაღაც უცხოა და საზარალო. პირიქით, ყველა ხალხმა და ყოველმა საზოგადოებრივმა კლასმა უნდა შეჰქმნას თავისი საკუთარი ჩვეულებანი და მიხრა-მოხრანი, რომელიც მათი ცხოვრების პირობებთან შეთანხმებულ უნდა იქმნეს. აქაც ბუნებრივობა ჰქონდა კეთმარიტკეთილშობილობის გამომხატველია, იგი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ჰქმნის ურთიერთშორის მართებულობის ფორმებს. თუ ვისმე უნდა ბავშვებში გარეგანი მიხრა-მოხრის ფორმები გაავითაროს, ამით იგი შეცდომას სჩადის, რადგანაც შეიძლება ბავშვის შინაგანი სწორ-წონაობა მოშალონ და ბავშური უმანკოებაც მოუსპონ. ამ გაზვიადებული მეცადინეობის შედეგად, რომ ბავშვებს მოხრდილთა მომწიფებული ჩვეულებანი და მიხრა-მოხრანი გადასცენ, ჩვენ ვხედავთ სასაკილოსა და წლოვანების შეუფერებელს ჭკვიანს მოდის ბავშვებს—ტიკინებს და ქალაქის მო-

ხეტიალ სალუქ ბიჭებს. ზრდილობის უსაკიროები გარევანი ფორმები პატარა ბავშვებს ჩვეულების გზით უნდა გადაეცეს. დანარჩენი კი ბავშვის მიმბაველობის ინსტიქტის, საზოგადოების მაგალითისა და საზოგადო ფიზიკურისა და სულიერ განვითარების საქმეა, ვგულისხმობთ, რასაკვირველია, რომ ბავშვი ამისთვის ხელსაყრელ წრეში ტრიალებს.

ყველა ამას არც იმდენი მნიშვნელობა აქვს, რომ ამის გამო სრულიად დავივიწყოთ და უკუ ვაგდოთ უფრო უსაკიროები. ყველაზე უსაჭიროები კი პიროვნების განვითარებაა. კაცი განსაკუთრებით მარტო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ თანასწორთა შორის თანასწორი გახდეს. ეს არც იმდენად სასაყვედუროა, რომ იგი სხვებში განსხვავდება. ხშირად საზოგადოება ასე ეპყრობა ისეთს კაცს, რომელიც საზოგადო დონეში განსხვავდება—მაგრამ ამას წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ. საზოგადოთ ყველა კაცი საჭიროებს, რომ ინდივიდუალურ თავისუფალ განვითარებისათვის შეძლება და უფლებაც ჰქონდეს. ჰეტეს დაკირვებით ინგლისში ადამიანს შეძლება აქვს სრული პიროვნება გახდეს; კერძო შემთხვევებში ეს ხშირად სისულელემდინაც მიღის, მაგრამ ეს ბუნების სასწორზედ მაინც რაღაცას ნიშნავსო, ამბობს იგი. აწინდელი ცხოვრება რამდენადაც მეტსა ზრუნავს ადამიანთა ერთვარ ჩატმულობაზე, ყველა ხალხის ფიზიკურსა და სულიერს ერთობაზე, იმდენად უფრო იჩავრება კერძო ადამიანის თავისებრივი პიროვნება. გერმანიაში იდგილობრივი თავისებურობა, რომელიც ტანსატმელში და იდგილობრივს კილოკავებში გამოიხატება, უკვე ჰქონდება. ევროპული ტანსატმელი ინტერნაციონალური ხდება. ზანგიც სერიუქს, ცილინდრისა და

ლაიკის ხელთათმანებს ატარებს. სასტიკად მოწყობილის პარტიულის ცხოვრებისა და სახელმწიფო კანონების ძალაშიანების წყალობით კერძო პიროვნების ნება დაბადებიდან საფლავის კარამლინ სასტიკად განსაზღვრულს და შაბლონურს ჩარჩოებში მოქცეული. ამას თან დაერთვის სასტიკი ბრძოლა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ, რომელიც იძულებს უმრავლესობას სამსახურში შევიდეს უფლების მქონებლებთან, რომლებიც უკარნახებენ მას ცხოვრების შინაარსსა და ფორმებს. ამ სახით ის გარემოება, რომ ჩვენ დროში ძნელად ვითარდებიან თავისუფალნი და დამოუკიდებელნი პიროვნებანი, უველა ჩვენი სოციალური და ეკონომიკური განვითარების შედეგია. ჩვენ სრულიად გადავვიწყდა კიდეც თუ არსებითად პიროვნება რას წარმოადგენს. ყოველ დღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვჯერდებით ურთიერთობას ადამიანთა შორის, რომელიც თავიანთი საზოგადოებრივი კლასის ავტომატურ თვისებას წარმოადგენენ, და გვიკირს, როცა რომელიმე წარჩინებული სამხედრო პირი, ან რომელიმე ტაინის სოვეტნიკი ისეთს რამე იტყვიან, რაც მათი წოდების წევრთა აზრს არ ეგუება. ჩვენ დროში ლიბერალი ტაინი სოვეტნიკი არა ჩვეულებრივი და დაუჯვერებელი მოვლენაა. აზრთა შეთხევამ საზოგადოების ყოველს კლასში ტირანიული ძალა მოიპოვა. ხშირად თითქმის განსაკუთრებით მასის აზრი გვხვდება წინ. ცხოვრებაც უმრავლესობის გადაწყვეტით და ბრძანებით მიმდინარეობს. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ გერმანელი ცხოვრების დაბრკოლების რაოდენობის კმაყოფილიც არ არის; ყოველს ახალს შემთხვევაში იგი ცდილობს უზრუნველი

გახდეს განსაზღვრული სტატუტებით, და არსებული კავშირებით და საზოგადოებით. ჩვენს დროშიაც ხშირად ხალისით გაიძახიან, რომ გერმანელი ბუნებრივი ინდივიდუალისტია და მას პრაქტიკულ პოლიტიკისა არა გაიგება რაო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ პოლიტიკური ცხოვრება რავდენსამე პარტიებად დაყოფილი, მე კი მგონია, რომ გერმანელებიც, როგორც სხვა ამ მოდგმის ხალხი, როგორც ინგლისელები და ჩრდილო-ამერიკელები, ისეთივე ძლიერნი არიან კერძო პიროვნების ნება მასის ნებას დაუმორჩილონ. თუ ჩვენს დროში გერმანელები პოლიტიკაში პასივობას იჩენენ, ეს არის შედეგი პოლიტიკურად დაჩაგვრისა, რასაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იტანდნენ. იშვიათად მინიჭებია ჩვენს ხალხს ბედნიერება საკუთარის ნებით ცხოვრებისა და როცა ხანდახან თავს იჩენდა ძლიერი ნაციონალური ნება, მაშინვე მთავრობა და ყკლესია საწინააღმდეგო მოძრაობას შექმნილნენ და შინაურს ბრძოლასა და განხეთქილებას ასტერნენ ხალხში. ჩვენ დღემდინაც ვიტანჯებით ამ საბედისწერო პოლიტიკით. დიდი სარეფორმაციო მძრაობა სრულს განვითარებაში იყო, როცა საიმპერიატორო დინასტიამ, გერმანელ ხალხის მტრულად შემყურებ და სხვა უცხო სახელმწიფოს მიერ წაქეზებულმა და ამსხრია დიდად აღტაცებული აღორძინება ხალხის სულისა. და ეს სანახაობა მუდამ მეორდებოდა და დასარულ ყველა უნდა მიმხდარიყო, რომ კერძო პირების პოლიტიკური მოქმედება, როგორც უნაყოფო, დაგმობილი უნდა ყოფილიყო; ამ შეგნების წყალობით განვითარდა, სამწუხაოდ, ძლიერი პოლიტიკური პარტიული ცხოვრება. ცალკე კაცი აწინდელს ცხოვრებაში



არაფერს ნიშნავს. ამას მიმდინარე საუკუს ნის პოლიტიკურის ნიჭით დიდად ჩაჯილდოვებულის და გამოჩენილ კაცების მაგალითში ვხედავთ. ბისმარკიც კი უსაქმოდ დარჩებოდა, რომ იგი სახელმწიფო სამსახურში არ ყოფილიყო და ამ სახით ვერ დაყრდნობოდა ჯარისკაცთა ძალას. აწინდელს პოლიტიკურს ცხოვრებაში არც ერთი კაცი არა ვვყავს, რომელსაც მხოლოდ თავისი პირადი ნიჭით რაიმე გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს პოლიტიკურს საქმეებში, თვითოვეული მათგანის გავლენა იმდენად დიდია, რამდენად მეტი ხმის მიმცემი ამომრჩევლები ჰყავანან. და თვითონ პარლამენტში პოლიტიკური მუშაკი მოწინააღმდეგეთა რიცხვით მარცდება. ამ სახით ის თავისმართლება, რაც ჩვენს პედაგოგიკას მოჰყავს თავის მისწავლებაში ძლიერი პიროვნების იღსაზრდელად,—ვითომც გერმანელი თავისთავად, როგორც ძველ დროში ყოფილა, ეხლაც თავნებაა და საკუთარის თავით ცხოვრობსო, —უკეთელად სიცრუეა. შეიძლება ეს ოდესმე მართლა ყოფილიყოს, მაგრამ დიდი ხანია, რაც ძირიან-ფესვებიანად ამოუფხრიათ. თუ გერმანელი ხალხი მოწოდებულია მომავალში დიდი როლი შეასრულოს, მართლა რომ შეეძლოს თავისი მოწოდების ასრულება, მან უნდა აღზარდოს და განვითაროს პიროვნება. ხალხის ცხოვრება თავის გამოსახულობას ხალხიდანვე გამოსულს ძლიერსა და დიდებულს პიროვნებათა შორის პოულობს. იმისთვის, რომ აღზარდოს და განვითარდეს კერძო დიდნი პიროვნებანი, საჭიროა, რომ მთელი ხალხი, მთელი მასსა პიროვნების განვითარების გზაზე იქმნეს აღზრდილი. გამოჩენილი კაცები თავიანთ არსებობით თავის ხალხისათვის, რომლილანაც ისინი გამო-

ვიდნენ, უცხონი არ უნდა იყვნენ. ისინი მხოლოდ მასსაზე მაღლა უნდა იღვნენ — სხვანაირად ისინი მასსისათვის გაუგებარნი იქნებიან და ვერც გავლენას მოახდენენ მასზე. იქ, სადაც ხალხში არ არიან საზოგადოთ ბევრნი განვითარებულნი პიროვნებანი, არც დიდებული პიროვნებანი იქნებიან. უკანასკნელთ ჩვენ ისე არ უნდა ვუყურებდეთ, როგორც ბუნების უხვს ჯილდოს; როგორც ცყველაფერი ქვეყანაზე, ისინიც შრომით უნდა დაყიმოჩილოთ და ბოლოს ისინიც კულტურის ნაყოფად გახდებიან. აღზრდას დიდებულ პიროვნებათა შექმნა არ შეუძლიან, მაგრამ მათი განვითარებისათვის ნიადაგის მომზადება და ხელის შეწყობა კი აღზრდის საშუალებითაც შესაძლებელია. ჩვენ, აღმზრდელები იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ყოველ სფეროში ძალამ, ნიჭია და ტალანტმა ერში იპოვოს სიმაგრე. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ხალხში თავისუფალ პიროვნებისა და მისი შეგნებისადმი მისწავლება ცოცხალია, უნდა შეისწავლონ ლირსება და ფასი დიდებულ აღმიანებისა. გერმანელ ხალხს ეს ჯერ არ შეუსწავლია. იქ რომელსამე ახალს გენიოსს ისე უყურებენ, როგორც მაწაწალას. მხოლოდ სიკედილის შემდეგ შევუნდობთ მას მისს საკულტურო ღვაწლს. მაშინ ავუგებთ ძეგლებს, პროფესორებიც უნივერსიტეტში ლექციებსა კითხულობენ და კომენტარებსა სწერენ იმ თხზულების შესახებ, რომელთაც მათი ამხანაგის სიცოცხლეში ყურადღების ლირსადაც არ ხდიდნენ, ან რომელთა წინააღმდეგ გამორჩოტებულნი იბრძოდნენ. განა საჭიროა ამის დასამტკიცებლად აუკრებელი ფაქტები ბიოგრაფიებიდან? სამწუხაროდ არა. მე მოგახსენებთ საზოგადოთ ცნობილს ჭეშმარიტებას. ნუ თუ ეს

საზოგადო საკაცობრიო ხევდრია? ნუ თუ სხვა ერებშიაც ასეთი ბედი აქვთ დიდებულის აღამიანებს? არა. არიან ისეთი ხალხი, რომელიც გულწრფელად და აღტაცებით ეგებებიან ახალგაზრდა ნუშს, რომელიც თავისი ერის სიამაყედ მიაჩნიათ.

ჩვენ დაგვრჩა ამ წიგნში აღზრდის შესაგებ ვუპასუხათ, თუ რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ ბავშვებისა და მთელი ხალხის აღსაზრდელად, რომ განხორციელებული იქმნას სიმრავლე თავისუფალ პიროვნებისა. ყველაფერი არსებითი ამ საკითხის შესახებ წინადაც მოგახსენეთ, ყველა წინათ ნათქვამით მიზნათ გვქონდა პასუხი გაგვეცა ამ საკითხზე. ახლა მხოლოდ დასასრულ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ყველაზე უმთავრესა — ბავშვის ბუნების გაგება, მოძებნა, ამაღლება და განვითარება იმ ძალთა, რომელნიც განვიათარებისკენ მიისწრაფიან; ჩამოშორება იმისი, რაც სულისა და ხორცს აფრთხობს, უშლის და აწვალებს; ჩამოშორება აგრეთვე ყველა ზედმეტისა, რაც ორგანიზმს არ ესაჭიროება; რაც მხოლოდ გარეგანი დანალექია და გასაღამაზებლად მიღებული; ყველაფერი, რასაც სკოლაში ძალად აჩრიან ყმაწვლებს, რასაც ბავშვები ხალისით არ ითვისებენ და რაც ბავშვის შინაგანი ბუნებით არ იქნება შემუშავებული. რადგანაც კერძო პიროვნებას და აღმზრდელთა მთელს ინსტიტუტსაც არ ძალუდთ ამ ცხოვრებისათვის საჭირო მიზნის შესრულება, საჭიროა, რომ ყმაწვილი მთელის თვეისი ძალებითა და ინსტიტებით ჩაყენებული იქმნას ცხოვრების შუაგულში, რომელშიაც იგი უკვე სდგას დაბადების დღიდანვე. იქ მასზე დიდი გავლენა ექნება სააღმზრდელო ფაქტორებს, სახელ-ობრ—მისი საკუთარი ბუნების გარდა

მის გარშემო მყოფთა და არსებულთა თვით ცხოვრება უკეთესი აღმზრდელია და რამდენადაც ნაკლებ ვერევით მისს მოქმედებაში, მით უფრო ვაღწევთ ნაყოფიერს მიზანს. ზრდა მაშინ ბუნებრივს განვითარებაშია, ბავშვი დედის ძუძუდან გადადის საბავშვო ოთახში, მშობელთა სახლში, ბალში, ქუჩაში, საზოგადოებაში — ტოლამზანაგებში, ხალხში, სამშობლოდან გადადის უცხო ხალხში და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს თავისი ღვიძლი ერის და შემდეგ უცხო ერების ისტორიის შესწავლას. ამ სახით განვითარება ფართოვდება ყიწრო ოჯახიდან დაწყებული უნივერსალურ განათლებამდინ, მაგრამ ყველასათვის ეს განვითარება თვით არსებითში განვითარების საკუთარის კანონით სწარმოებს. იმიტომ, რომ რაც ერთისათვის სანუკვარი საჭმელია ათ წელზე, იმას მეორე მეოცე წელს თხოულობს. განსაზღვრული და გაყინული სქემები სწავლა-აღზრდისა მხოლოდ ზოგიერთებისათვის იქნება ხელსაყრელი, უმრავლესობისათვის კი ისინი ბირკილებს შეადგენენ. აღზრდა სწავლის შესახებ პასუხს ვერ აგებს იმაში, თუ კერძო ოჯახები და სკოლები აგვარ დებულებას წარმოადგენენ საჭმეში გამოსაყენებლად. მათ შეუძლიანთ მხოლოდ აღმრან რამე დასაბუთებული მოთხოვნილებანი, ან წინადაღებაც შეიტანონ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ თავიანთი საკუთარის ძალებით და უფლებით აღზრდის საჭმეში ცვლილება შეიტანონ, მხოლოდ ყოველს კერძო შემთხვევში უჩვენებენ. მათი მოთხოვნილებათა პრაქტიკულად გასახორციელებელს ზოავებს.

ამ მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გატარება მთელი ერის დანიშნულებაა. მეცნიერებას აღზრდის შესახებ შეუძლიან

აღნიშნოს მხოლოდ აღზრდის პრინციპები და გახალოს იგი საზოგადოების საყურადღებოდ და გამოსაცდელად. რამდენადაც მეტი იქნებიან გერმანიაში თავისუფალი პიროვნებანი, მით უფრო მეტნი

მსურველნი მოიპოვებიან, ასულობის გაჰყებიან აღზრდის იმ გზას, რომლის საბოლოო მიზანია — თავისუფალ პიროვნების განვითარება.

ლ. ბოცვაძე.

## ჭრები და მასთან ბრძოლა

ქადაგიანის ერთ უსასტიკეს და უსაშინეულეს მტრიად უნდა ჩაითვალოს ის სწეულება, რომელზედაც ჩეგნ დღეს გვექნება მკითხველთან საუბარი და რომელსაც ტუბერკულოზის ანუ ქართულად ჭლექს უწოდებენ. ტუბერკულოზი გადამდები სწეულებაა და მთელს მსოფლიოში არის გავრცელებული. მეშვიდედი მთელი კაცობრიბისა ამ საშინელი სენით იხთვება. მარტო რუსეთის იმპერიაში უდევე წლიურად შვიდასი ათასამდე კაცი გვდება ამ სენით. შედარებით მასთან სხვა გადამდები სწეულებანი ბევრად ნაკლებად საშიში არიან და ნაკლებ ზიანსაც აუკენებენ ადამიანს. ეს ადგილი ასახსნელიც არის. სხვა გადამდები სწეულება, მაგალითად, ქუნთუშა, დივორქიალი, სახადი, თვით საფლერა და სხვა, განჩენება ამა თუ იმ ადგილას, რამდენიმე კვირის, სულ დიდი, რამდენიმე თვის განმავლობაში მძვინვარებს. ტუბერკულოზი კი მედმიგად მძვინვარებს. მისთვის არც დრო არის, არც ვადა და არც ადგილი. სადაც კი სცხოვრობს ადამიანი, იქ ეს სენიც იჩენს თავსა. ამიტომ იგი დიდ ზიანს აუკენებს კაცობრიბისა და უსაშინელესი მტრიან არის არა ადგილისა, რამელთაც ამის შემდეგ ისე-დავე ტუბერკულოზი დაემართათ, როგორიც ადამიანს ემართება და სჭირს. ამ გვარად დამტკიცდა, რომ კონის მიერ აღმოჩენილი მიკრობი არის ტუბერკულოზის მიკრობი. კონის პატივსაცემად შას კონის ბაცილი უწოდეს. ტუბერკულოზის ბაცილის ადამიანის სხვა და სხვა ორგანიზმი შეუძლიან დაბინადრდეს და გამოიწვიას ამ თავისთან დაავადება — მაგალითად, ტკინის ანთება, ქულებისა, ნაწლევებისა, უელისა და აბკისა ტუბერკულოზი, კისრის ლიმფატიურ ნასკვთა ტუბერკულოზი, ანუ როგორც ქართულად უწოდებენ ღურბელი და სხვა, მაგრამ უკალაზე უფრო ხშირად ადამიანს ფილტვების

შეიძლება და რომელთაც მიკრობებს უწოდებ. უკვე გადამდები სწეულებას იწვევს განსაკუთრებული, მისთვის სტეცივიკური, მიკრობი. ცხადი იქთ, რომ ტუბერკულოზისაც თავისი მიკრობი უნდა ჰეთლოდა, მაგრამ მეცნიერებმა დიდხახს გერ აღმოჩენის ეს მიკრობი. მსოფლი 1882 წელს გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა, რობერტ კოხმა, ჭლექიან ავადმეოთთა ფილტვებში მიკროსკოპის საშუალებით აღმოჩენისა ერთგვარი მიკრობი, შესახედავად ჯონისებური. იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც ეს მიკრობი არის ტუბერკულოზის მიკრობი, კოხმა იგი შეუძლია ცხოველების, რომელთაც ამის შემდეგ ისე-დავე ტუბერკულოზი დაემართათ, როგორიც ადამიანს ემართება და სჭირს. ამ გვარად დამტკიცდა, რომ კონის მიერ აღმოჩენილი მიკრობი არის ტუბერკულოზის ნამდგილი მიკრობი. კონის პატივსაცემად შას კონის ბაცილი უწოდეს. ტუბერკულოზის ბაცილის ადამიანის სხვა და სხვა ორგანიზმი შეუძლიან დაბინადრდეს და გამოიწვიას ამ თავისთან დაავადება — მაგალითად, ტკინის ანთება, ქულებისა, ნაწლევებისა, უელისა და აბკისა ტუბერკულოზი, კისრის ლიმფატიურ ნასკვთა ტუბერკულოზი, ანუ როგორც ქართულად უწოდებენ ღურბელი და სხვა, მაგრამ უკალაზე უფრო ხშირად ადამიანს ფილტვების

# ТУБЕРКУЛЕЗЪ и ФЛОТЪ.

*Россия.*

Задолженность  
тибера купеческому (на 1900  
г.) землемерному и  
поганому.

и землемерному  
представителю  
берегу.

13.



## ჭლექი და ფლოტი

(რაოდენობა ჭლექით დახოცილებისა იმისდა მიხდვით, თუ სად არიან  
მეზღვაურება — ზღვაზე თუ ხმელეთზე).

ტუბერკულოზი ემართება და სწორედ ფილ-  
ტვების ტუბერკულოზი არის მასთან უველა-  
ზედ უფრო საშიშიც. ოთგრო მოჰყვება ხთ-  
ლებე ჩვენს სხეულში ტუბერკულოზის ბაცი-  
ლი?

ოთგროც ზევით მოვიხსენიეთ, ეს სხე-  
ულება ძლიერ არის გავრცელებული. მრავა-  
ლი ადამიანია მით დაავადმეოთვებული. უკე-  
ლამ კარგად უწევს, რომ ჭლექანი ხშირად  
ახველებს, ნახველს ღლებს და აუკურთხებს. აი  
სწორედ ეს ნახველი წარმადგენს დიდ საფ-  
როებს, ვინაიდან მასში შესძლებელია რამდენ  
ნიშე მიღიონთ ტუბერკულოზის ბაცილი იუ-  
ვეს. ნახველი შრება და მტკრად იქცევა. ამ  
მტკრები კი ტუბერკულოზის ბაცილებს თვე-  
ობით შეუძლიანთ იცოცხლონ, განსაკუთრებუ-  
ლით თუ ადგილი ნესტიანი არის და თუ მას


მზის სხივები არ ხვდება. მტკრი ჭარბია  
და აქედნ ედება ჭერს, ასტაკს, ავკერულო-  
ბას და ტანისმას. ამ მტკრის ადამიანი ისა  
უხთესებს და ამგვარად შესაძლებია ტუბერკუ-  
ლოზით აგად გახდეს. გარდა ადამიანისა ტუ-  
ბერკულოზი გაგრცელებულია სხვა და სხვა  
ცხოველთა შრის. კინსაკუთრებით ხშირად  
იყო ემართება ძროხებს. ტუბერკულოზიან ძრო-  
ხათა რძეში მრავალი ბაცილია ტუბერბულო-  
ზისა და თუ ამ რძეს ადამიანი, განსაკუთრე-  
ბით ბავშვი, აუთელათ ხშარობს, შესაძლებე-  
ლია ტუბერკულოზით ავად გახდეს. ნადულ  
რძეში კი ბაცილები იხცევებან და აღარ არია-  
ნ საშიშნო.

საბედნიეროდ, ტუბერკულოზი ეველ-  
იძ შირთ კი არ ემართება, ვინც ტუბერკულ-  
ოზის ბაცილები მტკროთან ერთათ ჩასუნთქა-

ას და საჭმელთან ას რძესთან კრთად ჩატელაშია. უმთავრესად აფადა ხდებათ სუსტია აგებულობის ჰატრონით. ჯენიმინთელი და მაგარი აგებულობის ჰატრონით ძლიერ ძვირად აფადმულობებს ამ სენით. უმთავრესად ამ აფადმულობით სხეულდებიან ისინი, ვინც ლოთობს და გარეგნილობს, ვინც ცუდ შირობებში სცხოვრობს, ნესტიანსა და ბნელს ოთახში და ვიწრობაშია, ვინც ცუდითა სქაში, საჭმალი არ იკვებება, ვინც აუტანელ მუშაობას ეწევა. ძლიერ ადგილად სხეულდებიან ტუბერკულოზით ისინი, ვინც ჭლექიან დედისაგან ან მამისაგან არიან დაბადებულია. საერთოდ, უნდა გთქვათ, რომ ჭლექი უმთავრესად ლარიბებს ემართება, ვინაიდნ მდიდრებს საჭულება აქვთ კარგ შირობებში იცხოვოთ, კარგი ბინა დაქვირვონ, კარგათ იკვებონ. ლარიბთაგან ქალაქის მცხოვრებლები უფრო ხშირად ხდებიან აფად, ვიდრე სალილობები, რადგან გლეხები მუშაობის დროს წმინდა ჰატრონით.

ქალაქის მშრალები ხალხი კი ჰოსტილიტეტის შესარის გამომწევდეული მუშაობის დროს, ხშირად უმზეო და ბნელ სადგომში მტკერიან და ნესტიან თოახში. ქალაქში მცხოვრებთა გან უკელაზედ უფრო ხშირად ჭლექით აფად ხდებიან ასოთა-მწერებინი, რომელიც მუშაობის დროს იძულებულია არიან მტკერი ისუნთქონ, შემდეგ ხარზები და თერძები, რომელიც მედიცინულ წელში მოხსილდი მუშაობები თოხ კედელ შეა; უკელაზედ ნაკლებად კი ჭლექით აფად ხდებიან მეეტლები და კონდექტორები, რომელიც, როგორც უკელას მაკესენება, მთელს დღეს სუვთა ჭარზედ ატარებენ.

ტუბერკულოზი თთქმის შეუმჩნევლად შეეძარება ადამიანის, და ეს უკანასკნელი ხშირად შარველი დ კერც კი ამჩნევს თავის დასხეულებას. ვაღმეოფაბის შირებ საფეხურში, ჭლექიანები კერავითარ ტეივილს გერმანიურ წერტილი, მხოლოდ მალე იღლებიან მუშაობის დროის განათლება, მთელს დღეს სუვთა ჭარზედ ატარებენ.



ჭლექი და ლოთობა  
(რამდენი კვდება ჭლექით ლოთობის მიზეზით).


# ТУБЕРКУЛЕЗЪ и ЗАЖИЛТОЧНОСТЬ

ГАМБУРГЪ

СПЕРТНОСТЬ ОТЪ ЧАХОТКИ ВЪ ЗАВИСИМОСТИ

ОТЪ РАЗМЕРА ПОДОХОДНAGO

НАЛОГА НА 10000 ЖИВ.



## ჭლექი და ქონება

(რაოდენობა ჭლექით დახოცილებისა ქონების მიხედვით).

თბის ღრასა და სიარულში, ადგილად ციგ-  
დებიან, მადას ჭარგვავენ და ცოტ-ცოტას ას-  
კელებენ, განსაკუთრებით დილარბით და სია-  
ღმობით. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ  
უწევებს მათ სადამობით სიცხის მიცემას,  
ხელებაც მატულობს და დამ დამობით ოფ-  
ფიცა აქვთ ხოლმე, უსაბოჭონა და დამსუს-  
ტებელი. ხშირად ნახველს სისხლი გამოჰყე-  
ბა; ხსნდასან კი წმინდა სისხლს გადმოავერ-  
თხებენ და გადმოახველებენ ესეთი ავადმურ-  
ობებით. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც  
ჭლექით დასწეულებული სრულიად კარგადა  
ჭირობის თავს, თავის დააგადების შესახებ  
იშვიოც არა აქვთ და მხოლოდ ეპეთი სისხლის  
გადმოხველება დააფიქრებეს მას და მიამართ-  
ვინებს ექიმებეს. ასეთ მდგრადარებაში მეოფეთ  
ავადმურო შეიძლება სრულიად გასაღდეს,  
დღეს-დღებით ამის დამატებიც გადასჭირდება საბუ-  
თი მრავალია, თუ კი წამლობის დაწევების  
და ისე შეცვლის თავის ცხოვრების პირობებს,

როგორც ამას ჭიგინა და ჭლექის წამლობა  
მოითხოვს. უფრო ხშირად, ჩვენდა საუბედუ-  
როდ, უცოდინარობის ან უქონლობისა და  
უგზნურობის გამოა, ტუბერკულოზი განაგრძ-  
ნობს თავის საშინელ მუშაობას. ავადმურო  
აქ არგვარად შეიძლება გაგრძელდეს. შედა-  
რებით ძვირად ავადმურობა საშინელის სის-  
ტრავით მატულობს და განაგრძნობს თავის გა-  
ნვითარებას, სწამლავს დასწეულებულს სისხლს,  
საშინელ განაგრძელებას იწვევს სხეულის ფი-  
ლტრებში და სულ მოკლე სანში ასაღმებს  
მას წერისთველს. ასეთ ჭლექს - მსწრავე  
ჭლექს უწოდებენ, უფრო ხშირად კი ჭლე-  
ქი ქონიგულ ხასიათს იღებს. სხეულება  
სან მატულობს, ხან შეჩერდება, ავად-  
მურობით ხან შედარებით კარგადა ჭირობის  
თავს, ხან კიდევ ცედეთა ხდება და ხან  
ერთ ღონებეა. ამგვარ ავადმურო შეუ-  
დიან რამდენიმე წელიც იცოცხლს. რო-  
გორც ტევით მოვისენიეთ, ჭლექი გამო-

წევულია ადამიანის სხეულზე ჭრექის ბაცი-  
ლების დაბინადრების გამო. ჭრექი შესაძლე  
ბელია გაუჩნდეს სულ სხვა და სხვა ორგანოთ  
ადამიანისა, მაგრამ უკეთაზე უფრო ხშირი  
და მასთან ფრთხი სრშიშიც არის ფილტების  
ჭრექი. ჭრექის ბაცილი, ჩაჟუგბა რა მტექე-  
რთან ერთად ჩასუნთქულ ჭრის ფილტებში,  
დაწებებს იქ საშინელის სისწრაფით გამრავ  
ლებას, თუ კი ხელსაწყო შირთები შეხვდა.  
ერთი ბაცილიდან შესაძლებელია 24 საათის  
განმდებლისაში 1ჩ მიღლით ბაცილი გჩხნდეს.  
მაგრამ მიკრობთა წინააღმდეგ ბუნებაშ ადამიანის  
მიანიჭია დასაცველი იარაღიც, ომელითაც  
იგი ეპრძების მათ და შესაძლებელია გამარ-  
ჯვებულიც გამოვიდეს ამ ბრძოლიდან. ასეთი  
დამცველი ადამიანისა მიკრობისაგან არის  
მისი სისხლი, სიხლის შრატი და, ეგრედ წო-  
დებული უფრო ბურთულები სისხლისა ანუ  
დაიგორციტები. სადაც კი მიკრობი გჩხნდება  
ადამიანის სხეულში, იქ ლეიკოციტებიც მოი-  
ურიან თავს და დაუწეუბენ მიკრობებს; ბრძო-  
ლს, დამზენ მათ ჩაუდაბეს და მონედებას.  
სისხლის შრატში კიდევ არის სხვა და სხვა  
გვარი ნივთიერება, ომელითაგან ზოგი არ-  
ღვევს და ადნობს მიკრობებს, ზოგი კიდევ  
მათ მიერ შემუშავებულ შესმის სპობს. მთელი  
სიცოცხლე დასხეულებულ ადამიანისა — ბრძო-  
ლია მიკრობთა წინააღმდეგ. თუ ადამიანი სა-  
და და ჯანმრთელი იყო წინეთ, მაშინ მისი  
დასაცავი იარაღიც — სისხლის შრატი და ლეი-  
კოციტები — მედგარ წინააღმდეგთას უწევენ  
მიკრობებს და შესაძლებელია გამარჯვონ კი-  
დეც მითხე. მაგრამ თუ იგი სუსტი არის,  
დააგადებული სხვა სხეულებთა მიერ ან დასუ-  
სტებული ცუდი ცხოვრებისა, სიცარიბისა  
და უჭმელიბისაგან, მაშინ მასი ბუნების  
მიერ მინიჭებული დასაცავი იარაღიც სუსტია  
და მიკრობებს ვეღარ უმეტეს გეღება.

მსამართიც სწამლავს ადამიანის სის-  
ხლს და საშინლად ასუსტებს სხეულს, მეო-  
რეს შერით იგი მრავლდება ფილტებში,  
არღვევს ფილტების უჯრედებს და ქსოვილე-  
ბს და ამგვარად თანადან სტაბილური ადამიანისა-  
თვის ამ ფრთხი საჭირო ორგანოს, ომელი-  
თაც იგი სუნთქვას. თუ შემი მძღვანი არის  
და ადამიანი კი დასუსტებული, მაშინ იგი  
გრ ებრძოლება ჭრექის და მაღავსალება  
წუთისოფელს (მსწრაფელი ჭრექი) და თუ  
ადამიანი ს: და არის და ჯანმრთელი, მაშინ  
იგი თავისი დასაცველი იარაღის საშეაღებით  
დიდ წინააღმდეგთას უწევს მიკრობებს და  
მათ მიერ შემუშავებულ შესმის. მაშინ ჭრექი  
ქრონიკულ ხსიათს დებულობს და ნელ-ნელა  
აღღვევს ადამიანის ფილტებს. ბრძოლს მიმ-  
თო ქრონიკულ ჭრექიანის ფილტებში ნამ-  
დვილი გვირაბებია ნაცვლად ფილტების ქსო-  
ვილებისა და რაღა გასაკვირია თუ ადამიანი  
მოვლებული ამ ფრთხი საჭირო ორგანოს გე-  
ღარა სტაბილური და გვდება.

ზემოხსენებულიდან მკითხველი უნდა  
დარწმუნებულიყო, ომი ჭრექი არა მარტო  
მირადი უბედურებაა ავადმიუმოვნისა და მისი  
ჭირისუფლებისა, არამედ საზოგადობრივი  
საფრთხეა, ომელითანაც სასტრიკი ბრძოლა  
საჭირო. თუ გავიხსენებთ რამდენ კაცს უს-  
ობს სიცოცხლეს უფეხლა-წლიურად ეს საშინე-  
ლი სხეულება, თუ ამას დავუმატებთ, ომში  
ჭრექით იხთვებან უმთავრესად ოცი წლიდან  
ორმოც წლამდის, კ. ი. იმ ასაჭირო, ომე-  
ლი ადამიანს მუშაობა უნდა შეეძლოს, ნათე-  
ლი იქნება ჩემთვის რამდენს ჭრექის შემცვე-  
ლი ჭრექისაგან. ამიტომ ამ სქეთან ბრძოლაც  
უპირველესად უოვლისა საზოგადოებრივი მო-  
ვალეობაა — მოვალეობა იმ საზოგადოებრივ  
დაწესებულებათა, ომელითაც სალხის ჯანმრ-  
თელთაზე უნდა ზრუნავდნენ სახელმწიფოთა-  
თა, ერთათა, ქალაქის თვით მშართველობათა  
და სს.



### ჭლეჭი და აღვილის სიმაღლე

(რაოდენობა ჭლეჭით დახოცილებისა, იმის დამიხედვით, რა სიმაღლეზე სცხოვრობს ადამიანი).

საზოგადოებრივ ბრძანების შირველი ადგილი უკავი ხალხის ფართო წრების მა- ტერიტორიულ მდგრადი გაუმჯობესებისა და ხალხში განათლების შეტანის. სადაც ხალხი განალთგებულია, იქ ჭლეჭით ბრძანებულობა, ადგილია, ვინაიდან ხალხის ფართო წრების შეგნებული აქვთ, თუ რა საფრთხეს წარმოა- დგენს საზოგადოებისათვის ჭლეჭი და როგორ შეიძლება მასთან ბრძანო. აკრედიტ საჭირო არის სახელმწიფოთა და თვით-მართველობათა მხრით ზრუნვა, რომ შემცირებულ იქმნეს სიღარიბე და სიღარიბე ხალხში, რადგან ჭლე- ჭი სწორედ რომ დარიბები უფრო გავრცე- ლებულია. რა თქმა უნდა, ეხლანდეჭ შირთ- ბებში უკელას გამდიდრება შეუძლებელია, მა- გრამ უმიწა-წეალო გლეხთა და უმუშევართა რიცხვის შემცირება შეაძლებულია არის და სჭიროდ. გარდა ამისა შემდებული უნდა

იქს გლეხთა დაზღვევა სახელმწიფოთა და მექატრონეთა ხარჯით ავადმყოფობისაგან, როგორც ეს გრძელიაში და ინგლისში არის განხორციელებული. იქ თითქმის აც ერთი დაავადმყოფებული მუშა არ აჩება უსაზღვროდ, ვინაიდან იგი გაფანსადებამდის რამდენიმე ფულს იდებს დამზღვევ საზოგადოებისაგან და თვით დაზღვევი საზოგადოების სცხი- ლობენ ისეთ პირობებში ჩააეცნონ დასწეულე- ბული მუშა, ისე უწამლონ მას, რომ რაც შეიძლება მალე გამოკეთდეს, გამორთელდეს და მუშალას დაუბრუნდეს. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ინგლისში და გერმა- ნიაში საოცარის სისწავით შემცირდა ჭლე- ჭიათა რაცხვი.

ქალაქებში საჭიროა დიდი უკადაგება მიეკცეს ქალაქის სისუფთავეს და სანიტარულ მდგრადი გაუმჯობესებას. უსათუდ ურ-




კედ ქალაქში უნდა იყოს პაუგანილი წეალ-სა-  
დენი და მოწეობილი კანალიზაცია. ქალაქის  
მუედნებზე და თავისუფალ ადგილზე უნდა  
ბაღები იყოს გაშენებული და საერთოდ უნდა  
ირგვებოდეს ეზოებში და ქუჩების გასწორივ  
ხეები და მცენარეულობა. ამით ჭარი გასუფ-  
თავდება და ცოტათ მაინც მიუხსლოვდება  
სოფულის ჭარის. სოფელში კი ჭლექი ისე  
არა მძვინვარებს, როგორც ქალაქში. ქუჩები  
ქალაქებში ფართო უნდა იყოს და განიერი.  
სახლების სიმაღლე არ უნდა ადგისტებოდეს  
ქუჩის სიგანეს. მაშინ მზის სხივები ჩასწოდე-  
ბა სახლების ქვედა სართულების, სადაც უფ-  
რო ხშირად დარიბები ბის დრობები, და ბნელ  
ოთახებში სინათლეს შეიტანს. მზის სხივები  
კი საუკეთესო დეზინფექციის. გარდა ამისა,  
ქალაქის თვეთმართველობა უნდა ეცადოს ქა-  
ლაქში მცხოვრებ დარიბ ხაწილისათვის იაფ-  
ფიასიანი ჰიგიენური სადგომები გააკეთოს.  
ამით იგი დაიხსნის დარიბ მცხოვრებობის სახ-  
ლის მარტონთა გაუმაძღარ მაღისაგნ და  
ბნელ და სესტრიან სადგომებისაგან. საქარ-  
თველობის არის კადეკ ლრი შირაბა, რომე-  
ლიც სელს უწევის ჩვენში ჭლექის გავრცე-  
ლებას და რომელთანაც საჭიროა სასტივი  
ბრძოლა. სახეში მაქსი ჩვენში ჩვეულებად  
მიღებული უზომთ დგინის სმა და შეორეც  
ძლიერ გავრცელებული ციებ-ცხელება ანუ  
მაღარია. დგინის უზომთ სმა სელს უწევის  
ადამიანის დასუსტებას და დასუსტებულ ადა-  
მიანს სომ ჭლექიც ადგილად დაემართება, ამ  
შერიც ფრიად საინტერესოა სტატისტიკური  
ცნობები, შეგრძილი საფრ. ნგეთში, სადაც,  
როგორც უფელას მოქასენება, დგინის წარმო-  
ება ძლიერ გავრცელებულია. ამ ცნობებიდან  
სჩენს, რომ ის ოჯქში, სადაც შეტს დგინდს  
სმართებნ, ტესტერკულოზიც უფრო ხშირია  
ამიტომ საჭირო რაო, ხალხში შეგნების შეტანა,  
რომ დგინო და მისი უზომთდ სმა, რო-

გორც ჩვენში იციან სოლმე, ადმინისტრაციის  
მაგნებელია და საზიანო.

როგორც ზევით იყო ნათევამია ჭლექი  
სოფელში უფრო ნაკლებად არის გავრცელებ-  
ული, ვიღრე ქალაქებში. მაგრამ ჩვენს სამ-  
შობლოში არის ადგილები, სადაც ჭლექი  
სოფულებშიაც ძლიერ ხშირია. ეს გახდავთ  
იმქრეთი, სამეგრელო და კახეთი. ეს სწორებ  
ის ადგილებია, სადაც ძლიერ გავრცელებულია  
ციებ-ცხელებია (მაღიარია). ეს უკანს სკენელი  
სწერულია ამგვარად, გარდა იმისა რომ თავის  
თავადაც დად ზიანს აუგნებს ადამიანს და  
საშაშოა, აუმჯურებს მას და ხელს უწევის  
მის ჭლექით ავად გახდომას. ამიტომ საჭი-  
როა საზოგადოებრივი ზომების მიღება  
ციებ-ცხელების წინააღმდეგ, რაც შესაძლებე-  
ლია, ასასრულებელიც და ნაუთიერიც, რო-  
გორც ამას გულტურულ ქვეწების მაგალითი  
მოწოდებს. ეს საქმე უნდა იყოს ერთათა  
ხელში, მაგრამ საუბედუროდ ერთა ჩვენში  
ჯერაც ვერ გახსხრიცელებულა.

ჩვენ ზევით გვქონდა ბაასი შესახებ იმ  
ზომებისა, რომელიც უნდა მიიღოს მთელმა  
სახლმწიფომ და საზოგადოებამ ამ საშინელის  
სენის შესაძლირებლად. ესლა გადავიდეთ იმ-  
აზე, თუ როგორ და სად უნდა სწაროვებდეს  
უკვე დააგადმეთვებულია წამლობა. ამგე უნ-  
და შევნიშნოთ, რომ ჭლექიანთა მოჩენა  
შესაძლებელია, თუ კი წამლობა დროზე დაი-  
წეო და თუ წამლობის დროს შესაფერი პი-  
რობებიც მიეცა ავადმეფოს — წმინდა ჭერი.  
ნეუირი საჭმელი. საუბედუროდ, ის წრეები  
საზოგადოებისა, სადაც უმეტესად მდვინარებს  
ჭლექი, ხალხის უდირიბესი ნაწილი, სწო-  
რებ რომ მოკლებულია ამ თრ უმთავრეს პი-  
რობას. ამიტომ, საზოგადოებრივი დასმარება  
აქ სჭირო (სახლმწიფოთა, თვეთმართველობათა,  
საჭელ-მოქმედ საზოგადოებათა). უცხოეთში ჭლექიან ავადმეფოთათვის არის  
სპეციალური საშენალო დაწესებულებანი,



### ჭლექი და ციხე

(რამდენი კვდება ჭლექით ათას კაცში ციხეში და გარედ)

რომელთაც სანატორიუმებს უწოდებენ. ჩვეულებრივად ასეთ სანატორიუმებს აშენებენ ქალაქ გარედ, საცა კი შესძლებელია მთა ადგილას, ფიჭვნარსა და ნაძვნარში, სადაც ჰქონი სუფთა არის და უმტკერო. სანატორიუმში ავადმყოფები თითქმის მთელს დღეს წმინდა ჰქონი არარებენ და დამეც და ფანჯრების თათხში იძინებენ. ავადმყოფები ძლის მაღალ ეჩვევინ არ არის, მაგრა კარგად რჩებინ: ასიდან 24 ავადმყოფი სრულად რჩება და 42 კი იძღვნად კარგად ჰქონდება, რომ მუშაობას უბრუნდება კიდევ დაზი ხნით. რუსეთში ასეთი სანატორიუმი სულ ცოტაა. ჩვენში კი სულ არ არის. მხოლოდ „გავგასიძის“. ჰქონებთა მებრძოლი საზოგადოება“ ასლა აშენებს აბასთუმანში ასეთ სანატორიუმს 120 ავადმყოფისათვის. გარდა სანატორიუმებისა ჰქონებთან საბორცველვად ძლიერ გამოსადგერ და საჭირო ეგრედ წოდებული „დინსან-

თად ექიმებიც სწამლობენ. ასეთ სანატორიუმში ჭლექიანები ძლიერ მაღალ კარგად ხდებინ: ასიდან 24 ავადმყოფი სრულად რჩება და 42 კი იძღვნად კარგად ჰქონდება, რომ მუშაობას უბრუნდება კიდევ დაზი ხნით. რუსეთში ასეთი სანატორიუმი სულ ცოტაა. ჩვენში კი სულ არ არის. მხოლოდ „გავგასიძის“. ჰქონებთა მებრძოლი საზოგადოება“ ასლა აშენებს აბასთუმანში ასეთ სანატორიუმს 120 ავადმყოფისათვის. გარდა სანატორიუმებისა ჰქონებთან საბორცველვად ძლიერ გამოსადგერ და საჭირო ეგრედ წოდებული „დინსან-



სერები". დისპანსერებს უკვე ქაღაქებში აღებენ. ეს ჰატარა სამკურნალოა, სადაც უფასოდ სწამლობენ ჭლექიანებს და გარდა ამისა დარიბებს დახმარებას აძლევენ საჭმლით, რძით, გვერცით და სხვა. ამ გვარ დისპანსერებთან ასების სამზრუნველოები, რამელნიც ათვალიერებენ აფადმუთვების ბინებს, გაიგებენ მის მდგრამარებას და სცდილობენ ცუდი ბრალიები კარგზე შესცვალონ მატერიალური დახმარებით. დისპანსერების მნიშვნელობა დღია, კინადან უკვე ჭლექიანის შეუძლიან ქაღაქები მას მიჭმართოს და იქ იწამლოს. სა-

ნატორიუმში კი უკვე ჭლექიანის „ლაბირინთის“ შეუძლებელია, რადგან ამისთვის ძლიერ ბეჭრი სახატორიუმი იქნებოდა საჭირო. ჩვენში ასეთი დისპანსერი მხოლოდ ერთი წელიწადია რაც არსებოს ტფილისში, იმავე „ბაგბასიდის ჭლექთან შებრძოლ საზოგადოების“ მიერ არის დაარსებული და თუმცა ჭერ-ჭერობით არ არის ისე მოწყობილი, როგორც ეს საკიროა, მაგრამ მაინც სარგებლობა მოუტანა ავადმყოფების.

ესლა გადავიდეთ იმაზე, თუ რა ზომები უნდა მიიღოს ადამიანია ჭლექის ასაცდენად.




ჭლექი და ფანჯრები

(რაოდენობა დაზოცილთა ინი მზრედით, თუ რამდენი ფანჯარა. აქვს ბინას)

# ТУБЕРКУЛЕЗЪ и ЖИЛИЩА

СМЕРТНОСТЬ ОТ ТУБЕРКУЛЕЗА ВЪ СВЯЗИ СЪ ЧИСЛОМЪ

КОМНАТЪ НА СЕМЬЮ (НА 100 ЧИСЛЫ)



## ჭლექი და ბინა

(რაოდენობა ჭლექით და ხოცულთა იმის და მიხედვით, თუ რამდენ ოთა-  
ხიანი ბინა აქვს ადამიანს).

აქ ჩვენ მოჰყედ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ  
შირველი ადგილი უგავია ადამიანის აგებულე-  
ბის გამაგრებას, გინაიდან ვინც ჯანმრთელია  
და ჯანსაღი, მას ჭლექიც ძეირად ემართება  
ხოლმე. ჯანმრთელობისათვის კი საჭიროა  
შერჩალი და სინათლიანი სადგომი და გარე  
საჭმელი უპირველესად ეფულისა. შემდეგ  
ადამიანი უნდა შეეხვიოს სიცივეს, რომ ხში-  
რად არ გაცივდეს ხოლმე, ამიტომ გულ-  
მკერდი უვევე დილით უნდა ცივი წელით  
გაიწინდოს და შემდეგ კარგად გაიშრალოს.  
უვევე დღე ცოტაოდენი დრო მაინც წმინდა  
ჭარბზე უნდა გაისეირნოს, მაგრამ ისე კი  
არა, რომ დაიღალოს. ვისაც ისეთი ხელობა  
აქვს, რომ სულ შედამ თახაში ზის, იგი  
კიდევ უფრო უნდა სცდილობდეს სეირნბისა  
წმინდა ჭარბზე და განსაკუთრებით უნდა ისარ-

გებლოს კვირა-უქმეებით. მათგის გარგა  
წმინდა ჭარბზე მოძრაობა და სხვა და სხვა  
გვარი მმორჩავი თამაში და გასართობები. ზედ  
მეტი მუშაობა, დამქნიცავი ადამიანისა, არ  
ვარგა. შემდგრ ცუდია დეინისა და არეის სმა  
და აგრეთვე თუთუნის წევა.

ჭლექისაგან თავის დაცვა შესაძლებელია,  
საჭიროა მხოლოდ გაფრთხილებაც იმასთან  
ერთად, რაც ზევით მოგახსენეთ. აქ უვევაზე  
წინეთ უნდა გავიხსენოთ, რომ უმთავრესს  
საფრთხეს ჭლექიანის ნახევლი წარმოადგენს.  
ამ ნახევლში მიღიონბით არის ჭლექის ბა-  
ცილები. ამიტომ ჭლექიანშა პირდაპირ მი-  
წაზე და იატაგზე კი არ უნდა დააფურთხოს,  
არამედ საფურთხებელი უნდა ჭერდეს — სახ-  
ლში თახასია და სახლ გარედ კადებ ჭიბისა.  
ამ საფურთხებლებში ცოტაოდენი წეალი უნდა

ესხას, ორმ ნახველი არ მასშეს. შემდეგ ნახველს კირი უნდა დაასხან და კლასუტეტში ჩაასხან, სადაც კანალიზაცია არის, სადაც არა — იქ სჭაბია ცეცხლში შეასხან და დასწენ, ვინაიდან ცეცხლი ჰქლავს ჭლექის ბაცილებს. ეფუძნ ისეთ ადგილს, სადაც კი ხალხი თავს იურის, მაგალითად, ოქატრებში, ექვესიებში, სკოლებში, ქარხნებშა და სხვა, თაფურთხებულები უნდა იყოს დადგმული.

გარდა ნახველისა, საფრთხეს წარმოადგენს ჭლექიანთა საცელებიც, ვინაიდან ისინი ავადმყოფის თვეულითა და ხშირად ნახველითაც არან დასვრილნი, ამიტომ საჭიროა მათი ცალებები გარეცხვა და მასთან საპნიან ან ნაცარწმენილიან წეალში გამოხარშვა.

ჭლექიანისათვის, სადაც კი ეს შესაძლებელია, ცალებებითა უნდა იყოს მიჩენილი და ამ თათახში სულ ცოტა და მასთან უბრალო ხის ავეჯეულობა უნდა იდგეს, რადგან ხის გაწმენდა-გასუფთავება ძლიერ აღვილია. ჭლექიანთან ერთად თახში ძილი და დაშის გა-

თევა საშიშია. საშიშია აგრედვები ჭლექიანის კოცნა. საერთოდ ჩვენში გავრცელებულია ბაზების კოცნა ნათესავებისა და უფეხლ ნაცნობების მიერაც. ეს ძლიერ ცედი ჩვეულებაა, რომელსაც შეუძლიან ბაზში ზიანი მიაეწოდოს და გადამდები სწერულია შეჭყარს.

გარდა ამისა საშიშია ჭლექიან ძროხათა რექ. კულტურულ ქვეუნებში უფეხლ ძროხას სინჯვენ ბეითლები და მხრილოდ მათი სიმრთელის შემთწევის შემდეგ ეძლევათ უფლება მათ პატრიოტიზმი რექ გაჭეილონ. ჩვენში ეს არ არის, საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით შემთღებული და ამიტომ უფეხლოვის უნდა გხმარობდეთ მხრილოდ ნადუდ რექ. განსაკუთრებით საშიშია აუდუდარი რექ ბავშვთათვის, რომელიც დედის ძებუს მაგივრად ძროხის რით საზრდობენ, ვინაიდან მათი სხეული სუსტი და ჩვილია და მათ ჭლექიან ძროხათა რძის სმის საშეალებით ადვილად შეიძლება ჭლექი შეხვდეთ.

ექიმი შ. მიქელაძე.

## ფიქრები სკოლაზე

(რუსულით)

**გ**ევრს ლაპარაკობენ სკოლის პროგრამის საფუძვლიან გამოცვლის საჭიროებაზე; დაუინებით სცდილობენ მკვდარი ენების გაუქმებას. მაგრამ ფესვი ზოროსტებისა აქ არ არის. საშინელია არა თვით მკვდარი ენები, არამედ საშინელია სიმკვდარე სწავლებისა; საშინელია ის, რომ რომელი საგანიც უნდა აიღო ჩვენი სკოლისა, ყოველივე ეს—მკვდარი ენაა; — ენაა, რომელიც არაფერს ეუბნება მოწაფის არც გონებას და არც გულს. საქმის ასეთ მდგომარეობაში, როგორც უნდა შესცვალოთ საგნები პროგრამაში,

ვითარება დარჩება ისეთივე. შესცვალეთ მკვდარი ენები სასურველ საგნებზე, მომეტებულად საბუნებისმეტყველო სწავლაზე,—სკოლა მაინც ვერაფერს მოიგებს. გამოვა ის, რომ ჩვენ ვიზეპირებდით ლათინურ და ბერძნულ ათასნაირ გამონაკლის სიტყვებს, ჩვენი შვილები-კი გაიზეპირებენ ათასნაირ სახელებს საგნებისას, კუნთებისას, კაკნატელისას, ხერხემლისას და სხვა.

უვარგისობა ჩვენი სკოლისა მდგომარეობს მეხანიკურ იძულებითი შეფასებაში მრავალ-გვარ უინტერესო ცოდნისა-

სკოლის მოწაფეს ცოდნის, შეცნიერული განათლების სახით, წლითი წლობით, მთელი ათეული წლის განმავლობაში უჩიჩინებენ ცარიელ ციფირებს, მკვდარ სახულებს და მშრალ ტექსტებს.

გეოგრაფიის შესწავლაში განსაკუთრებით ყურადღება მიქცეულია მთების, მდინარეების, ქალაქების და ზღვების ათას ნაირ სახელების გაზეპირებაზე; მოწაფისაგან მოითხოვება დანამდვილებით ოცნებეს, რამდენი ფუტით მაღლა სდგას ესა და ეს მთა ზღვის ზედა პირიდგან, რამდენი მცხოვრებია ტეხასში, რამდენი ღორი იკვლის ყოველ წლივ ჩიკაგოში, რამდენი ფეხსაცმელი იკერება ოსტაკოვში, რამდენი დანა და მაკრატელი კეთდება პავლოვში, რამდენი ნამი ვარდება ცას რიონის შესართავში, რამდენი ნისლიანი დღე იცის ლონდონში. ციფრები და ციფრები; ცარიელი ციფრები და მკვდარი სახულები. ცოცხალი ბუნების სურათები, ათასგვარი ცხოველები, ადამიანების ვითარება—მათი ზნე-ჩვეულებანი, მრეწველობა, ხელოვნება—ყოველივე ეს უცნობია გეოგრაფიისთვის, რომ გეოგრაფია აჩვენებდეს მოწაფებს ცოცხალ სურათებს საშიშარის უდაბნოსას, მის მრისხანე ურაგანებისას, თვალ-ჭარმტაც თაზესებისას, სურათებს მევენახეობისას, მძაფრის შრომითა და საშიშროებით აღსაძეს ცხოვრებას ზღვის ნაპირზე მცხოვრებლებისას,—იმის მაგივრათ, თუ რამდენი ადგილი უჭირია უდაბნო სახარას, რამდენი ადგილი უჭირავს ვენახებს საფრანგეთში, რა სიგრძისა ზღვის ნაპირები ჩრდილოეთ რუსეთში,— მაშინ მოწაფე დიდის ყურადღებით მოისმენდა თვითეულ სიტყვას, ძვირფასად ჩასთვლიდა თვითეულ წუთს გაკვეთილისას. მაშინ მისთვის მთელი ქვეყანა ჭარმოად-

გენდა რაღაც შეტაც საინტერესოს, რაღაცაც ცოცხალს, ძვირფასს. მჩეულებები ცხოვრება და მოქმედება ხალხისა აღუძრავდა მას ხალისს, გამოიწვევდა მასში ზოგისადმი მიბაძვას, ზოგისადმი კიდევ— სიბრალულს და თანაგრძნობას, გამოიწვევდა სურვილს მათის დანამარებისას, როგორმე და რითმები შემსუბუქებისას მათის მძიმე ცხოვრებისა. ესრა-კი გეოგრაფიის გაკვეთილები არის რაღაცა გძელი, დამღლელ-მოსაწყენი კანტორის ანგარიში. იღეთ ისტორია, ლიტერატურა. მთელი ასი ფურცელი აჭრელებულია მეცენების სახელებით, წლებით ომებისა, შერიგებისა, კაროლების დაბადებისა და სიკვდილისა. შეგროვებულია საჩინო მოქმედ პირთა ნამსახურობის სიები: დაიბადა ამა-და-ამ დროს, გააკეთა ესა-და-ეს, მოკვდა ამა-და-ამითი,— და ამას ჰქვიან ისტორია; ამან უნდა აღადგინოს ჭარსული. ცალკეული ნაწყვეტი გარემოებათაგან იმან უნდა შეადგინოს ნათელი სურათი, ცოცხალი სახეები, მოკლე უნდა გვიამბოს, არამედ ნათლად ჭარმოგვიდგინოს ჭარსულის ამბები, გაამდიდროს ჭარუკის გონება საუკუნოების გამოცდილებით, მიანიჭოს მას გონივრობა მოხუცისა, არ უნდა დაანაოჭოს მისი შებლი დალმეჭილობით და არ გაათეთოს მისი თავი ჭარარით. ჭარსულის შეგნებამ საუკეთესოდ უნდა გააგებინოს აწმყო და სწორედ მოაწყობინოს მომავალი.

არა უკეთესად არის დაყენებული სკოლაში ლიტერატურის შესწავლაც. ჯერავანი შესწავლა ლიტერატურისა არის შესწავლა ცხოვრებისა,— ცხოვრებისა, როგორიც არის იგი, როგორც იგი მიმღინარეობს, როგორც იგი გამოკრთება ხალ-



ხური გენიოსობის წარმოდგენაში. ასე შესწავლა ლიტერატურისა არა ნიშავს ზეპირად დასწავლას რამდენიმე ლექსისას, მოთხოვბის, დრამის ან პოემის შინაარსის შეთვისებას. გაგება უნდა მწერლის მიერ აღწერილ სახეებისა,— შეთვისება უნდა მისი სულისა, აზრისა, გრძნობისა, იდეისა. უნდა კაცმა თითონ განიცალოს ყოველივე, რითი ცხოვრებდა, იტანჯებოდა ესა თუ ის დამწერი ხელოვნურის ნაწარმოებისა.

ნამდვილი ისტორია ლიტერატურისა არის გენიოსის გულის ისტორია, როგორც სარკეში, ისე გამოკრთება სამარადლეო ქვეყანა მისის სიხარულით და მწუხარებით, მისის ცრემლებ-მორეული სიცილით. განა ამის მზგავს რამეს გვაძლევს ჩვენ სკოლა? ჩვენ დიდ-ხანს ესხედვართ სკოლის სკამზე ლომონოსოვის და კანტემირის თხეულებათა გარჩევაზე და, სირცხვილიც არის ვთქვათ, არ ვიცით დოსტოევსკი, ტურგენევი, არც ერთი ახალი მწერალთაგანი. რას ვიტყოდით ჩვენ იმ ტეხნოლოგიაზე, რომელშიაც ვრცლად არის ნათქვამი პირველ-ყოფილი კულტურის ტეხნიკურ გამოვლილებათა შესახებ, და თანამედროვე ორთქლ-მავალზედ კი მხოლოდ გაკვრით იყვეს ნათქვამი? აიღეთ, ბოლოს, გაკვეთილები საღმრთო სჯულისა. როგორი ძვირფასი და ოქროს საათები უნდა იყვეს იგინი; მაგრამ ხშირად როგორ დამღალავი, მოსაწყენი და მშრალია იგინი!..

სიჭაბუკე საუკეთესო ხანაა სიცოცხლისა, გაზაფხულია მისი! გული აღსავსეა წმინდა მისწრაფებით და ოცნებებით, სული საღმრთო ცეცხლით იწვის. მაშინ მიეცით სიჭაბუკეს ცოცხალი სიტყვა, და იგი მთლად თქვენ გამოგყვებათ, გარდაჭმნის სიცოცხლეს გამუდმებულ ლვთის-

მსახურებად, მსახურებად ღვთსა შიგვენა რულისა და სიმართლისა. მაგრამ აქაც მკვდარი წიგნია, მკვდარი მოწყენა!

სიმკვდრე სკოლისა აყრუებს, ჰკლავს ყოველსავე ცოცხალ გრძნობას მოწაფეში, ახლოუნგებს ყოველივე მისწრაფებას ხალისა ცოცხალ ცოდნისადმი, ცოცხალ საქმისადმი, ცხოვრების შემოქმედებისადმი. სიცოცხლე ნიშავს ქმნას, და დანიშნულება სკოლისა იმაში-კი არა მდგომარეობს, რომ მისცეს მოწაფეს, რაც შეიძლება მომეტებული რაოდენობა ცოდნისა (ცხოვრებაში რომ გამოვა, ხომ მაინც მოუნდება სწავლა ხელმეორედ: ვერავითარი სკოლა ვერასოდეს ვერ მისცემს ცხოვრებისთვის ყოველ საჭირო ცოდნას), — არამედ იმაში, რომ გაუღვიძოს მოწაფებს ხალისი ცოდნისადმი, სურვილი ყოველი ცხოველისადმი და შეაყვაროს ყოველივე ეს.

სკოლის გაკვეთილები უნდა ატყვევებდეს და ჰეიბლავდეს ახალგაზდა გულს. სკოლა ამას არა შვრება. მის პირისახეზე არ არის ღიმილი ცხოვრებისა. იმას სძინავს, სძინავს მკვდარის ძილით, და პირველი, რაც საჭიროა, — ეს, გაღვიძება მისი, ახდა მისგან მკვდრის სახურავისა, ჩაბერვა მასში ცხოველი სულისა. ეს პირველი და უმთავრესად საჭირო რეფორმა სკოლისა.

## II.

სკოლის რეფორმის განხილვის დროს, უმთავრეს ყურადღებას აქცევენ უნივერსიტეტის ცხოვრებას. ბევრს ლაპას რაკობენ და სწერენ უნივერსიტეტის უკანასკნელ კანონების შეცვლის საჭიროებაზე, მსჯელობენ, თუ როგორი სასურველი ხასიათი მისცენ სტუდენტების და პროფესიონების ურთისენტობას, აღნიშნავენ იმ სიძნელის

უსარგებლობას, რომლითაც იღებენ სწავლის ხარისხებს და მათთან შეერთებულ პროფესორის კათედრებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საჭირო და საყურადღებო კითხვებია, მაგრამ იმის ფიქრი, რომ ამ კითხვების სწორე ასენა მოსპობს ყოველნაირ სნეულ მოვლენას, თუ მთელი სკოლისას არა, უმაღლესისას მაინც,— იქნებოდა დიდი შეცდომა. პირველად, ყოველგვარი ცხოვრება საზოგადოდ და სკოლის ცხოვრებაც კერძოდ, უმთავრესად, დამოკიდებულია არა ცირკულიარების ბრძანებაზედ; ცხოვრება უმჯობესდება და იცვლება ხალხის მიერ, და არა წესდების მუხლების გამოცვლით. მეორედ, თუ მრავალ სართულიან შენობის სახურავთან ემჩნევა დიდი ნახეთქები,— მთელი შენობის სიმკიდრისათვის არა კმარა მათი შეკეთება; საჭიროა გამოკვლევა თვით საძირკვლისა და მისი გამაგრება. ზეითა სართულების ნახეთქები არის შედეგი საძირკვლის არა საკმარისი სიმკიდრისა. უნივერსიტეტის ცხოვრების ყოველივე უწესოებანი და ავადმყოფი მოვლენანი არის შედეგი, სუყველაზე პირველად, მთელი დაბალის და საშუალო სკოლის უწესრიგობისა. ბნელი მხარეები სტუდენტობისა არის მხოლოდ მომეტებულად მკაფიო გამოცხადება მოწაფეობის ბნელი მხარეებისა. სტუდენტი შედის უნივერსიტეტში უკვე შემუშავებულის ხასიათით, რომელიც ეძლევა მას საშუალო სასწავლებელში ყოფნის დროს. უნივერსიტეტი შემდეგში მხოლოდ საბოლოვოდ ამტკიცებს ამ ხასიათს. ამიტომ უმთავრესი უყრადღება სკოლის რეფორმის განხილვის დროს უნდა იყვეს მიქცეული არა უნივერსიტეტის საქმის დაყენებაზე, არა— მედ—საშუალო სკოლის, რომელიც არის მოსამზადებელი სახელოსნო, საღაც იღებს

ფორმას მიმართულება ჩვენის ახალი თაობისა.

ყველა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები ერთხმად სჩივან იმაზედ, რომ მომეტებულ ნაწილს სტუდენტებისას აკლიი სერიოზული, მეცნიერული მომზადება და არ აქვს ხალისი მეცადინებისა. მიზეზი— სიმკვდარეა სკოლისა, რომელზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. არ შეიძლება უცუდ-შედეგოდ სუნთქვა გაფუჭებული ჰაერისა მთელი ათეული წლების განმავლობაში. არ შეიძლება, რომ კაცი ამდენ ხანს იჯდეს მკვდარი გვამის გვერდით და არ იმოქმედოს მასზე სიდამპლემ.

მაშ როგორ უნდა გაცხოველდეს ჩვენი სკოლა? როგორ უნდა ახალოს მას მძიმე სახურავი მომაკვდავისა? უწინდელ ღრმუში ზოგიერთ ველურ ხალხებს ჰქონდა საშინელი ჩვეულება: ქალაქის დაფუძნების დროს, ანუ რაიმე დიდი საზოგადოებრივი შენობის დაწყებისას, საძირკვლის ქვეშ ჩაჰულავლნენ ხოლმე ცოცხალ აღამიანს. თავს-ზარ-დაძუები ველურობაა ეს! მაგრამ თუ ღრმათ ჩაუკვირდებით ამის აზრს, დავინახავთ რომ აქ ტლანქი ფორმის ქვეშ გამოსჭვივის დიდი აზრი. ქველი დრო გრძნობდა, რომ ყოველივე დაწესებულება, ყოველივე საქმე მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე და ცოცხალი, თუ მის საფუძვლად იქნება დადებული ცხოველი სული აღამიანისა, თუ კაცი მოახმარებს საქმეს მთელს თავის სიცოცხლეს, მოელონ თავის არსებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

სკოლა, ეჭვი არ არის, დიდი საქმეა აღამიანის კერძო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იგი არის პირველ-ხარისხოვანი ჩინებული დაწესებულება. გვესმის ჩვენ ეს ცოცხლად? ვდებთ ვგრძნობთ ჩვენ ამას მკაფიოდ?

ჩვენ მასში ცხოველ სულს? მოვითხოვთ, თუ არა, ვცდილობთ, თუ არა, და რასმე ვაკეთებთ, თუ არა, რომ სკოლის საქმის აღამიანებმა სულითა და გულით მოჰკიუდონ თავის საქმეს ხელი? ჩვენში მასწავლებლობა გადაიქცა ხელოსნობად. თუ კაცმა მიიღო რაიმე გარეგნული სწავლა, ჩააბარა ეგზამენი, მიიღო დიპლომი,— იმას შეუძლიან, როცა უნდა გახდეს მასწავლებელი. არავინ ფიქრობს იმაზედ, აქვს თუ არა იმას მოწოდება და შინაგანი თვისებები მასწავლებლობისა. საქმე სულ უბრალოდ კყოლდება: სახელოსნოში განთავისუფლდა ადგილი; მოდის კაცი დიპლომით, იქნებს ადგილს, და საქმე თავის წესზე მიდის. აქ კოტა რამე მოეთხოვება კაცს: იაროს მხოლოდ ბეჭითად სახელოსნოში და ატრიალოს მანქანა. საქმე კი არსებითად რომ გავშინჯოთ, დაინახავთ, რომ მასწავლებლობა სრულებითაც ხელოსნობა არ არის; იგი—ხელოვნებაა, და მასთან, ერთი უძნელესთავანი და კეთილთაგანი. ნამდვილი პედაგოგი, პედაგოგი მოწოდებით და ნიჭირებით აღჭურვილი, არის არა ნაკლები ხელოვანი, თუ კიდევაც დიდი არა, მინამ შექსპირი, რაფაელი, ტორვალდსნი, კანოვა. შექსპირმა მოგვცა სახეები, უკვდავი სახეები აღამიანისა, როგორიც არის იგი, მთელის მისის სიღიადით და სიმდაბლით. ჭრმარიტი პედაგოგი მოწოდებულია, რომ არა მხოლოდ ხელოვნურ სასხეებში, არამედ ცოცხალ ხალხში აღზარდოს ნამდვილი სახე სრულის აღამიანისა. რაფაელი ტილოზედ ფერადებით, ტორვალდსნი თიხით და მარმარილოთი იჩენენ თავიანთ შემოქმედებას, ხოლო ხელოვანი პედაგოგი იჩენს თავის შემისათვის გამოჩენდნენ არა როგორც სახელოსნოს, არამედ როგორც ხელოვნებითს დაწესებულებას, სადაც გვაქვს საქმე ახალგაზდა აღამიანის სულთან, რაც ყველაზე ძვირფასია ქვეყანაზე. მაშინ ახალი საქმისათვის გამოჩენდნენ ახალი მუშაკებიც. მაგრამ ამასთან გასაგებიც არის, რომ საზოგადოება უნდა ეპურობოდეს მასწავლებლის შრომას არა როგორც ხელოსნისას, არამედ როგორც ხელოვნისას, არ შეიძლება მასწავლებლის ჩაყენება ფოსტის ჯაგლაგი ცხენის მდგომარეობაში, რომელსაც ჯაფა ბევრი აქვს, საჭმელი კი ნაკლები. აღამიანი, რაც უნდა მაღალი აზრებით იყვეს გამსჭვალული, ჭამა, სმა,

მართლის გმირად ნაკლებ გარჯოულობად არ უნდა ჩაითვალოს, თუ მეტად პრა, ვიდრე ასეთივე სახის გამოყვანა ნათელი ფერადებით, გაცხოველებულ მარმარილოთი ან ხელოვნური სიტყვით.

რა თქმა უნდა, ასეთი მუშაობა მოითხოვს შესაფერის ნიჭს, შესაფერის მომზადებას. ასეთი მუშაობა ყველას არ შეუძლიან. იგი მოითხოვს კაცს ბუნებით ნიჭიერს და მოწოდებულს.

იტყვიან: „სად ნახავთ ყველა სკოლებისთვის ხელოვან პედაგოგებს? ასეთი პედაგოგები ხომ საუკუნებით იბადებიან!“

ყველა სკოლებისთვის, რასაკვირველია, ვერ ვიშოვით პესტალოცცებს, პიროვოვებს, უშინსკებს; მაგრამ ყოველ წლობით ხომ არ იბადებიან რაფაელებიც, შექსპირებიც, ფიდიებაც,—გარნა მაინც ხელოვნება არა კვდება. თუმცა ლიტერარას, მხატვრობას გენიოსები არა ჰყავს, მაგრამ მაინც არა უშავს რა, რადგანაც საკმარისი მსახური ჰყავს, ღვთიური ნაპერწელით აღზნებული, და მხურვალედ მოყვარული თავის საქმისა. იგივე იქნებოდა ჩვენი სკოლის შესახებაც, რომ იმას უცქეროდნენ არა როგორც სახელოსნოს, არამედ როგორც ხელოვნებითს დაწესებულებას, სადაც გვაქვს საქმე ახალგაზდა აღამიანის სულთან, რაც ყველაზე ძვირფასია ქვეყანაზე. მაშინ ახალი საქმისათვის გამოჩენდნენ ახალი მუშაკებიც. მაგრამ ამასთან გასაგებიც არის, რომ საზოგადოება უნდა ეპურობოდეს მასწავლებლის შრომას არა როგორც ხელოსნისას, არამედ როგორც ხელოვნისას, არ შეიძლება მასწავლებლის ჩაყენება ფოსტის ჯაგლაგი ცხენის მდგომარეობაში, რომელსაც ჯაფა ბევრი აქვს, საჭმელი კი ნაკლები. აღამიანი, რაც უნდა მაღალი აზრებით იყვეს გამსჭვალული, ჭამა, სმა,

## ფიქრები სკოლაზე

ოჯახის შენახვა მაინც უნდა მას. თუ ამბობენ სამართლიანად, რომ არა პურითა მხოლოდ სტროგინის კაცი, ისიც მართალია, რომ უპუროთაც ვერ გაძლებს ოგი.

მე ვიცი რამდენიმე კაცი, რომლებსაც გულმხურევალედ უყვართ სკოლა, ცოცახლად ეინტერესებათ პედაგოგიკა, მაგრამ მაინც შორსა სდგანან სკოლის საქმეზე ერთი მსახურებს ბანკის დირექტორად, მეორე ქარხნის საქმეს აწარმოებს, მესამე წიგნის ყდის საქმეს განაგებს. მასწავლებლის მძიმე შრომის გაწევაც ყველას არ შეუძლიან. ნიკიერი ადამიანები კიდევაც გაურბიან მასწავლებლობას. საზოგადოებრივის თუ უნდა, რომ სკოლა თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, იმან უნდა მოაწყის სკოლა ისე, რომ იზიდავდეს თავისკენ საუკეთესო ძალებს.. თუ ჩვენ რიგიანათ არ ვზრუნავთ სკოლაზე, არა გვტკივა გული მის საჭიროებებზე, არა ვცდილობთ მივიზიდოთ მასთან და მის სათავეში დავაყენოთ ცხოველი ადამიანები, მაშ ტყუილად-ლა ვჩივით სკოლის სიმკაცრეზე. რასაც დასთესავ, იმას მომკი.

### III

„ბევრი ცოდნა გერ აკეთებს დიდ ჭჭას“.

ბერაჭლიატი.

შეხვდნენ ერთმანეთს ქუჩაზედ ორი ნაცნობი, რომაელი კაცი.

— საიდან მოდიხარ შენ? — ეკითხება ერთი.

— პლინიასაგან.

— როგორ პლინიასაგან? ჩვენი დიდი ნასწავლისაგან? შესანიშნავი პლინიასაგან?

— დიახ, იმისაგან. მე ამ ცოტა ხანში გავეცანი მას და უკვე რამდენჯერმე ვიყვავი მასთან.

— აი ბედნიერი! მაშ, მიამბეჭდოთ სტროგინობს ის, რას აკეთებს?

— რას აკეთებს? — სულ სწერს, ან კითხულობს, მომეტებულად კითხულობს; კითხულობს სეირნობის დროს, კითხულობს ჭამის დროს, როდესაც ბანაობს, მაშინაც-კი კითხულობს.

— ერთი მითხარი, თუ ხათრი გაქვს, — განციფრებით ჰყითხა გულუბრყვილო რომაელმა. — სულ კითხულობს და კითხულობს. მაშ როდისლა ფიქრობს ის?

პლინიას ნაცნობი შეერთა. ის გააშტერა ასეთმა კითხვამ.

— მართლაცა და, თუ კაცი დილიდან სალამომდის სულ კითხულობს, მაშ როდის-ლა ფიქრობს? მთელი მისი დრო არის შთანთქმული სხვისი აზრების შეთვისებით. სადღა არის აღგილი და დრო მისი საკუთარი აზრების მუშაობისთვის?

ეს კითხვა დიდად საყურადღებოა. გონივრულად ჭამასმის გამოცანა იმაში-კი არა მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ბევრი ნაჭრები გადაყლაპოს კაცმა, — არა-მედ იმაში, რომ ჩაყლაპული საუკეთესოდ შეითვისოს სხეულმა, გადააჭციოს სისხლად და ხორცად, სასარგებლო ნაწილები მიითვისოს, ხოლო დანარჩენი გაიშოროს. ეგრევე უნდა ითქვას კაცის გონივრულ, მეცნიერულ განათლებაზედაც. აქ უმთავრესი ისკი არ არის, რა გაიგოს კაცმა; არამედ როგორ გაიგოს; ის კი არ არის, რაც შეიძლება მეტი დაისწავლოს, არა-მედ — დასწავლული კარგად შეითვისოს. ადამიანის თავი დასაწყობი აღგილი კი არ არის სხვისი ავეჯების შესანახად. ეს ცხოველი სულია, საღაც მიმდინარეობს დაუცხრომელი მუშაობა. ეს არის თავი სებური საჭმლის-მომხარშავი მანქანა შესათვისებლად მიღებული გონებითი მასალისა. და როგორც სხეულისთვის საჭი-



რომ თავის საკუთარი კუჭის წვენი, შესამუშავებლად გარედგან მიღებული საჭმელისა, — აგრეთვე საჭიროა კაცისათვის მუშაობა საკუთარის აზრისა, შესათვისებლად გარედგან მიღებული წიგნურ კოდნისა. თუ კუჭს საკუთარი თავის წვენი არა აქვს, საჭმელი ვერ გადაიხარშება, და მოხდება მხოლოდ განაგვიანება კუჭისა; ეგრეთვე თუ კაცს თავისი საკუთარი აზრი არა აქვს, რამდენიც და რანაირი კოდნაც უნდა შეიძინოს, მოხდება მხოლოდ განაგვიანება თავისა. ასეთი ძალატანებითი, მექანიკური და შეთვისებული სწავლა კი არ ამტკიცებს კაცის გონებას, არამედ აჩლუნგებს მის გონებრივს ძალებს. ვითარდება მხოლოდ ერთი მეხსიერება; თავის საკუთარი მოსაზრება, შემოქმედებითი ძალა გონებისა კი სუსტდება. კაცმა ძალიან ბევრი იყის სხვისი, და არაფერი არ შეუძლიან სთქვას თავისი.

ძველი ქვეყანა ამის შესახებ უფრო ბედნიერი იყო ახალზე. იქ ნაკლებს სწავლობდნენ, სამაგიეროთ მეტს ფიქრობდნენ; ცოტა იცოდნენ, მაგრამ ბევრს აზროვნობდნენ. ამიტომ ძველმა ღრმომ მოგვკა დიდი გონებრივი ძალები. უამთა ვითარების მსვლელობით კოდნა იზრდებოდა, მისი შეთვისება მოითხოვდა დიდსა და დიდს გონებრივი ძალების დახარჯვას, ცოტა სივრცე ღა რჩებოდა საკუთარის შემოქმედების გამოსაჩენად. განმეორდა იგივე, რაც თანამედროვე სწავლულის კაბინეტშია: მთელი ოთახი წიგნებით არის გავსებული, ასე რომ აღარ შეუძლიან კაცს აღარც გავლა, აღარც მობრუნება, აღარც დაჯდომა, აღარ ადგომა.

ჩვენი თანამედროვე სკოლა ამ შემთხვევაში მივიღა თვით უმწვერვალესობამდის. იმან მთლად გაახვია მოწაფეები სასწავლო ნივთიერებაში. სალაპარაკოდ და საფიქ-

რებლად აღარ სკოლიან ეხლონდელ მოსაწავლე ახალგაზდობას.

მეტად ბევრი საგნებია მიყრილი სკოლაში. აიღოთ, მაგალითად, სტუდენტი—მედიკი, იმას არამც თუ რამდენიმე ათეული სპეციალური საგანი აქვს სასწავლებელი, არამედ თითო საგანს კიდევ არისა მიზნური განყოფილება აქვს: მაგალითად, ანატომია შედარებითი, ანატომია პატოლოგიური და ანატომია ტოპოგრაფიული. სტუდენტ ტეხნოლოგის თითქმის ათი ტეხნოლოგია აქვს, და ყოველივე ეს ერთიანობმანერზე მახლობელია, ერთგვარია, ასე რომ ერთი და იგივე სხვა და სხვა სიტყვებით მეორდება. მაგრამ უმთავრესი ნაკლი ამაში არ არის.

უმთავრესი ნაკლი იმაშია, რომ მეტის მეტად გავრცელებულია სასწავლო საგანი. რამდენია წიგნში დაწერილი უბრალო რამე, უმნიშვნელო—წერილმანი, გამოუსადეგარი ციფრები, სახელები, რომლებიდგანაც შემდეგ ერთი თვისა, სულ ბევრი ერთი წლისა, და ზოგჯერ ერთი კვირისა აღარა რჩება (და საბედნიეროდ აღარა რჩება) არავითარი კვალი.

გასაკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა საზოგადოდ დიდად განვითარებული არ არის, ცოტა ნაკითხია, ხშირად არა აქვს თვით ელემენტარული შემეცნება საქვეწნო კითხვებისა. მას არ სკოლიან გაეცნოს ამათ, დაფიქრდეს საფუძვლიანათ, გაარჩიოს ისინი; და ყველაფერი ეს ხდება უაზრო მეცნიერულ სხოლასტიკის გულისთვის, რომელიც დიდი ხანია არხივში უნდა ჩაპარებოდა.

საშუალო სკოლაში საქმე უკეთესად არ არის, თუ ცუდათ არა, უმაღლესთან შედარებით. უშალლეს სასწავლებელში მოსწავლე მაინცა და მაინც ისე ყოველ-

თვის არ არის მიჯაჭული ლექციებზე; იმას მუდამ დღეს ლოდათ მაინც არ აწევს გავეტოლები. საშუალო სკოლის მოწაფე მიჯაჭულია სასწავლებელ წიგნთან, ხოლო სასწავლო წიგნებში უფრო მომეტებული და უსაჭირო მასალაა, მინამ ლექციებში. წლითი-წლობით აქ მუშაობს მხოლოდ მეხსიერება. მოსწავლე სწავლობს და სწავლობს. კითხვისთვის ცოტა რჩება დრო; დაფიქრებისთვის წაკითხულზე—კიდევ უფრო ნაკლები. საკუთარი შემოქმედებითი მუშაობისთვის ადგილი არ არის; აზრი მოქმედობს ზანტად, მერმედ ხდება უფერულად. მოწაფე ათავებს სკოლას, იღებს სიმწიფის მოწმობას, მაგრამ გონებით იგი სრულებით არ დამწიფებულა; იმას არა აქვს მწიფე აზრი. სკოლაში აძლევენ მას რამდენიმე მზამზარეულს შემეცნებას; ესენი აქვს მას დრომდის; მაგრამ ცხოვრებასთან პირველსავე შეხლაზე ადვილად სტოვებს მათ. ის ცხოვრებაში შედის მოუმზადებელი და ამიტომ ადვილად გაჰყვება ხოლმე პირველსავე შეხვედრილს მიმდინარეობას.

სკოლის მიზანი ამნაირათ შეუსრულებელი რჩება. სკოლას არ მოუმზადებია მოწაფე დამოუკიდებელი მუშაობისათვის. იმას არამც თუ არ აღუზრდია მოწაფეში მტკიცე, ძლიერი ხასიათი სიმართლესა და სიკეთეში, არამედ არ განლვითარებია, არ ვანუმტკიცებია აზრიც კი. იგი მისდევდა აქამდის ცოდნის რაოდენობას, მოითხოვდა ძხოლოდ ცოდნის სინამდვილეს, ავიწყდებოდა, რომ ბევრი ცოდნა არ აკეთებს ჭიქუს. ჭიქუა იზრდება და მტკიცდება არა მექანიკურის შეთვისებათ შესწავლულისა, არამედ თავისუფალის შემუშავებით ამ შესწავლულისა. და ეს ცოდნა ნაკლები იყვნეს რაოდენობით, მაგრამ მასთან გატარებული იყვნეს თავის

საკუთარ აზრში; ადამიანშა თავის შინაგანის დაუინებულის მუშაობიზ ეს ცოდნა თავის საკუთრებად უნდა გაიხადოს. აღფრედ მიუსსე კნონიერის სიამაყით ამბობს: „მე ვსვამ პატარა ჭიქიდგან, მაგრამ საკუთრიდგან“.

საჭიროა სკოლაში შემცირდეს სამოსწავლო ტვირთი, ყურადღებით გადათვალიერდეს ყველა პროგრამები და გამოირიცხოს ყველოვე ის, რაც მეტად არის მიჩნეული. დარჩენილი თავისუფალი დრო არ შეივსოს სამოსწავლო მასალით, არამედ მიეცეს მასწავლებლის და მოსწავლეთა განკარგულებაში. ეხლა ხომ იმათ არა სკალიანთ ერთმანეთში ან წაიკითხონ რამე, ან ილაპარაკონ, ან იფიქრონ. ზეპირათ-სწავლა, როგორც რაღაცა საშარი მოჩვენება, თავს წასდგომიათ მასწავლებელსა და მოწაფეს და ეუბნება: „შემდევ განაგრძეთ, შემდევ და შემდევ!“ და ეს ორი არსება შემძული ერთ ურეში, მიდიან უსვენებლივ, და თან-და თან უფრო ბოროტდებიან ერთმანეთზე. ეს ორი „მტერი“ უნდა დავამეგობროთ, უნდა გავხადოთ ხელ-ჩაბმულ მუშაკებად, ორივესთვის ერთნაირად ძვირფას საქმეში, რომელიც არის გონებრივად და ზნეობრივად განვითარება.

იმისი ფიქრი, რომ ახალგაზდა აზრი შეიძლება გატაცებულ-იქნას, შეიძლება მან გზას გადაუხვიოს, — ეს უადგილოა. უნდა ითქვას, რომ ეს აუცილებელიც არის. იჭვნეულობა, კრიტიკულად დაფასება ბავშვურ მსჯელობათა, შეხედულებათა ადრე თუ გვიან მოდიან სიჭაბუკეში. ბავშვობაში ადამიანი უყურებს ყველაფერს უფროსების თვალით, მისი მსჯელობანი დამყარებულია სხვის შეხედულობაზე; ის თითქმის ხელით სატარებელია. როდესაც წამოიზდება, ბავშვს უნდა



შეინიჭოს თავისუფლება, უნდა იაზროვნოს დამოუკიდებლად, უნდა თავისი საკუთარი შეხედულობა იქონიოს. ხდება გარაშინჯვა ყოველივე იმისა, რაც მიღებულია ბავშვობაში. აი აქ არის საშიში, რომ ბავშვი მარტოდ არ დარჩეს ამ მდგომარეობაში; იმას ფრიად ესაჭიროება კარგი, გამოცდილი, სულიერად—მწიფე და მახლობელი ხელმძღვანელი კაცი, რომელსაც ეწოდება **მასწავლებელი**.

განსვენებული ვლადიმერ სოლოვიოვი გიმნაზიურ წლებში იყო მეტად უარის-მყოფელი და მატერიალისტი. მისი მამა, შესანიშნავი ისტორიკოსი, დამშვიდებით უცქეროდა ამ ჭაბუქურს ჭირვეულობას.

— გაივლის! — ამბობდა ის. — თავის დროზე ყველაფერი დონაზე დადგება. საუკეთესო ყურძნის წვენი პირდაპირ ვაზიდგან ბოთლში ღვინოთ არ ჩამოდის. რამდენიმე ხანს იგი დუღს, მაშინ მღვრიედა მწარეა. შემდეგ სიმღვრიეც და სიმწარეც გაივლის. გაუვლის ღულილი ვლადიმერსაც.

მართლაც თავს დროზე ყველაფერმა გაიარა. პირველი ძლიერი და დაბეჯითებითი ხმა წინააღმდეგ მატერიალიზმისა და პოზიტივიზმისა რუსეთში იყო ხმა ვლადიმერ სოლოვიოვისა. მისი აზრი მთელი სიცოცხლის განმავლობაში განსაკუთრებით ძლიერად მუშაობდა ქრისტიანულ ფილოსოფიაზე; ერთი სიტყვით, იგი გახდა ღრმად მორწმუნე ადამიანი.

ეს მაგალითი არის საუკეთესო საბუთი იმისი, რომ არ არის საშიში დუღილი ახალიმაჭრისა; საჭიროა მხოლოდ მდუღარე მაჭართან იყვეს გამოცდილი მეღვინე.

#### IV

მრავალს ჩვენგან სიყმაწვილეში წაუკითხავს გუსტავ ემარის თხზულებანი

შესახებ ჩრდილო-ამერიკელ ინდოელების ცხოვრებისა. რანაირის გულის ფანცქალით უდევნებია ყურადღება წამკითხველს ბრძოლისათვის ორის მტრულად განწყობილი ხალხისა — აპახებისა და კომანჩებისა! გულს-მოდგინეთ წაუკითხავთ ის ფურცლები, სადაც არის აწერილი სამხედრო მოხერხებულება ერთის მხრივ და მარჯვედ განდევნა მტრებისა — მეორეს მხრივ. იგონებ ეხლა ბავშვურ შთაბეჭდილებებს იმ წიგნიდგან, ადარებ იმათ მაშინდელ სკოლის სინამდვილესთან და ხედავ, რომ ჩვენთვის არ იყო საჭირო ამერიკაში გაქცევა სამხედრო ამბების სანახავად, როგორც ბევრი ჩვენგანი ამაზედ ოცნებობდა: მთელი ჩვენი სკოლის ცხოვრება აშკარად წარმოადგენდა ერთმანეთთან ბრძოლას „აპახებისას“ და „კომანჩებისას“: მოწაფეები იყვნენ ერთის მხრივ მტრულად-განწყობილი ხალხი, მასწავლებლები — მეორეს მხრივ. აქ რამდენიც გაკვეთილი იყო, იმდენი ბრძოლა ხდებოდა: ერთი ეცემიან თავს, მეორენი სცდილობენ მოიგერონ. მასწავლებლები სცდილობენ დაიჭირონ, „ჩასჭრან“; მოწაფეები ხმარობენ მთელს თავის ნიჭს, რომ მოატყუონ მასწავლებელი.

გაჩნდა რაღაცა თავისებური საომარი ვარჯიშობა. მასწავლებელი რიგზე არა ჰყითხავს: გუშინ ჰყითხა, დღეს ხელ-მეორედ უძახის; მოწაფის გამოძახილზე, მასწავლებელი უცქერის უურნალის ბოლოს, გვარს-კი ასახელებს ზევით დაბეჭდილს; კლასში სიარულის დროს მასწავლებელი უცბად — მოულოდნელად ბრუნდება უკან, სცდილობს შეუმჩნევლად მიეპაროს მოწაფეს, როდესაც იგი გატაცებულია წიგნში ცქერით, ან სხვისი რვეულიდგან გადმოწერით; — ერთი სიტყვით, მუდმივი ბრძოლა „აპახებს“ და „კომანჩებს“ შორის.

მოწაფები თავიანთ მხრივ ხმარობენ ზომებს თავის დასაფარავად: ერთი-ერთ-მანეთის რვეულიდგან სწერენ, უჩურ-ჩულებენ, კლასში გზავნიან ერთმანეთში ქალალდის პატარა ნაჭერზე გაკეთებულ ამოცანას, მოტყუებით იყურებიან წიგნ-ში, გაკვეთილს სწერენ კარანდაშით პარტაზე, ხელის გულზე იკრობენ პატარა ქალალდს, რომელზედაც წვრილი-წვრილი ასოებით არის დაწერილი გაკვეთილის პასუხი.

ყოველივე ესენი ჩვეულებრივი, ყველა-სათვის კარგად ნაცნობი, სურათებია; მაგრამ, მიუხედავად იმისა რომ ესენი ჩვეულებრივია, მაინც საშინელებას წარმოადგენენ. ეს ხომ თვალთმაქცობაა, მოტყუება და ვერაგობა.

ევროპის დიდ ქალაქებში მაძებარ განყოფილებებთან იმართება „ქურღების“ მუზეუმები, სადაც შეგროვილია ყოველ-გვარი იარაღები ქურდობისა, ტაცებისა. იმათ დათვალიერებაზე კაცს გული უკად უხდება. ამ იარაღების გამოგონებაზე რამდენი ჭკუაა მოხმარებული და რაზეა ყოველივე ეს მიმართული!

ეხლა რომ ჰედაგოიურ მუზეუმებთან გაკეთდეს განყოფილებანი მოწაფების გაიძვერაობისა, რას იგრძნობდა იქ გულ-მართალი აღამიანი? სურათი მეტად თავუზარ-დამცემ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

კონსტანტინე აქსაკოვი ვერ იტანდა უსამართლობას; მას აღელვებდა სულ უბრალო ტყუილიც. ის, მაგალითად, არასოდეს ნებას არ აძლევდა მოსამსახურეს, რომ უარი ეთქვა მოსული აღამიანისთვის იმ საბუთით, რომ ბატონი შინ არ არისო, თუ ის სახლში იყო. მოსამსახურე ვალდებული იყო ეთქვა: „ბატონი შინ არის, მაგრამ საქმე აქვს და ბო-

დიშს ითხოვს; არავისი მიღები ეხულება“.

— ესე რათ იქცევი? — ეუბნებოდა მას მამა. — განა ძნელია თქმა: „სახლში არ არის?“ თორემ შეიძლება ეწყინოთ.

— ტყუილად ეწყინებათ, — უბასუხებდა კონსტანტინე. — ჭკვიან კაცს უნდა ესმოდეს, რომ შუა სიტყვაზე არ შეიძლება დატოვება სერიოზული მუშაობისა, რომ აზრის შეწყვეტა არ იქნება. ტყუილი კი ყოველთვის ტყუილია, ესე იგი, რაღაც ცუდი, საზიზღარი, სულმოკლე სამარ-ცხვინო.

წარმოიდგინეთ ახლა, რომ ასეთი პატიოსანი და მართალი ყმაწვილი კოწია მოხვდა იმ სკოლაში, სადაც ზემოთ აღნიშნული გაიძვერაობა ხდება მოწაფებისა. რანაირი ზნეობრივი ტანჯვა უნდა განიცადოს იმან! როგორი ცეცხლი და ტრიალდება იმის გულში! და ვინ დადაგება იმის თავდებად, რომ სკოლის ომი „აპახებისა“ და „კომანჩებისა“ არ დაამახინჯებს მას?

ერთხელ შევხვდი ნაცნობს პროფესორს, კაცს დიდად პატიოსანს. მოდის ძალიან დაღონებული.

— რა დაგმართვიათ? — ვეკითხები მე. უსიამოვნება ხომ არა შეგემოთხვათ-რა?

— საძაგლობა და არა უსიამოვნება, — გაჯავრებით სთქვა იმან. — ეს არის ეხლა შევხვდი ძმისწულს, ვეკითხები:

— საით?

— გიმნაზიაში.

— რათ?

— ამხანაგს უნდა დავუწერო ეგზამენის თხზულება.

— კაცო, ეგ ხომ მოტყუება, ვერაგობა, საძაგლობა, სიყალბეა, — ვეუბნები მე.

— მაშ რა ვუყო, — მიპასუხებს ის, — არ იქნება ამხანაგს არ დავეხმარო.



თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი კარგი და პატიოსანი იყო ის ყმაწვილი ბავშვობაში! მისი მამა ძალიან უურადღებას აქცევდა შვილს და უფრთხილდებოდა, როგორც თვალის გუგას. თქვენ იცით, როგორი წმინდა კაცი იყო მისი მამა! მაღლობას არ ეტყოდა ის მამა სკოლას შვილისათვის.

ამ მხრივ არ ეტყვიან მაღლობას სკოლას არც სხვა მშობლები. ჩვენი სკოლა არ ასწავლის თავის მოწაფეებს პატიოსნებას და ზნეობრივს რიგიანობას.

გინახავთ თქვენ როდისმე სიმწიფის ატტესტატის მისაღებ ჭერის ეგზამენი? დამახასიათებელი სურათია.

ვებერთელა დიდ დარბაზში თითო საჟენი ადგილის დაშორებით სდგას პატარა მაგიდები. თითოზედ ერთმანეთი-დგან განტალკევებით სხედან გიმნაზიის მოწაფეები, თითქოს დიდი დამნაშავენი იყვნენ, ცალკე დამწუცდეულები. დარბაზში მკვდარი სიჩუმე სუფექს. დირექტორი, ინსპექტორი და ორი-სამი მასწავლებელი არ აშორებენ თვალს ეგზამენის დამჭერლებს, რომ ისინი როგორმე ერთმანეთს არ დაეხმარენ, არ ჩაიხედონ ჩუმაღ-მოტანილს წიგნებში.

რა ვუწოდოთ ამას? სრული ზნეობრივი სიღატაკეა სკოლისა. მასწავლებლები უვლიდნენ მოწაფეებს შვიდი—რვა და ათი წლის განმავლობაში; და ბოლოს—კი ახდილად აღიარებენ, რომ ისინი სრულებითაც არ ენდობიან თავის მოწაფეებს, არ მიაჩნიათ ისინი პატიოსნებად.

მიუხედავად ჰედა-მხედველობის ყოველ-გვარი სისასტიკისა, მოწაფეები, კანდიდატები სიმწიფის ატტესტატისა, მაინც ატყუებენ მასწავლებლებს. გამოდის რაღაც საშინელი სურათი, სადაც ერთნი იჭერენ, ეძებენ, ხოლო მეორენი იმაღებიან,

სცდილობენ მოატყუონ მოწინააღმდეგებენი. დასთან მდიოთ, რომ თუ ეს პედაგოგიკა, მაში არის პედაგოგიკა, „აპახებისა“ და „კომანჩებისა“.

ჩვენი სკოლა, ასეთი განწყობილება მოწაფისა მასწავლებელთან, მუდმივი ომი „აპახებისა“ და „კომანჩებისა“ ვნებას აყენებენ სკოლის ზნეობასაც. ჩვენი სკოლის მორალი არის განსაკუთრებითი მორალი, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სამწუხაროდ, უარყოფა მორალისა, აი ამის მაგალითი.

ერთ-ერთ უმაღლეს დახურულ სასწავლებელში მიდის სავარჯიშო მეცადინეობა. ამ მეცადინეობაში განსაკუთრებით ცოცხალ მონაწილეობას იღებს სტუდენტი საუცხოვო კარგი ყმაწვილი. გათავდა ვარჯიშობა, ის მიდის ზევით საავადმყოფოში. იქ შემთხვევით შედის დირექტორი.

— რას აკეთებთ აქ ბრონი №?

— თავი საშინლად მტკიცა.

— აი გმირი! — ელიმება დირექტორსა — საშინლად გტკივათ თავი, ასე გაცხარებულათ კი მსჯელობდით. ყოჩალ!

— მაპატიით, — შერცხვენით უპასუხა №,— მე თქვენ მოგატყუეთ, სრულებით არა მტკიცა რა.

— მომატყუეთ? — განცვითადა დირექტორი, — რატომ?

— მაში სხვანაირად როგორ მოვქცეულიყავ? — დარცხვენით გაიღიმა №, — თქვენხომ მთავრობა ხართ, — ხოლო მთავრობას, არ არის მიღებული, რომ მართალი უთხრან.

აი საშინელება ჩვენი სკოლისა: მოწაფე შეჩვეული მასწავლებელს ტყუილი უთხრას; და ამ ტყუილით გაედენთილ სკოლის პაერში ჩვენ შვილები რჩებიან გძელი წლები; ეჩვევიან მუდმივ ტყუილს,

როგორც რაღაცა ჩვეულებრივს, ზოგჯერ კიდევაც თითქოს გმირულს, საქებარს. განა უცნაური არ არის ამის შემდეგ ლაპარაკი ჩვენის სკოლის გავლენაზედ?

სამწუხარო და სასაკილოა,—სთქვა ერთხელ ვლადიმერ სოლოვიოვმა,—როცა ლაპარაკობენ სკოლის აღზრდის გავლენაზე ჩვენში. როგორი გვაქვს ჩვენ სასკოლო აღზრდა! ჩვენ არა გვაქვს მიმზადებაც კი აღზრდისა. ჩვენა გვაქვს მხოლოდ გარეგნული წვრთნა.

ჩვენმა სკოლამ უნდა იყაროს იარაღი, მოსპოს ომი „აპახების“, და „კომანჩებისა“, დაშალოს ორი მტრულად განწყოს ბილი ბანაკი და გახდეს ერთ მეგობრულ, მოსიყვარულე ოჯახად. ღრმა შევიგნოთ, რომ დასჯა, დამუქრება და შიში ცუდი თანაშემწენი არიან სკოლის საქმეში. სკოლა გაუმჯობესებული კაზარმა კი არ არის, საღაც მთელი წესი დამოკიდებულია გარეგან სასტიკ დისკიპლინაზე; სკოლა უნდა იყვეს თანაშემწე კარგის ოჯახისა. მასში ყოველივე უნდა იყვეს დაფუძნებული თბილ ალერსზე, ცხოველ სიყვარულზე, სრულს ნდობაზე. მისი დანიშნულება იმაში კი არა მდგომარეობს, რომ შიშით დაახშოს ცუდი მიღრეკილებანი, არამედ იმაში, რომ სიკეთით გააღვიძოს კეთილი გრძნობები. გაღვიძებული ძლიერი გრძნობა თითონ მოსპობს ცუდ მიღრეკილებათა. სიკეთის გაღვიძება სიკეთითვე შეიძლება, სიყვარულისა სიყვარულით, როგორც ცეცხლს აღვიყვებენ ცეცხლით.

შესანიშნავი გამწვრთნელი ცხოველებისა დუროვთ ამბობს, რომ ის მოქმედებდა ცხოველებზე ალერსით, და არასოდეს არ იღებდა ხელში მათრახს. ასეთი საშულებით ის ყოველთვის გამარჯვებულად მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ბაგშის

რბილ გულზე არა ნაკლებად იმოქმედებს ალერსი და სიყვარული, მინამ ცხოველებზე.

დასჯით, დამუქრებით შეიძლება გაბოროტედეს მგრძნობიარე რბილი გულიც; ხოლო სიყვარულით და ალერსით შეიძლება გასწორება თვით ბოროტ-მოქმედისაც. წარსული საუკუნის დასაწყისში, ეგრედ წოდებულ არაქევშინის საშინელ ღროს, ერთ-ერთ პოლკში მსახურებდა აფიცერი მურავიოვი. გარშემო საშინელი მათრახით ცემა იყო გამეტებული; მხოლოდ მარტო ის არავის არა სჯიდა.

— ყველაზე ნამდვილი საფუძველი დისკიპლინისა,—ამბობდა ის,—არის სიყვარული სალდათისა აფიცერისადმი და სამსახურისადმი, და არა შიში წინაშე მათრახისა და წევბლისა.

იმას არ ეთანხმებოდნენ; ამბობდნენ რომ ის აფუჭებს სალდათებს, რყვნის; ბოლოს, უთხრეს აეყვნა თავის როტაში ერთი ქურდი და ლოთი კაცი, რომელზედაც ვერას გზით ვერ იმოქმედეს ცემით.

მურავიოვი დასთანხმდა, და როდესაც სალდათი მოიყვანეს მის როტაში, ის დიდხანს ელაპარაკებოდა მას ტკბილად.

— შენ, უთუოდ, თავიდანვე ცუდად სცხოვრობდი; შენს გულში ბევრი ბოროტებაა მოგრძვილი. ჩემთან შენ დაისვენებ სულით, შენ თითსაც ვერავინ დაგაკარებს. მე ვიცი, ძნელია შენი თავის შემაგრება, მაგრამ იმედი მაქვს შენი. შენ შენი თავის უფროსი იქნები.

სალდათი იმ დღესვე დაითრო და უწესოება მოახდინა. მურავიოვმა მიიწვია იგი დილითვე და უთხრა:

— გოხოვ თავი შეიმაგრო, ნულარ მოქცევი ამნაირად.

ერთი კვირის შემდეგ, სალდათმა მოჰ-



პარა ამხანაგს წალები და იმის ფასით დაითრო. მურავიოვმა ხელმეორედ და-არიგა. ერთი კვირის შემდეგ, სალდათი კიდევ დაითრო და უწესობა მოახდინა.

მურავიოვმა დაუძახა იმას თავისთან და უთხრა: მე ძალიან მეცოდები. მებ-რალები, რომ შენ სრულებით დაგრა-გვია სინიდისი. კეთილი მოქცევით შენ-გან კარგი არა გამოდისრა; მაგრამ მაინც არ დაგსჯი; წადი! ხელს არ გახლებ.


სალდათმა ქვითინი ამოუშვა; დაიჩიქა და ხვეწნა დაუწყო: „მაპატიეთ; მეტს აღარ ვიზამ. მე არა მჯეროდა ოქვენი გულწრფელობა. ეხლა ვხედავ, თქვენ მა-რთლა კეთილი კაცი ყოფილხართ; მე-კი მეგონა, რომ ქვეყანაზე აღარ არის არც სიკეთე, არც სიმართლე“.

სალდათმა შეასრულა თავისი სიტყვა, და კარგად მსახურებდა.

განა სკოლაში ბავშვებს შორის შეიძ-ლება იყვეს ასეთი გაბოროტებული, რო-გორც ეს მურავიოვის სალდათი? მურავი-ოვმა თავისი ლოთი და ქურდი სალდათი კეთილად გარდაპქნა დაუსჯელად.

ცხოვრებაში არ არის ძალა, სიყვარუ-ლზე უძლიერესი. ვინც ხმარობს სიყვა-რულს, იგი ყოველთვის გამარჯვებულია. გამარჯვება მასწავლებლისა მოსწავლეზე მაშინ იქნება სრული, როდესაც იგი მო-ეცყრობა მოწაფეს სიყვარულით აღსავსე გულით.

განათში ნამყოფი.



## ნიკოლოზ ბურსამვილი

(გაგრძელება)

ალ. ჭავჭავაძემ მშვერივრათ დაგვიხატა სიყვარულის ხორციელი მხარე, სხეულის სილამაზესთან დაკავშირებული. ნიკ. ბა-რათაშვილმა ყურადღება მიაქცია მშვერი-ებას და სიყვარულს იმ მხრით, რა მხრი-თაც მსჯელობს მათზე ახალი რომანტიუ-ლი სკოლა. ვერსად შეხვდებით მის ნა-წერებში ადგილებს, რომლებშიც იყოს გატარებული ხორციელ სიყვარულით და მასზე დამყარებულ ვნებათა ლელვით გა-ტაცება. განვიხილოთ ამ აზრის დასამ-ტკიცებლად რამდენიმე მისი ლექსი:

1. თავადის ჭ.... ძის ასულს. (1893 წ.)  
3ოეტს მოსწონს მრის მშვერივრი ხმა,

ტკბილი სიმღერა, თვალთ რონინება და ღიმილი.

„სადაც სარ იმ მხარეს,  
მოჟოენ სიამეს,  
უშენოდ მოჟსცდეს მისიარებება!  
შენის ენითა,  
სავსე დახენითა  
ვინ არა იგრძნოს გულ კეთილდას!

2. სატრფოვ მახსოვეს... (1840 წ.)...  
სატრფო სტირის, მაგრამ ამ სოფელს კი არა. მისი მოწყენილი სახე არ ჰგავს ხორ-ციელს სახეს... სატრფო სტიროდა პოე-ტის ობლობის მოლოდინის გამო.

„ახლაც, დღეს ვნახავ საღმე  
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,  
გულამთსკვნით ვიგარებ მე  
დღეთა ჩემთა ბედნიერთა!

3. შევიშრობ ცრემლსა (1843 წ.). სი-  
ტურთის ღმერთმა, ომეჭაც უფელნი გუ-  
თილნი შეიერთა, პოეტის სულს

„მოჰყერა ცის ნიჭინი ქეყნად  
და თავის მკაბად (საქებრად) ჭემნა იგი  
მგრისნად“

პოეტს უყვარს ეს ღმერთი შევნიერე-  
ბის მომცემი...

„მისი წარმწევედი, მაცხოვნებელი,  
განამბრძობელი, გამხელებელი!“

ცხადია, რომ ამ ლექსში პოეტი შეა-  
სავს ქებას შევნიერების იდეას, რომლის  
მსახურნი უმთავრესად არიან მგლნები.  
თუ ეს იდეა არაა განხორციელებული  
ნაწარმოებში, უკანასკნელი არაა ხელოვ-  
ნური სიტყვა-კაზმული ნაწარმოები.

4. „შადლი შენს გაშჩენს... 1845 წ.).  
პოეტის შავთვალებიანი სატრფო მზეს და  
მთვარეს წააგავს; წყნარია და საამურო  
ხმიანი... პოეტი მას თანაგრძნობას სთხოვს  
და თავს აბრალებს:

„დედის ერთა გარ: ნუ მოქვეავ,  
ნუ დამანანებ სოფელსა“

პოეტი სოფლის მუშაა, ყარიბი, საწყა-  
ლი... სიმარტივის მოყვარული. მისი ამ-  
ხანაგია—ნაბადი და ძმობილი კი—ბასრი  
ხანჯალი... სოფლად სხვა სიმდიდრეს ის  
არ ელტვის. მხოლოდ ის ენატრება,  
რომ შავთვალა ქალის გული მას ეკუთვ-  
ნოდეს, მისთვის ძეგრდეს... მაშინ მისი  
არსება დატკბება წმინდა სიყვარულით.  
დედამიწაზე ამაზე უდიდესი საუნჯე აღარა  
არის რა.

5. ცის ფერი... პოეტს უყვარდა ცის  
ფერი, ლურჯ-ლაჟვარდი ფერი:

„თვალებში მშვენიერს  
შეტყობი მე ცისა ფერს;  
მთსრული იგი ცით  
გამოკრთის სიამით“. 2

პოეტი, ნერვიული აგებულობის მქო-  
ნებელი, თითქოს გრძნობს სიკვდილის  
მოახლოებას და ცის დასთა შორის გადა-  
სახლებას... წინასწარ გრძნობს უცხო  
მხარეში, სამშობლოს გარეშე სიკვდილს  
და ამბობს:

ფიქრი მე სანატრი  
მიმიწვევს ცისა ქედს,  
რომ ეშხით დამდნარი  
შევერთო ლურჯსა ფერს.  
მოგვიპვები ვერ ვნახავ  
ცრემლსა ჩე შშობლიურს,  
მის ნაცვლად ცა ლურჯი  
დამაფრქვევეს ცვარს ციურს.  
სამარეს ჩემსა, როს  
განს ნისლი მოცცას,  
იგიცა შესწიროს  
ციაგმან ლურჯსა ცას.

6. რად ჰევედრი კაცია, ბანოვანო, პირ-  
უმტკიცობას? (1842 წ.)

ამ ლექსში გამოხატულია პოეტის ფი-  
ლოსოფიური შეხედულება შევნიერების  
შესახებ.

ლექსის დასაწყისში პოეტი მიმართავს  
ბანოვანს (გათხოვილს ქალს) და ეკითხე-  
ბა, რათ აყვედრის კაცს (მიჯნურს) პი-  
რუმტკიცობას (ლალატს, აღოქმის გატე-  
ხას) და რათ ემდურის მას ცვალებადს  
გრძნობას. იმის მიზეზი, რომ მას მიჯნური  
არ ემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებით,  
ისაა, რომ თვითონ ქალი სიყვარულის  
შესახებ ყალბი აზრის არის: მას ჰელია,  
რომ საკმაოა სილამაზე სიყვარულის გა-  
სამტკიცებლათ.. თვით ქალი კი მიჯნურს  
არ სცემს პასუხს შევნიერი სულით: მას არ



გააჩნია მშვენიერება სულისა ხორციელ შვენიერებასთან ერთათ.

შემდეგ პოეტი განასხვავებს სილამაზეს და მშვენიერებას ერთმანეთისგან... სილამაზე იმისი აზრით ხორციელების ნიჭია, მისი კუთვნილებაა. როგორც ხორცი ბერდება, ჭყნება, ის მისი კუთვნილება სილამაზეც თავის დროზე დაჭინება ყვავილის შეგავსათ. შემდეგ პოეტი საფუძვლიანად ამბობს სილამაზის მიერ გამოწვეულის სიყვარულის შესახებ:

„გული მხოლოდ მისდა შენამსჭვალები ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები (არა შტკიცე)

მშვენიერება, პოეტის სიტყვით,

„ნათელია ზეცით მოსული,

რომ ნათლდება უფეხლი გრძნობა გული და სული“.

ადამიანი ღვთაების ნაწილია, მის კერძო, და მის უკვდავს სულის შეუძლიან ჰქონდეს „ტრიუმბის საუკენო მადლიანი“.

„თვით უგვდავება მშვენიერსა სულში მდგრადი მარქს, მას კურც შემთხვევა და კურც ხანი კერძო და-აბერების“.

როდესაც ორი ასეთი სული ერთმანეთს დაუკავშირდება, მათ შორის ურთიერთობა დაუსრულებელი იქნება, კუბოს ფიცრამდის დატრიუმვეველი.

„კავშირი ასეთ სულთა შთბის სიყვარულისა, ზეგარემო მადლით დაუქსნელად დამტკიცებულისა“...

ასეთ სულთა კავშირი წარმოშობს ისეთს სანუკველს გრძნობას, რომ მასზე უტკბესი სასუფეველიც აღარ არის. ამ კავშირს, დამყარებულს სულიერს სიშვენიერზე:

ცისა სხივით აცისკარვენებს მშვენიერება, და უგვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება.

განსილული ლექსი გვიჩვენებს პოეტის შეხედულებას შვენიერების შესახებ, მან

თვისი ამ ლექსით ქართულს მოტივის და არა ისეთი, როგორსაც აღ. ჭავჭავაძე უმღერდა... ბარათაშვილმა დაგმო ქვეყანა გრძნობები, ხორციელნი ვნებანი, რაც მაჩვენებელია საზოგადოების ზეობის უკიდურეს დაცემისა და მისთვის ცუდი, მავგნელი მერმისის მაუწყებელია... ზეობით დაცემული, გათახსირებული, ლვინის, მუცლის და ქვენა გრძნობათა მიმდევარი ერი—თვის არსებაში ატარებს უტყუარს შხამს გადაშენებისა, გადაგვარებასა და დედამიწის ზურგიდამ აღვისა და გაქრობისას. ცხადად სჩანს, რომ ბარათაშვილის დროსვე ქართველი ერის მოწინავე პირნი (საკმაოდ მცირე რიცხვი) სულით დავრდომილობას ეთხოვებოდა, მას იმედის სხივი უბრუნდებოდა, და ამის გამო გრძნობა მისი ცვალების პროცესს განიცდიდა, პატიოსნდებოდა, მაღლდებოდა, მისი ხასიათი სიმტკიცის საფეხურს მიახლოებულიყო და ამის გამო სიყვარული მას მიაჩნდა არა მხოლოდ ხორციელი სიამოვნების წყაროდ, არამედ უფრო მაღალ მისწავლისათვის მზრდებად... ეს კია რომ, რომ ბარათაშვილის მიერ გამოხატული სიყვარული იდეალურია თითქოს განუხორციელებელია, მაგრამ ქართველი ერის სოფლ-მხედველობის ფსის ხოლოგიური პროცესის ისტორიაში—მისი ასეთი დიდებული აზრი ერთს ფრიად—შეიძლება მშენებელის მოქეცის, საფეხურს წარმოადგენს... და უჩვენებს, რომ ქართველშა თავისს განვითარებაში მე—19 საუკუნის წინ წაღვა ბიჯი სხვა განათლებულ ერებთან ერთად. მართალია, გარჩეული ლექსი რაღაც შეუფერებელია გარეგნობით, თითქოს არც აქმაყოფილებს პოეზიის თეორიის მოთხოვნილებას ხელოვნებითის შემოქმედების შესახებ მაგრამ მასშიც,

ამისდა მიუხედავად, არის აზრთა პოეზია, პოეზია მსჯელობათა საფუძვლიანობისა... დამყარებული ხალხის შინაგანს, სულიერს ბუნებაში ჩასახულს სოფლმხედველობაზე. პოეზია უნდა იყოს არა მარტო საღმრთო საღმრთოდ გასცემნი, არამედ მსმენელთათვეს დიდი მარგიც (შთა), პოეტი არა მარტო ტებილ ხშათათვის გამოყზავნა ქეკენად ციმა (ილია ჭავჭავაძე), — არამედ ერში ჭეშმარიტ აზრების მთესველად, ერის წინამძღვრად ჭირსა და ლხინში. ამ აზრის მიხედვით ნიკ. ბარათაშვილი მტკიცედ ადგია შოთას მიერ ნაანდერძევს აზრებს სიყვარულის შესახებ... ზნეთბითი გახრწინ დება — ჩვენს ხალხში ყოველთვის განკიცხვას დაიმსახურებდა... ჩვენი ერის სულის ნადების და მისი ზნეობრივი მოძღვრების მესაიდუმლე შოთა ბრძანებს:

„მიჯნურობა (სიყვარული) სხვაა,  
სიძვა (მრუშება) სხვაა,  
შეა უქევს დიდი ზღვაზი“.

წმინდა სიყვარულის განდიდებას მიუძღვნა მან თვისი უკვდავი ნაწარმოები: „ვეფხევისტეათსნი“... სიყვარული, შოთას მიერ შექებული, არის უანგარო, ღრმა, განშორებული ქვენა გრძნობებს... თითოეული შეყვარებული მის ნაწარმოებში ფიქრობს არა თავისთვზე, — არამედ თვის საყვარელზე, რომლისთვის მზად არის სიცოცხლე გასწიროს... აი რას სწერს ქაჯთა ციხეში დატყვევებული ნესტან-დარეჯანი თავის მიჯნურს ტარიელს:

„უშენედ ჩემი სიცოცხლე  
გა-მე რა დიდი ძნელია...  
შენმან მზემან აქანაშდის  
შენ ცოცხალი არ მეგანე...  
აწ რა მესმა, შემომექმედი  
გადადე და დმიურთას ვმონე,  
ჩემი ეგველა აქანაშდის  
ჭირი დასის შეგაწონე...“

შენი სიცოცხლე შეუმფის სიცოცხლისად...  
ჩემად იმედად გულისად...  
მომიგონებდე, გახსნედე  
მე შენთვის დაკარგულისად;  
ვზი მზრდელი სიუვარულისა,  
მის ჩემდა დანერგულისად...“

შემდეგ ნესტან-დარეჯანი ურჩევს ტარიელს — ნუ წამოვა მის (ნესტანის) დასახსნელად ქაჯთაგან, რაღაც უკანასკნელო შეუძლიათ ის მოჰკლან... ნესტანს ტარიელის სიკვდილი დასწვავს:

„შენ მგვდას გნახავ დაგოწვი,  
გითა აბედი გმესითა;  
მოგ შორდი, დამთშე გულითა  
კლდისაცა უმაგრესითა.  
შენმან მზემან უშენსას  
არეის მახვდეს შენი მთვარე...  
მე სიკვდილი ადარ მიმძიმს...  
მაგრამ შენი სიყვარული  
ჩავიტანე, ჩაშრჩხა გულსა...  
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ,  
ჩემთ, ჩემს სიყვარულსა.  
წადი, ინდოეთს მიმართე,  
არგე რამ ჩემს მშობელსა...  
მტერთაგან შეიწრებულსა,  
უფლებით სელ აუცელებელსა...  
მომიგონებდე მტირალსა,  
შენთვის ცრემლ შეუშრობელსა...“

სადაა აქ პიროვნება, პირადი გრძნობა, პირადი სიამოვნება ნესტანისა?! მას სიკვდილი აღარ უმძიმს... იმას სურს ტარიელის სიცოცხლე, — მხოლოდ იმისთვის, რომ თვისს სატრფოს იგონებდეს, — სურს, რომ ტარიელმა უშველოს ნესტანის მამას, მის სამეფოს, მტერთაგან შეიწროებულს... თავის თავს არაფრად აგდებს... ეს გმირი ქალი, გმირული სიყვარულის შემნე, „პირად ბედნიერების უარმყოფელი, ამბობს:

„აქა თავსა გადავიქცევ,  
ახლოს მახლავნ დადი კლდენი...  
მას სურს ამასგარდა, რომ ღმერთმა  
მისცეს მას ფრთხი, რომ აფრინდეს და  
„დღისით და დამით ხედვიდეს  
გზისა ეჭვათა კრთმასა...“

იმედი აქვს, რომ ტარიელიც შზის და-  
ში მოვა და ნესტანი მაშინ იხილავს მას...  
მაშინ

„განმინათლო გული ჩრდილი...  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა,  
სიკვდილიც მქონდეს ტყბილი.“

ძლიერ ცოტაა მსოფლიო ისტორიაში  
ასეთი ლამაზად გამოქანდაკებული და  
ჩამოსხმული ღრმა აზრები სიყვარულის  
შესახებ!.. ის უჩვენებს, თუ რა მაღალ  
საფეხურამდის მიაღწია ქართველმა ერმა  
შე. თამარ მეფის ღროს თვისი ზნეობრი-  
ვი სოფლ-მხედველობის მხრით. ასეთი  
სიყვარულით დაჯილდობული იყო მრა-  
ვალი ქართველი კაცი და ქალი... ამითი  
იყო ძლიერი საქართველოც... მაგრამ  
შემდეგს საუკუნებში უკუ აგდეს ქარ-  
თველებმა შოთას მიერ ნამუნები სიყვა-  
რული... ის მიწიერ ჰყვეს, ქვენა ვნებათა  
ტალახში გასვარეს. ვერ ასკდა ამას ვერც  
დავით გურამიშვილი („ქაცვია მწყემსი“),  
ვერც ბესიკი და ვერც მათი მოწაფე აღეჭ-  
სანდრე ჭავჭავაძე... თვით გრიგოლ ორ-  
ბელიანიც მოთაყვანე იყო სიყვარულის  
ხორციელი მხარისა... ამასთანავე ერთად  
მეორემეტე საუკუნის გასულს ზნეობრი-  
ვი სიწამედრის მორევში სცურავდა ქარ-  
თველი ერი... ალღო სიცოცხლის წყურ-  
ვილისა.—თავის დაცისა, გამოფხიზლე-  
ბისა—ძლიერ აქვსთ განვითარებული მგოს-  
ნებს... მათი სულიერი ბუნება განცდათა  
და შთაბეჭდილებათა ადვილად შემთვისებე-  
ლია... ამის გამო მათს სულიერს ბუნება-  
ში თავს იყრის, გამოირკვევა და ხორცი

შეისხავს ის საუკეთესო იდეება, რომელიც  
ნიც ხალხის მოწინავე შვილთ ასულდგმუ-  
ლებს... მართლაც, ხორციელ ვნებათა  
მაღმერთებელი იდამიანი არაფრით არ  
განსხვავდება პირუტყვისაგან, რომელსაც  
ხორციელ ვნებათაგან წუთიერ სიამოვნე-  
ბის მიღების უნარი აქვს... ბარათაშვილ-  
მა, რომელმაც გაითვალისწინა ის უფს-  
კრული მოსამახისა, რომლის წინაშე იდ-  
გა ქართველი ერი თვისის ზნეობითი სი-  
წამხდრის გამო („ისევ და ისევ ღვინითა,  
დრო გავატაროთ ლხინითა“, — „ოღონდ  
ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს“...), და-  
მებსენი, მე შენთვის არ მცალიან: ბაბა-  
ლესთან სადილად მეძახინ (“...), საბო-  
ლოვოდ ანდერძი აუგო ქვენა გრძნობებ-  
ზე დამყარებულს ხორციელს სიყვარულს...  
მსოფლიოს მეფე იდამიანი, დაჯილდოე-  
ბული მარადისობის და დაუსრულებლო-  
ბის მაძიებელი გონებით, რის ადამიანია,  
თუ ქვენა, პირუტყვულს გრძნობებს აჲყვე-  
ბა და წმინდა სიყვარულის თაყვანის მც-  
მელი არ იქნება?!..

ჩვენი ცხოვრება პირუტყვობას ვერ  
ასცდებოდა, რომ განგების მიერ მოვლე-  
ნილი, ზეგარდმო მაღლით ცხებული გვამ-  
ნი არ გვიმოძღვრებდნენ საუკეთესო სა-  
ცხოვრებისო ზნეობრივს იდეალებს და  
მით არ გვზრდიდნენ ზნეობრივად... იქნ  
დამ სჩანს ის, თუ რა ღვაწლი მიუძღვის  
ნიკ. ბარათაშვილს ქართველი ერის ზნეო-  
ბითი გაწმენდის საქმეში. დავაკვირდეთ  
იმასაც, რომ ბარათაშვილი განხილულს  
ლექსში დედა-კაცს იყენებს ერთს საფე-  
ხურზე მამაკაცთან, გვიმოძღვრებს პირვე-  
ლის თანასწორობას მეორესთან და ხდის  
მას თანასწორს სრულუფლებოვანს მონა-  
წილედ იმ უანგარო სიყვარულის სამეფო-  
ში, რომელიც სულის შვენიერებაზეა  
დამყარებული... დედა-კაცი, სჩანს, ბარა-

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

თაშვილს არ მიაჩნდა მხოლოდ მამაკაცის ხორციელ ვნებათა დამაკმაყოფილებელს იარაღად, ტიკინად და უბრალო ნივთად... როგორც ამას ოვით დიდებული ბერძენ-თა ფილოსოფოსნიც კი ჰგრძნოდნენ (პლატონი და არისტოტელი)... გავიხსე-ნოთ აქ ბელინსკის აზრი ახალ რომან-

ტიულ სიყვარულის შესახებ, და მაშინ შეგვიძლიან დავსკვნათ, თუ რა რიგ საბუ-თიანი და ჭეშმარიტი შეხედულებისაა ჩვე-ნი მგოსანი ამ საგნის შესახებ...

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

## ხარება და მერწვა ჩირველ დაწეებით სწავლის დოკს

**ჭ**ირველ დაწყებითი სკოლის მასწავ-ლებლის უპირატესობას შემდეგი გარე-მოება შეადგენს: მასთან მიღიან ნორჩი ბავშვები, სიცოცხლით აღვისილნი, რო-მელნიც ყოველისფერს ადვილად ითვისე-ბენ. მთელი ქვეყნიერება მათ იმ სახით ეხატებათ, როგორც მათი საკუთარი ჭარ-მოდგრა უკარნახებს. მათ არ იციან თა-ვიანთ ძალთა საზღვარი, მოქმედების სურ-ვილი მათში დიდია. ასე ამბობს ამერი-კელი ქალი მასწავლებელი მერი გიეს. მაგრამ საკმარის ყურადღებას კი აქცევენ ბავშვის ამ სურვილს სკოლაში? აძლევს თუ არა სკოლა ბავშვს ფართო ასპარეზს თვით მოქმედების გასავთარებლად? სულ ქვეშ რომ ვსთქვათ — არა. მომეტებულ შემთხვევაში წიგნია აღსარებული ცოდნის შეძენის ერთად ერთ საშუალებად. თვალ საჩინო სწავლება როგორლაც უყურად-ღებოდ არის მიტოვებული; კმაყოფილდე-ბიან იმ სურათებით, რომელიც სახელმძღვა-ნელო წიგნშია მოთავსებული.

იშვიათად მიუთითებენ ბავშვს ცოცხალ არსებაზე, იშვიათად მიაპყრობენ ბავშვის უყრადღებას ყველასათვის გადაშლილ ბუ-

ნების წიგნზე. იმას კი აღარ ფიქრობენ, თუ რა აურებელ ცოცხალ მასალას მის-ცემს ბავშვს ცხოვრება. ბავშვი მხოლოდ უნდა მიაჩინოთ ყურადღებით დააკვირ-დეს მის გარემო არსებულ ბუნებას, ცხოვ-რებას და ნანახი აღიბეჭდოს გონებაში. დაკვირვება მხოლოდ ხატვის მასწავლე-ბელმა კი არ უნდა განავითაროს ბავშვში, არამედ დანარჩენებმაც. საქმის გასაუმჯო-ბესებლად ისე უნდა სწარმოებდეს სწავ-ლა, რომ ხატვა და ძერწვა მეტყველებას ერთვებოდეს და როგორც შეგირდისთვის, ისე მასწავლებლისთვის იგი მხოლოდ მეტ-ყველების დამატებას ჭარმოადგენდეს. იქ, საკა ფორმაზე და მოძრაობაზეა ლაპარა-კი, სიტყვა ულონოა, სიტყვა თავის დღე-ში ვერ გამოხტავს მთელის თავის სინამ-დგილით ვერც ფორმას და ვერც მოძრაო-ბას. მათ გადმოცემას შესძლებს მხოლოდ ხატვა და ძერწვა. დასავლეთ სახელმწი-ფოებში ეს იდეა საკმარისად არის განვი-თარებული და სხვა ცოდნასთან ერთად მასწავლებლისაგან თხოულობენ გაკვეთი-ლების დასურათების ცოდნასაც. ჩვენში, მართალია, ამას არა თხოულობენ, მაგ-



რამ არა ერთი და ორი მასწავლებელი მოიპოვება, რომელიც ამ ხერხს ხმარობს. რაც უნდა მდიდარი იყოს სკოლა თვალსაჩინო საგნებით, მაინც შეუძლებელია, საჭიროების მიხედვით, ყოველივე ხელქვეშ გქონდეს. ამიტომ ხშირად ეს გარემოება აიძულებს მასწავლებელს მიმართოს ხატვასა და ძერტვას, რომ ამით უფრო ნათელ ჰყოს გაკვეთილი. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მისი მოვალეობაა — წაახალისოს ბავშვი, განავითაროს მასში გაბედულება და თვით-მოქმედების სურვილი. ხშირი ხმარება ამხსნელი სურათისა უფრო წაახალისებს მას, რომელსაც ცოტა რამ შეინც ესმის ხატვისა, დანარჩენებს კიდევ, რომელთაც ჯერ ხატვა არ უცდიათ, გაუღიძებს ხატვის სურვილს. ხატვის ასეთი გამოყენება სრულიადაც არ ამტკირებს თვით საგანს; პირ-იქით, ბავშვი უფრო მეტის ყურადღებით და დაკვირვებით ეპყრობა გარეშო არსებულს, საგნებს ერთმანეთს ადარებს და მასში ვითარდებიან სწორედ ის თვისებანი, რომელიც საჭიროა ხატვის სპეციალურად სწავლის დროს. რაღა თქმა უნდა, ამხსნელ სურათს იმიტომ კი არა ხატვას მასწავლებელი დაფაზედ, რომ ბავშვებმა გადახატონ, არამედ იმიტომ, რომ უფრო ნათელ ჰყოს თვისი საუბარი. ამიტომ თუ მასწავლებელს სურს სურათი ისე მოიხმაროს, როგორც განმარტებითი საშუალება, მან უნდა შეისწავლოს ხატვა. მაგრამ ეს მოთხოვნილება არავის უნდა აშინებდეს. საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, რომ ხატვისათვის საჭიროა განსაკუთრებული ნიჭი, დიდი ხანია უარყოფილია. დარწმუნდნენ, რომ ხატვა ყველას შეუძლიან, ვინც კი ნორმალური ხედვით და საღი ხელებით არის დაჯილდოვებული. იმის დახატვა, რაც ადამიანს შეუსწავლია, სულაც არ არის ძნელი.

ამასთანავე დაესძენთ, რომ ამტსნელი რათი არ არის რაიმე მხატვრული ნაწარმოები. საკმარისია აღინიშნოს მხოლოდ საგნის სქემა, ამისთვის კი არავითარი განსაკუთრებული ნიჭი არ არის საჭირო. ვისაც კი ეს ხერხი უხმარია, უეჭველია იმას ეცოდინება, თუ რა აღტაცებას იწვევს ბავშვში, როცა მის თვალშინ იბადება სურათი. ამისთანა გაკვეთილი უფრო იზიდავს ბავშვს და უკეთესადაც ახსოვდება. ის როგორი მუშაობაა საჭირო საზოგადოდ სასწავლებლებში და მით უმეტეს პირებელ დაწყებით სკოლებში. ამ შემთხვევაში ხატვის მასწავლებელსაც უსუბუქდება მუშაობა.

ეხლა ვნახოთ — რა მიმართულება და ხასიათი უნდა ჰქონდეს ხატვის გაკვეთილებს. აქნობამდის ხმარებული მეთოდი: ხატების, კუთხების, გეომეტრიულ ფიგურების ხატვა უკვე უარყოფილია. ამ მეთოდმა ბავშვებს არამც თუ შეისწავლა ხატვა, ფორმების, ფერების და მოძრაობის დაკვირვება, არამედ თვისი უსიცოცხლობით და მასალის შეუფერებლობით ყოველივე ხალისი დაუკარგა. ამ გვარი ხატვა ბავშვებისათვის წარმოადგენს მშრალ, განკუნებულ მეცნიერებას. გაბედული და თამამი ნაბიჯი მაშინ გადასდებს ხატვაში, როცა დაიწყეს შეგროვება და შესწავლა ბავშვების თავისუფალ ნახატებისა. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ბავშვი უფრო ფართოდ უცქერის ხატვას, ვიღრე მათ ჰერნიათ, თითქმის ისევე, როგორც თვით მხატვარი. ბავშვი თავის ნახატს ისე უცქერის, როგორც თავის აზრის გამომხატველს. მასალის არჩევით ის თავს არ იწუხებს. მას მუშაობის ტეხნიკური მხარე კი არ იზიდავს, არამედ აზრი, გინდა იგი მხოლოდ სქემატიურად იყოს აღნიშნული; იგი იმპრესიონისტია, ამ სიტყვის

ნამდვილი მნიშვნელობით. მასალას ირჩევს არა სიძნელის, არამედ მიმზიდველობის მიხედვით. თანამედროვე პედაგოგნი მიხვდნენ, რომ პირველ დაწყებით თავისუფალ ხატვის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია, პირიქით ამის მიხედვით უნდა შემუშავდეს ახალი მეთოდი ხატვისა. მიანიჭოს მასწავლებელმა ბავშვს თავისუფლება, რომ მან შესძლოს თავისი აზრის გამოთქმა; დევ დარწმუნდეს ბავშვი, რომ იმის ნახატს უურადღების ღირსაღ ხდიან, მნიშვნელობას აძლევენ. ამ გაკვეთილებით მასწავლებელი ნათლად დაინახავს, თუ რა უფრო აინტერესებს ბავშვს, გაიგებს, რამდენად არის თვითეულ მათგან განვითარებული დაკვირვება. იგივე ითქმის ქერწვის შესახებ. დევ სთითხნონ ბავშვებმა, რაც უნდათ, გაეცნონ მასალას, თავიანთ ღონებს. აქ გაიგებენ — რის გადმოცემა შეიძლება თიხით და რისა არა. შემდეგ მასწავლებელი ურჩევს ბავშვს გარშემო მყოფ საგნებიდან მასალას, ადვილს და საინტერესოს და ახატვინებს წარმოდგენით. შენიშნულია, რომ ბავშვს 9—10 წლამდის არ შეუძლიან ხანგრძლივი დაკვირვება საგნისა; ის კმაყოფილდება ერთის შეხედვით და მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით ხატვეს, ამიტომ ბუნებიდან გადა ხატვას უნდა უძლოდეს ხატვა წარმოდგენით. თავდაპირველადვე ბავშვს უნდა მისცეთ ფერადი საღებავი; თხუნისა არ უნდა გეშინოდეთ. კარგი ხელმძღვანელის წყალობით ის მაღლ მიეჩვევა სუფთა ხატვას. ფერის გამოყოფა ფორმისაგან კი შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ბავშვის უყურადღებას ფერი უფრო იზიდავს. უფრო სასარგებლო კი უკონტურო ხატვაა. ხატვას წარმოდგენით თან უნდა ახლდეს ლექსების, მოთხრობების და ზღაპრების

დასურათება, რაღა თქმა უნდა, რომ შეს წავლებლის შველა საჭიროა. ეს შველა კი იმაში გამოიხატება, რომ მასწავლებელი აუხსნის ბავშვს უფრო შესანიშნავ აღვილებს, რომელიც მან უნდა დახატოს, ამასთანავე მიუთითებს ლოგიკურ შეუსაბამობაზედ, რომელიც შეხვდება ბავშვის ნახატში. ბავშვებს ძლიერ უყვართ ამისთანა გაკვეთილები და ხშირად ჰქმნიან რაღაცა ორგინალურს, მხოლოდ ტექნიკური მოთხოვნილება ღიღი არ უნდა იყოს. ეს მხარეც თავის დროზედ განუვითარდება მათ. წარმოდგენით ხატვა და დასურათება ბავშვში დაკვირვებას განავითარებს. სკოლიდან სახლამდის დაუკვირდება ხეებს, ცხოველებს, ფრინველებს, შენობებს, ფერებს და ყოველივეს მის გარშემო არსებულს. მაშინ დაიწყებს ბავშვი ბუნებიდან გადახატვას. აქ კი დაიწყება სისტემატიური შესწავლა ფორმებისა. უკეთესია გადახატვა ცოცხალი ფრინველიდან, თოხფეხილან. ბავშვი უნდა მიეჩვიოს სწრაფ ხატვას, რომ რამდენიმე გაკვეთილი ერთ და იგივე სურათს არ ჩატლირლიტებდეს. პრაქტიკულ ცხოვრებისთვის პირველი უფრო საჭიროა მეორეზე. უნდა ვეცა დოთ — განუვითაროთ ბავშვებს გემო ორნამენტალურ მოსართავებისადმი. სრულიად საღა ფორმის ფოთოლი, ტოტი, მწერი შეიძლება ბავშვმა გამოიყენოს რაიმე საგნის მოსართავად. მასწავლებელმა უნდა გააცნოს ბავშვი გეომეტრიის, მცენარეულობის და ცხოველების ელემენტალურ სახეებს. ბავშვები მაღლ მიხვდებიან ყოველისფერს და სიამოვნებით შეამკობენ სხვა და სხვა სახეებით თავიანთ წიგნების ყდას, რვეულს, თევზს და სხვას. ამ რიგად ბავშვს იღრე განუვითარდება გემო, გაარჩევს ცუდს კარგისაგან, მიეჩვევა და კვირვებას და შეამჩნევს მას, რასაც აქნო-



ბამდის უყურადღებოთ სტოვებდა. ბავშვების თავისუფალ ნაწარმოებთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი თიხის, თოვლის, ცვილის და სხვა შესაფერ მასალის საშუალებით სცდილობენ გადმოვცენ საგნების ფორმა, ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ საჭიროა შემოღება ხატვისა და ძერწვისა პირველ დაწყებით სწავლის დროს.

ხატვასთან ერთად ძერწვა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ფორმის ყოველ მხრივ შესწავლისათვის. ძერწვით ბავშვი ეცნობა საგნის ნამდვილ სახეს, ორთავე ერთად კი ბავშვს აცნობებს საგანს მთელის თავისი სისრულით. როგორც ვიცით მასწავლებელიც და მოწაფეც მრავალ საგნის გაკვეთილებზე ამ ხერხს ხმარობენ ნასწავლის შესათვისებლად. თავდაპირველად ბავშვები ძერწვენ წარმოდგენით მათ გარშემო არსებულ ბუნებიდან; მაგ. სოკოებს, მწვანილეულობას, ხილეულობას და სხვ. შემდეგ კი გადადიან უფრო ფართო ბუნებაში, თვითეულ შეგირდის ან ჯგუფის წინ სდგას საგანი, რომელსაც ხატვენ. საგნები ირჩევა სისტემატიკურის წესით: მარტივიდან გადადიან რთულზე. ყოველივე მუშაობა ბავშვმა უნდა აწარმოვოს საკუთარი ხელით; ჯგუფობრივ ხატვას და ძერწვას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს; შეიძლება ბავშვებს მისცენ სამუშაო, რომელშიაც მთელი კლასი მიიღებს მონაწილეობას. თვითეული შეგირდი სამუშაოს რომელიმე ნაწილს აკეთებს

და ამ ნაწილებისაგან სდგება მოთვლის ურათი.

დასასრულ ვუსურვებ პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებლებს შეერთდნენ და შეჰქმნან კავშირი, რომლის მიზანიც იქნება — განუვითაროს ბავშვს მხატვრული წარმოდგენანი და შემოქმედებითი ნიჭი.

„დასასრულებული აღზრდა — ამბობს რესკინი — მხოლოდ აზრის გადმოცემაში კა არა მდგომარეობს, არამედ მუსიკის გადმოცემაში ხმით და საგნის ფორმის — ხელების შემწეობით“.

დასასრულ ჩვენი შოხსენების ძირითად დებულებას ასე დავსკვნით.

1. ხატვა და ძერწვა პირველ დაწყებით სწავლის დროს უნდა იყოს მეტყველების დამატება. ოსტატმაც და შეგირდმაც უნდა ისარგებლონ სურათით, როგორც ამხსნელი საშუალებით.

2. პირველ დაწყებითი ხატვის და ძერწვის მეთოდი დაფუძნებული უნდა იყვეს ბავშვის. თვითეულალ ნახატზე და ძერწვაზე.

3. საღებავი და თიხა სწავლის დაწყებისთანავე უნდა მიეცეს ბავშვს.

4. ხატვა ოხეკუთხიან რვეულებში და სურათებიდან გადმოხატვა უარყოფილ უნდა იქმნეს, რადგანაც არც ერთი მათგანი არ აძლევს ბავშვს ასპარეზს ნიჭის გასავითარებლად.

6. ბ—ძ.



# ლ. ტოლსტოის აზრები აღწრდის შესახებ

(რუსულიდან)

„ჩვენი იდაელი არის უკან და არა ჭინ“. — აი ის ძირითადი დებულება, რომლიდანაც გამოდის ლ. ნ. ტოლსტოი თავის მსჯელობაში იდეალურ სწავლა-აღზრდის შესახებ.

აღზრდა იმ აზრითა და სახით, როგორც ეს ჩვენ გვესმის ხოლმე, ადამიანს კი არ ასწორებს, არამედ უფრო აფუჭებს.

აღზრდის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ მოსაზრებით, რომ ბავშვის ბუნება უსრულია (Несовершенныи); უფრო მეტიც, — გაფუჭებული — და ვსულილობთ აღზრდის საშუალებით გარდავქმნათ, გადავაკეთოთ იგი ჩვენებურად, — თანაბმად და შესაფერად იმ იდეალებისა, რომელიც ჩვენ, საკუთარს ცხოვრებაში გვაჭვს დასახული. და ეს იმ დროს, როდესაც ყოველ ნორმალურ ბავშვს უკვე დაბადებიდანვე ახლავს თან დაყოლილი ყოველი საუკეთესო ჩანასახი; და ის გაცილებით უფრო ახლოს სდგას, ვიდრე დიდი ადამიანი, იმ სათნოებისა და მშვენიერების იდეალთან, რომლისაკენაც ჩვენ ჩვენის სიამაყით მიგვყავს იგი. ამიტომ ჩვენს ერთად-ერთ ამოცანასაც სწავლა-აღზრდის საჭმეში უნდა შეადგენდეს მხოლოდ ის, რომ ბავშვებს მივაწოდოთ იმათს გულში უკვე ჩასახულ იდეალურ მიღრეკილებათა განვითარება-გაძლიერებისათვის საჭირო და შესაფერი მასალა.

ყოველგვარი ძალდატანება, ყოველი ტლანქი და ბრიყვულ საშუალებათა ცდა ბავშვებზედ საშინელ ცოდვათ მიაჩინა ტოლსტოის და არცა ჰშურს არავითარი

შავ-ბნელი საღებავი თანამედროვე სკოლებში სწავლა-აღზრდის სისტემის დასასურათ-ხატებლად.

— საქმაოა თვალი შოავლით ერთსა და იმავე ბავშვს თავის ოჯახში ან ქუჩაში და შემდეგ სკოლაში, — ამბობს ტოლსტოი, — იქ თქვენს თვალწინ სდგის ცქრიალა, სიცოცხლით შექვევარე ქმნილება; სახე გაბრწყინვებულს ბაგე-თვალებზედ უზრუნველობის ცხოველი ღიმილი ლალათ დასთამაშებს. მისი უმანკო სული და უმწიკვლო გული, მთელი მისი ბუნება თვისის უმანკოებით არის ყოველგან და ყველაფერში გულ-უბრყვილო მაძიებელი ცოდნა-შეგნებისა, როგორც ლხენა-სიხარულისა. იგი თვით სიცოცხლის-გან დანაკვესი ნაპერწკალია, რომელიც მკაფიოდ და ზოგჯერ ძლიერადაც გამოჰატავს ხოლმე თავის აზრ-შთაბეჭდილებას თავისსავე საკუთარს ენაზედ.

აქ კი (სკოლაში) ჰქედავთ დიამეტრა-ლურად მოწინააღმდეგებს: დაბექავებულს, დამფრთხობალს, მოკრუნჩხეულს, განაწამებ ქმნილებას; უარისათობის, შიშისა და მობეზრებულობა-ნაღვლიანობის გამოშეტყველებით, სრული აპატიით შეპყრობილს, რომელიც უგულ-გონებოდ, — მხოლოდ ლა ტუჩებით იმეორებს სხვის სიტყვებს, სხვისსავე და მისთვის გაუგებარ ენაზედ. ე. ი. ჰქედავთ ისეთ ბერავ ქმნილებას, რომლის მთელი სულიერი ძალა და არსება სამუდამოთ მოღუნებულა და ღრმათ შემძგრალა ლოკოკინასაფით თავის ბნელ ნაჭუჭუში. საკმაოა შეაღარით ეს

ორი მდგომარეობა, ორი სხვა და სხვა გვარ პირობებისაგან წარმომდგარი, რომ მყისვე, უყოფისა და უფრო უფრო ამ პირობებისაგანი უფრო უფრო მიზან-შესაფერი და ხელსაყრელი ბავშვის განვითარებისათვის ამ სიტყვის სრული და ფართო მნიშვნელობით...

ის ახირებული მდგომარეობა სულისა, რომელსაც «სკოლურს» ვუწოდებთ და, რომელსაც, სამწმებაროო, უველა ჩვენგანი კარგად იცნობს, გამოიხატება იმაში, რომ ბავშვის უველა ბუნებით-თანდაყოლილი ნიჭი: გონების ძალი, გულის ყური, შემოქმედება, აზროვნობა და სხვა აღგილს უთმობენ რაღაც უგუნურს, ნახევრად პირუტყვულ ნიჭს, რომლის მეოხებით ბავშვი გონების მუშაობა-აზროვნობასთან დამოუკიდებლად, მარტო ხმების მექანიკურად წარმოთქმას ეჩვევა, რიცხვის, 1, 2, 3, 4, 5, 6 და სხვა, რიგზედ ჩამოთვლას. თვით სიტყვებსაც ითვისებს მხოლოდ გარეგნული, მარტო ფონეტიურის შთაბეჭილებით და აზროვნებას ნებას ვერ აძლევს ამ სიტყვებს შეუფარდოს რაიმე შემეცნება, სახე, საგანი ანუ აზრი რომელიც შეადგენს მათს შინაარსს. ერთის სიტყვით სავსებით და სამუდამოთ ჩაიკვლის მათში ყოველი მაღალი ნიჭი გასანვითარებლათ მხოლოდ იმ ნიჭისა, რომელიც შეესაბამება და შეეფერება სულის „სასკოლო“ მდგომარეობის შემუშავებას: სიმფრითხალეს, დაბექავ-დაჩივებას, ყურადღება-მექსიერების ძალდატანებას და სხვა...

„რაც უფრო მაღე მიაღწევს ბავშვი ამ იდენტურ თვითმკვლელობას ე. ი. დაჰკარგავს თავის პირად „მე“-ს, სრულ დამოუკიდებლობას და, იჩენენ თუ-არა მასში თავს სხვა-და-სხვა ავადყოფობათა სიმპტომები, როგორც მაგალითად: ფლიდობა,

ორპირობა, პირმოთნეობა, მლიქვნელობა-გაიძვერობა, ყოვლად უმიზნო მატყუარობა, ტუპიკი და სხვა და სხვა, ამის შემდეგ ის აღარ შეადგენს სკოლაში დისპორანტს, ვინაიდგან ის უკვე ჩადგა საჭირო კალაპოტში, შესაფერ დონეზე დადგა და მასწავლებელიც დღეიდგან მისით სრული კმაყოფილი ხდება“. ი. სწორედ ამ დროს ჩნდებიან ის არა შემთხვევით მოვლენანი, რომელნიც მუდამ და განუწყვეტლივ მეორდებიან, — სახელდობრ: ყველა სულით საპარნი, გონებით მწირნი და ყოვლად უგუნური ბავშვები პირველ მოსწავლეების სახელს იხვეჭენ, ხოლო ყველაზედ ჭკვიანნი, საღნი, გონიერნი და მტკიცე პიროვნების მქონენი, განსხვავებული ინდივიდუმი უკანასკენელ და უვარების მოსწავლეთა რიგში ირიცხებიან. ტოლსტოი უარკყოფს თვით იმ ძირითად დებულებებს, რომლებზედაც არის დამყარებულ - აღმოცენებული თანამედროვე სწავლა-აღზრდის სკოლები და საღი პედაგოგის უპირველეს და უმთავრეს მოთხოვნილებათ მიაჩნია სრულად შეუზღუდველი თვითმოქმედება ბავშვისა, ფართო თავისუფლება სკოლაში და მიუცილებლად ანგარიშის გაწევა მასწავლებელ ანუ აღმზრდელის მიერ ბავშვის ყველა ინდივიდუალურ თვისებათა. (ე. ი. მასწავლებელი ჯერ უნდა ზედმიწევნით კარგათ იცნობდეს თავის შეგირდის სულიერ არსებას, ისე, როგორც მჯურნალი პაციენტის სენს, ან მებალე იმ ხის თვისებას, რომელსაც სკოლობს მოუაროს ისე, რომ ნაყოფი სასურველად გამოაღებინოს და, ყოველ მიზეზის გარე, შესაფერ ანგარიშს უნდა უწევდეს მისს (ბავშვის) ყოველგვარ კეთილ მიღრეკილებებს. მასწავლებლის მოქმედება, ანუ მეთოდი თვით ბავშვის ხასიათისა და სულიერ მიღრეკილება-მოთ-

ხოვნილებიდგან უნდა გამომდინარეობდეს და არა ჩვენი, (მასწავლებლის) სურვილიდგან, თანახმად ჩვენის იდეალებისა).

გვილავ წარმოვიშვე, მსუნს ისე მაღლა ავიგრა  
ზეცისკენ, რომ ბრწეინვით იგონებდეს დედა

მიწა იმ დროს, როდესაც იგი მე მატარებდა,  
და ეჯნების შემწეობით — (წაბატაცდება). უკე-  
ლანი მიეშვრებიან მისკენ, ხოლო კეისარი  
ახერხებს და ნიღაბით დაჭიფარავს თავის სი-  
სუსტეს. კელავ განაგრძოს ღრმა მოსუცებუ-  
ლობის დაღ დამჩნეულ, საკვირვლად მაღა-  
ლის ხმით) მო, ანტონიუს, შენც ბრუტუს.  
და შენც ძვიროვასო კასიუს. აქ მოდით. დავა-  
ნებოთ თავი კორინთს. ამას დიდი წარსული  
აქვს, ამას ბევრი რამ განუცდა, რაც ეხლა  
მე სუსტს მიმძიმებას. სიკედილის სუნი სიას  
ჭიერში და სუნთქვას მიწამლავს. მოემზადე-  
ნით, რათა სამშობლოში დავბრუნდეთ. თქვენ  
იცით ჩემი ხება, იცით ჩემი მიზანი და ხან  
თუ რამე მცირეს ჩვენში უთანხმოება ჩამოუ-  
გდა, დაიგინერ საერთო დიდის საქმისთვის.  
შევერთდეთ, მეგრძარნი, და დაე ჩვენი მსუბუ-  
ლებულებელი სიცუვა იყოს რომი. (იგი გა-  
დის ამაღლით შეა გარებიდგან.)

კასიუს ბრუტუს?

**ბრუტუს** (უკანასკნელი მიღის, მობრუნდება  
და ხელს გრევვდის.) ჩვენი მასუბულებელები  
კი სიცუვა იყოს რომი. (ფრივენი ხელიხელ  
გადაჭრდილი განიცემებიან და თოთქოს  
წარმოადგენენ კეისარის ბედის ბეჭედს)

**ტრაგედიის დასასრული.**

ქართველი კაცი, ღვინის ქვეშირი და ბოჩკა

(არავი)

**ე**რთ ქართველ კაცს ძველის-ძველი  
სამ-საპალნიანი ღვინის ქვევრი ჰქონდა,  
რომელსაც მეტის-მეტად აქებდა და ამ-  
ბობდა: „ეს დალოცვილი ქვევრი რაღაც  
ჯიშისაა, შიგ რო წყალი ჩაასხა, ღვინოდ  
აქცევსო.“

ამიტომ რაც უნდა ნაკლებად მოსვლო-  
და ღვინო, მაინც იმაში დააყენებდა. მხო-

ლოდ ერთხელ თავზარი დაეცა: სავსე  
ქვევრი აპხალა, რომ დაეჭაშნიკა და ცა-  
რიელა დაპხვდა, შემოიკრა თავში და პირ-  
ში; ჯერ ეგონა, თუ მოიპარა ვინმემო,  
მაგრამ როცა დარწმუნდა ქურდის საქმე  
არ იყო, — ქვევრი გახეთქილიყო და ღვი-  
ნო გაცლილიყო, — დაიწყო ლანძლვა-გრ-  
ნება, ქვევრს სამდურავს უცხადებდა:

, „აახ, ქვევრო, ქვევრო, რა მიყავ, რაზე  
დამდუშე შე ოხერო, რად მიღალატეო?!”  
სამჯერ თუ თოხჯერ მიშმართა პატრიონმა  
ქვევრს ამ გვარის კითხვითა, მაგრამ ქვევ-  
რი ხმას არ იღებდა, არაფერს პასუხს არ  
იძლეოდა. ბოლოს გაჯავრებულმა უპა-  
სუხა გარისხებულს პატრიონს:

— ეჰ, ჩემო პატრიონო, შენ შენსას ამ-  
ბობ და ჩემსას არაფერსა ჰკითხულობ.  
კარგა დიღხანსაც ვითმინე შენი და შენი  
ღვინის უდიერობა; შენი წინაპრები, მა-  
მამა-პაპანი, განა შენსავით შაბიამანს და  
გოგირდის წვენს მასხამდენ თავ-პირზე,  
ისინი ნამდვილ ღვთისაგან ნაკურთხს ყურ-  
ძნის წვენს ინახავდნენ ჩემში, ნამდვილ  
ღვთისა და კაცის საკადრისს, როგორც  
ცოცხლისა, ისე მკვდრისა. ეხლანდელი  
ღვინო განა ღვინოა? განა ის შეიძლება  
ზედაშედ იხმაროს კაცია? არა დროს. მე-  
რე მე ისეთი თიხისა ვარ, რო ჩემი ჯიში  
არ იგუებს არა დროს შაბიამანის და  
გოგირდის წვენს, რითაც ვენახებს სწამლ-  
ვენ.

— შე კაი კაცო, პირველშივე გეოჭვა  
აზირ, თუ მაგისთანა ხასიათისა იყავი? —  
სოქვა ქვევრის პატრიონმა.

— მეგონა, შავეჩვეოდი. მოვითმენ  
ვფიქრობდი, მე ვითმენდი, ხოლო ჩემმა  
ბუნებამ ვეღარ მოითმინა. — უპასუხა  
ქვევრმა.

— მე სულ სხვა პასუხს მოველოდი  
შენგან. — წარმოსთქვა ბოჩქამ, მარანში  
ქვევრის პირზე შორი-ახლოს წამოჭიმულმა:

— მე ვფიქრობდი, ქვევრო, შენ სხვა  
ფრივ იმართლებდი თავს, აი, მაგალითად,  
თუნდ იმით, რომ სულ ერთ ალაგას ხარ  
გაუნდრევლად, არ იცი რა ამბავია ქვეყ-  
ნიერებაზე, როდის მზე ამოდის, ან რო-  
დის ჩადის, შაგეძლო მოგეთითებინა ჩემ-  
ზე. მე შენთან შედარებით ბევრად ბედ-

ნიერი ვარ: დამდებენ აქედან ულემზე;  
გაღამატარებენ გომბორზე მთელ კახეთს  
და გარე კახეთს, იორს, ალაზანს ისე ვე-  
დავ, თითქოს ხელის გულზე მიწყვიაო.  
ჩავალ ქალაქში, შავუკები მტკვარს, მი-  
ვალ მცხეთს, სვეტი ცხოველსა ვნახავ,  
პირჯვარს გამოვისახავ, არაგვისა და  
მტკვრის კინ კლაობასაც გადავავლებ თვალს  
და თითქოს ვახტანგ მეფე და ოსი ბალა-  
თარ შებმულან, ან დავითი და გოლია-  
თიო. მცხეთაში წამჭაშნიკავენ და, რასაც  
ღვინოს ამოიღებენ ჩემიდან, იმოდენასვე  
არაგვიდან, რადგან მტკვარი მღვრივეა,  
წმინდა წყალს ამოიტანენ და ჩამოასხამენ,  
რომ ღვინო არა ჭყანჭყარობდეს. იქიდან  
გავწევ არაგვის პირ-პირ, გავივლი დუ-  
შეთზე, ჩავალ ანანურში; იქაურ სობორო-  
საც მადლს მოვთხოვ, იქ ძველი მშვენიე-  
რი ეკლესია, იქვე ზურაბ არაგვის ერის-  
თავის ციხე დარბაზის ნაგრევებია, ის  
ხომ შესანიშნავი კაცი იყო, გიორგი სა-  
აკაძის ცოლის მამა, — შავუკები მთიულე-  
თის არაგვს, (მთიულეთურა) შევივლი ფა-  
სანაურზე; გადავივლი ბიდარაზე, ჩავალ  
ყაზბეგში და იქიდან დიდი მანძილი იღარ  
არი კავკავამდე. კავკავში რო ჩავალ,  
სწორედ ორი წილი ღვინო ვარ და მესა-  
მედი წყალი, ისეთს ყოფაში ჩამაგდებს  
ჩემი მზიდველი. მე ხმა-კრინტსაც არ დავ-  
ძრავ. რა მრჯის, თუნდა წყალი ჩამასხან,  
თუნდ ნავთი. არცა-რა იმას უშავს ცა-  
რიელიც რომ ვიყო, შავისვენო პატარა  
ხანს. შენ ცოტა რამეს გაუჯავრებიხარ,  
უბრალო რამისთვის თავი მოვიკლა, გიუ-  
ხომ არა ვარ? წარმოსთქვა ბოჩქამ.

— ბევრი და ღიღი ჭკუა-კი არც შენა  
გქონია, ჩემო ძაბიავ, ცარიელ ხეტიალში  
რა ყრია? შენ არ გაგიგონია ძველი ქარ-  
თული, რომ მცორავი ქვა ხავს ვერ  
მოიკიდებსო. კიდევ სხვა: ძალი ქალაქს



შიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა. შენ როცა ყველაფერს ჰკისრულობ, ყველასთან მეგობრობა შეგიძლიან, ყოველგვარ აზრს და გრძნობას თავისად ჰგულობ,—მე შენთან საერთო არაფერი მაქსი, მე მაგას ვერ ვიკისრებ, ვინაიდგან ჩემი გული წმინდაა, ჩემი გრძნობა სპეტაკია. ამის მოწამე თვით ჩემი პატრონია, რომელიც აქ არის და ესმის ჩემი საუბარი.

ქვევრის პატრონი მართლაც იქვევის რიახლოს იდგა, ქვევრისა და ბახეკის ბას ყურს უგდებდა და გულ-მტკივნეულად წარმოსთქვა: „ღმერთმა ისეთი გულის სიწმინდე და სისპეტაკეც შეარცხვინოს, რომელიც თავისუთავისა და სხვისა ერთნაირად დამღუპველია!“

გაუა-ფშაველა.

## ბულბული აღარ უსტივენდა...

**ჭ**ამთრისგან გათოშილი ცა დაიწმინდა, შავ ღრუბლებისგან განთავისუფლდა და მის სივრცეზე, ოქროს მფრქვევ ეტალით, ბრწყინვალე მზემ მეღილურად გაინავარდა.

თოვლისგან, მძიმედ შებოჭილი არე უცბად შეინძრა, გაშმაგდა, გახურდა, შეუბრალებელი ბორკილი მილეწ-მოლეწა, გულის სილრმიდან ამონახეთქ სიმხურვალით ტყვიასავით დაადნო და წყლად ქცეული, განრისხებულმა უფსკრულს გასტყორცნა; თვითონ ნორჩი ბალაბით გახავერდებული საბანი გადიხურა, ყვავილებით თავი კოპწიად მოირთო და მზის მხურვალე სხივებს გულმოდგინედ ზურგი მიუფიცხა.

ცელქი ნიავი ონავარივით დათარეშობდა, ხან ძირს მდელოს უძლურ მცენარეთ სამურად აბიბინებდა, ხან კი მაღლა მთის წვეროს შურდულივით იიჭრებოდა და ჯერ ისევ ტიტველ ხეებს გიშმაურად არხევდა, შეპხაროდა, შესისინებდა, თითქოს სურდა ღრმა ძილიდგან გამოერკვია, კოკორი გადაეშალა—ფოთლად ექცია

და მასთან ერთად ეშრიალათ, ეთამაშნათ, ებუქნათ.

გაზაფხულის ბუნება ყველას ახარებდა, სიცოცხლის ძალას აძლევდა—აგიუმაუებდა, აცელქებდა და თავბრუ დამსხმელ ნექტარს ასმევდა; ის კი მარტო-მარტო იჯდა თთახში და დაღონებული ფანჯრიდან გამოიცეირებოდა. მის წინ თაიგულ-სავით შეკრული ვარდის ბუჩქნარი ტოტებს ფანჯარას ალერსიანად ახვევდა, ნორჩი კოკრებით ნაზად თავს უკრავდა, ახლად გამოსულ, სისხლივით წითელ ვარდის ფოთლებით სახეზე ელამუნებოდა, თითქოს—ჰკოცნიდა და ალერსიანად ჩაბუტბუტებდა: „ნუ დალონდები, ჩემი ძეირფასო, აგერ საცა მოვა ბულბული და თვის გალობით მეც ვარდს გადმიშლის და შენც სიყვარულს გიმღერებს!“

— დღეს როგორლაც იგვიანებს ჩემი ბულბული, ნაღვლიანად წარმოსთქვა ცირამ და იქვე ტახტზე ჩაფიქრებული მიესვენა.

— სვიმონი თუმცა ხნიერია, ბუტბუტებდა თავისთვის ნინო, მაგრამ შეძლე-

ბული და ცნობრლი ექიმია, მას ყველა პატივსა სცემს და მისი ცოლიც ხომ ყველასაგან პატივცემული იქნება!.. ორა, ვგონებ დღეს მოვა, ხელსა მთხოვს და მეც უნდა დავთანხმდე... მაგრამ გიორგი... გიორგის მოგონებაზე ნინო მთლად კანკალმა აიტანა, გულმა საგრძნობლად რაკაურუკი დაუწყო, სახე ცეცხლივათ აენთო, თვალები აუთამაშდა და ისე უგონოდ აქეთ იქით იცქირებოდა, სურდა რომ იმ წამს გიორგი გვერდით ჰყოლოდა, თავის აღგზნებული გულით მას ჩაჰუნოდა, ეალერსნა, ეცელქა, სულით და გულით მასთან გაერთიანებულია ყო, მის გულიდან ამონადენ ნექტარს დაეტკბო და სიცოცხლის უკანასკნელი ბედნიერება მიენიჭნა

ნინო ჯერ ისევ ფიქრში იყო გართული, რომ ამ დროს ვარდის ბუჩქნარი შეინძრა და, ახლად გადაშლილ კოკორთან ბულბულმა მშვენიერის ხმით გალობა დაიწყო.

— იმღერე, ჩემო ერთგულო ბულბულო, იმღერე, ათრთოლებულის ხმით ევედრებოდა — ნინო და სიმღერის გასაგონად ძალას იკრებდა.

„იცი რა ნეტარებაა, უსტვენდა ბულბული, როცა ვარდის ბუჩქზე ზიხარ და მზის სხივები გულს გიბრწყინებენ, ან მთვარიან ღამეს ნელად გადაშლილ ვარდის გულს დაპხარი და შელაღდება! როდესაც ტყის ნელი საამური შრიალი, ამწვანებული ველი, ყვავილებით გაფერდებული მინდორი, გულს ისე სასიამოვნოდ გილევს, გიჩქროლებს და ზღვასავით გიღელვებს! ჰო, კარგი რამ არის სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლეს სიყვარული სჯობიან, იგი ყოვლად შემძლებელია,

იგი ავავილებით აჭრელებულაველმინდორს ზურგს შემოიფენს, დედა-მიწას ფეხზე გაიკრავს, კლდე-ლრეს სამოთხედ გარდაქმნის, დაბურულ ტყეს ფრთად მოიმართავს და იქ საღლაც შორს ცის სივრცეზე მიკრულ მოციმციმე ვარსკვლავთან, ცეცხლივით ანთებულ გულით, შეუჩერებლად მიგაფრენს“.

ნინო, რბილ ბალიშზე მიწოლილი, თავ-დავიწყებით ყურს უგდებდა ბულბულის სიმღერას და მღელვარება ნების არ აძლევდა ხმა ამოელო, სახე მინაზებული ერთ წერტილს მისჩერებოდა; მისი კუნაპეტივით შავი თმა ბალიშს უსწორმასწოროდ გადაჭუენოდა; ბამბასავით თეთრ პატარა კბილებს ჭიაფერსავით წითელი ტუჩები გარს შემოვლოდენ და ისე შეუმნიერებლად ხტუნაობდენ, მოძრაობდნენ; მარმარილოს ქვასავით გამოქანდაკებულ მკერდს თხელი კაბის საკინძე ჩამოეგლიჯა, ყურძნის მტევანივით ჩატუკნულ ძუძუებს მაგრად ჩაჰუნოდა და ხან თამაშობდა, ზღვასავით ღელავდა, ჰაერსავით მსუბუქი ხდებოდა, ხან კი დამძიმდებოდა და დასუსტებული მწარე კენესას ეძლეოდა; ნინო თავის აჩქროლებულ გულს ფერმიხდილი ზემოდან დაპყურებდა და თავის პატარა ფუნთუშა ხელებს ნაზად, წყნარად უსვამდა. ბულბულის სიმღერამ გიორგის სიყვარული ნინოს გულში ახლა ჩაუქრობელ ცეცხლად გარდაქმნა და თუ ეს გრძნობა უწინ მჩქეფ ჩანჩქერად გადმოხეთქავდა, ეხლა ბალღმად გუბდებოდა და გამოსასვლელ გზას ვერ პოულობდა.

— გიორგის ვერ უღალატებს... ერთი უცბად შეჰყვირა ნინომ და ბალიშს გულა აღმა დაემხო, მე ის, ძიელ... ძიელ მი-



ყვარს... მაგრამ, ღარიბი რომ არის...  
რითი ვიცხოვროთ...

ბულბული კვლავ თავის კრიალა ხმით  
გასძახოდა: „სიყვარულის ძალა რკინას  
დაადნობს, მშვიდობიან ცხვარს გაამტვინ-  
ვარებს და გამხეცებულ ლომს დააწყინა-  
რებს!.. პო, საოცარი, ზეციერი რამ არის  
სიყვარული! ყველა გასასყიდია წუთი სო-  
ფელში და სიყვარულს კი ქვეყნის თვალ-  
მარგალიტადაც ვერვინ იყდის!..

— არა, გიორგი მაინც მეყვარება,  
ბუტბუტებდა ნინო, და ჩემი გული სა-  
მუდამოდ მისი იქნება მხოლოდ სვიმონი  
კი ჩემი ქმარი უნდა იყვეს, ის ხომ მეც  
და გიორგისაც მდგომარეობას შეგვიჭმუ-  
ნის!..

ბულბული კი გაფრინდა... აღარ უ-  
ტვენდა...

— ჩემო ძვირფასო, უცბად ოთახის კა-  
რი გაიღო და სვიმონის უშნოდ დაჭუ-  
ტილმა თვალებმა ნინოს გაუგებრად მია-  
ნათეს.—ეს არაფერია, რომ ჩემ ოთახში  
დაუკითხავად შემოხვედით, უკმეხად შე-  
ნიშნა ნინომ და სვიმონს უგულოდ ხელი  
გაუწოდა.

— დიახ, დარცხენით ეუბნეოდა სვი-  
მონი, უნდა მაპატიოთ. რადგან ეს თქვე-  
ნი სიყვარულით მომიგიდა და ჩემდა უბე-  
დურად თქვენი ოთახის კარი გავაღე...  
თქვენ ვგრძებ იქით, აკანკალებული ხმით  
განაგრძობდა სვიმონი, რომ მე დღეს

უკანასკნელიად უნდა მოგელოპარაგით...  
მე თქვენ, ძი...ელ მიყ...ვარხართ... ცო-  
ლად უნდა გით...ხოვოთ...

— მა... მე თანახმა ვარ... გაუბედა-  
ვად, მიუგო ნინომ, თან კი მის სახეს რა-  
ღაც უკმაყოფილება ეტყობოდა და, რომ  
არავის შეემჩნია, თავი ძირს დაჭხარა.

— როგორ, თანხმა ხართ? შეჰყვირა  
უცბად სვიმონმა და, მუხლებზე დაჩოქი-  
ლმა, ნინოს გაუმძღვანდ ხელებზე კოც-  
ნა დაუწყო.

— ადექით, ჭალარა თმიანს არ შეშვე-  
ნის ახალგაზდას წინ დაჩოქილი ეველრე-  
ბოდეს და სიყვარულს გამოითხოვდეს!..  
ჩემი თანხმობა თქვენი ღრმა პატივისცე-  
მის ნიშანია...

— არა, მე მინდა, რომ ისე გიყვარდე,  
როგორც მე მიყვარხარ, ათრთოლებულის  
ხმით ეუბნებოდა სვიმონი, და თან ცი-  
რას გულში მაგრად იკრავდა. ნინო კი,  
სვიმონის უსწორ-მასწორად გაშვერილ  
წვერ-ულვაშს, თავს არიდებდა და, ხმა  
ამოუღებლივ, ცდილობდა რითიმე განთა-  
ვისუფლებულიყო.

პულბული კი, იქვე ხის პატარა ტოტს,  
აფუზული ამოპფარებოდა, ახალ მიჯნურთ,  
ფანჯარაში დალონებული გადასცერო-  
და... ხმას არ ილებდა...

აღარ უსტვენდა.....

გ. მოუსვენარიძე.



# ქალთ თავადი

(ფსლმუხნი სიყვარულის)

ვითარცა საბელი ძოშეული ბაგენნი შენნი და  
ზრახვანნი შენნი შევენიერ ვითარცა ნაქურცვენი  
ვაშლნი შენნი თვინიერ დუმილისა. ქება-ქებათა.  
(თავი ვ, ე-ე).

**ლ**აწვე—ვარდის ტუჩს ნაზად გაშლილს — კოცნას პარავს ცის ღიმილი...  
ლალის ბაგით შუქს მოაფრქვევს ბროლის შზგავსი, თეთრი კბილი.  
თმის კულული მკერდს ეშლება — საოცნებოდ მხრებს დაყრილი—  
და ტანს ტატანს ოდნავ ბურავს ფარჩა ძოშით მოქსოვილი!..

სახე მანგი, პირ-მწყაზარი კეკლუცობს და მონარნარობს  
ხან ქუფრ-ხვევით ნისლს იფარებს, — ხან საამოდ მოცინარობს;  
და ღიმილი უკრთის ტუჩზე, — ვით ნარგიზი პირ-მჩინარობს,  
მისგან გული ამოდ ტოკავს, — და კვლავ სული შვებით ხარობს!..

მის შავ თვალთა მკვეთრი მზერით განიწონვის ტრფიალთ გული—  
ვერ განუძლებს ტრფობის ალსა და შეიპყრობს სიყვარული...  
მიწყივ ტურფა დაიმონებს ლალ-ბადახშით ალნაგ-მკული!..  
...ასე მუდამ მშვენიერობს ივერიის შზე-ასული!..

მე მას შევხვდი — ცისკრის ეამზე — მთის ბილიკით მიმავალი...  
მთის წალკოტში ვპოვე იგი ლამაზი და ბაგე ლალი;  
შიშველ მკერდზე ოდნავ უწნდა ძუძუ ბროლი, გამჭვირვალი,—  
ოდეს მნახა: მე, — მის ჩერულს, — მასმინა ხმა იღუმალი!

და მითხრა თუ: „მოვედ ჩემდა სულის სწორო, სასურველო,  
მო, შეიბი წელს მახვილი, საყვარელო, სანატრელო...  
ამიერით ტრფობა ჩემი ვინძლო გულს არ ჩაინელო,  
გინდა ლხინი ჭირად გექნეს, — დღე ნათელი დაგიბნელო!..“

— მური, შტახსი და კასსია შევწირე და ვუთხარ ქება...  
ნარდიონმა. მისი მკერდით გამოილო სურნელება...  
სულმა ჩემმა განიხარა, — მომეფინა ბედკრულს შვება,—  
მის ახლო მყოფს ტრფობის ალი მწველ სახმილად გულს მეგზნება!..

აწ მას არღა განვეშორო!.. ვაქო იგი ყოვლად სრული...  
გულის ტახტზე მეფედ დავსვა...—შევუერთო სულთან სული!..  
აპა! ის ვის თაყვანსა ვცემ!.. და ვისი მკლავს სიყვარული...  
აი ჩემი სალოცავი ივერიის მზე-ასული!..

ვ. გორგაძე.

1913 წ. თბილისი.

## კვლავ წყვდიალი!

**კ**ვლავ წყვდიალი... ალარ უჩანს მას დასასრული,  
გოლგოთა მეფობს, აღმართულა წამების ჯვარი;  
რწმენის ტაძარში ლოცვით ჰგოდებს ტანჯული სული;  
ძრწის მთა და ბარი—გარს არტყია ავსულთა ჯარი!..

ცრემლი ნაკადული გადმოხეოქებს ბუმბერაზ მთებმა  
და შევლალადეს ლაქვარდ ცასა ვაება მიწის;  
კაცთა იმედი წარიტაცა წყვდიალის ფრთხებმა  
და სამსხვერპლოზედ წმინდა მსხვერპლი ამაოდ იწვის!

ზღვეების ღვართქაფი ბობოქრდება, იღვიძებს არე,  
ბრძოლის წყურვილით აღგზნებული ვყივი სიმღერას;  
ღამის წყვდიალში ღრუბლებიდგან გამოჰკრთა მთვარე,  
მინაბებული სხივთ აქარგავს ჩემს ჩანგის ქლერას!..

მაგრამ კვლავ ჩატქრა ბადრი მთვარე... ამღერდა ბნელი...  
კვნესა მოისმა შორის მხრიდგან გულის საკლავი;  
ზღვა ხან მრისხანებს და ხან ყუჩიობს შიშის მომგვრელი,  
ხან მნათობს და ხან ჩამქრალია ბედის ვარსკვლავი!..

განთიადს ელტვის კაცთა მოდგმა, ბედნიერებას...  
ცხოვრების ჩარხი ცვალებადობს, მუხთლად ტრიალებს;  
მეც მზისკენ ვილტვი, ვესაუბრვი ვარსკვლავთა კრებას,  
დარაჯად ვსდგავარ იქ, სად ბრძოლის ღროშა ფრიალებს!

მაგრამ ხმა მესმის იღუმალი: ამაოდ ჰგოდებ,  
შენთანვე ჰკვდება თვით სრულქმნილი მშვენიერება!  
ადამიანო, მას ნუ ეძებ, რასაც ვერ ჰპოებ,  
სიზმარი არის საოცნებო ბედნიერება!!...

აკ. სვანი.

## განუყრელად ჩემთან არის!

**რ**ოს ტყეში ვარ, უღრან ტყეში,  
ბურუსი და ნისლი მბურავს,  
ნათელს ფერი ეცრიცება  
და წყვდიადი ფრთხებსა სწურავს!

როს სიჩუმე შესაზარი  
გულის სიმებს აავადებს;  
არე-მარე თვის ჭირ-ვარამს  
ალარ მამცნობს, არ მიტადებს! —

მაშინ მარტო არ გეგონოთ,  
ის თან დამსდევს, ვინც დამსდევდა...  
განუყრელად ჩემთან არის,  
ჩემი სევდა, ჩემი სევდა!

როს ბუნებას მეოცნებე  
მაღალ კლიდიან გადავცერი,  
ჩემს წინ ფართოდ გადაშლილა  
არე-მარე მშვენიერი! ...

აგერ ჭალა, ეგერ ხევი,  
აგერ მთა და აგერ მდელო:  
კოხტად მორთულ-მოკაზმული  
ჩვენი ტურფა საჭართველო! —

მაშინ უფრო არ მშორდება  
და თან დამსდევს, ვინც დამსდევდა...  
განუყრელად ჩემთან არის  
ჩემი სევდა, ჩემი სევდა!

ან, როდესაც ცისკენ მივფრენ,  
გულს მოსჭარბდა ერთფერობა;  
გავეცალე სინამდვილეს,  
შევთავაზე მიწას გმობა... —

და ლრუბლებში დავნავარდობ  
ცის ეთერად წარგზავნილი,  
რომ შავ-ბეღში მყოფმა ვიგრძნო  
ცის სივრცეში შევბა ტბილი... —

იქაც ჩემთან იმყოფება  
და თან დამსდევს, ვინც დამსდევდა...  
განუყრელად ჩემთან არის,  
ჩემი სევდა, ჩემი სევდა.

ლადო გეგეჭკორი.

თებერვალი, 1912 წ.

პეტერბურგი

## ჭ-აეს როლი ქართული ზმნის უღველილების დროს

**ქ**ართული კულტურის ბუნებრივ გან-  
ვითარების შეწყვეტაში ქართული ენის  
ბედიც უკუღმა დაატრიალა. არა თუ  
დაავიწყა ხალხს ბევრი საჭირო სიტყვა,  
რომელიც მანამდე ნასწავლ ქართველ-  
თა საზოგადოებაში ჩვეულებრივ სახმა-  
რებელი იყო, არამედ სრულიად დაავიწ-  
ყა ზოგიერთი ხმა და კულტურული გა-  
მოთქმა ზოგიერთისა. ამ გარემოებამ თვალ-  
საჩინოდ იმოქმედა იმ თემებზე, სადაც  
ძველად მწიგნობრობა იყო ხმარებაში  
მარტოდენ ქართლისა, სკოლა იყო მარ-

ტოოდენ ქართული, რომლის წორმებიც  
ისე, როგორც მოსკოვის რუსული  
არის რუსთათვის, სავალდებულო იყო  
ყოველი ქართველი კაცისთვის, რა თემის  
შვილიც უნდა ყოფილიყო. ასეთია ხმა  
ჭ-აე, რომელიც დავიწყებია სრულიად  
დასავლეთ საქართველოს ზმნათა უღველი-  
ლების დროს. როგორც მასწავლებელს,  
შემთხვევა მქონდა, დაგვირვებოდი საკითხს  
პრაქტიკულადაც. როცა ვაკითხებდი ბავ-  
შვებს ბუნების კარს, ქართლ-კახელი ბავ-  
შვები იქაც კი გამოსთქვამდნენ ჭ-აეს, სა-

დაც ზმნას დართული არ ჰქონდა, ხოლო იმერელი ბავშვები იქაც კი არ გამოსთვავმდნენ ჰ-აქს, სადაც ზმნას ჰქონდა დართული. ასევე ემართებოდათ შაშინ, როცა გამოსათქმელი იყო ზმნების სანი, რომელიც იგივ ჰ-ა არის. ეს გარემოება იმას მოასწავებს, რომ ჰ-ა (ს-ანი) ქართული ზმნებისა ორგანიული ხმა არის ქართულ ზმნათა უღვლილების დროს და თუ იმერელი ბავშვები ვერ ახერხებენ მის გამოთქმას, თავისი მიზეზი აქვს. ქართული ენის რაიონი დასავლეთ საქართველოში ისე, როგორც სამხრეთში (მესხეთში) ძველის ძველად სჭერია თუბალ კაინის (სვანურ-მეგრულ-ჭანურ ენებს), რისი ნაკრთმიც, სხვათა შორის, უნდა იყვეს ჰააქს სრული დავიწყება ხალხის მიერ. ზედ დაპროცესი კიდევ გავლილი საუკუნის დასაწყისითანვე ქართული სკოლის უქონლობა, რომელმაც დასუა ქართული ენის ცოდნა ყველგან საქართველოში.

ქართული ზმნა არიულ ენათა ზმნებში იმით განირჩეა უმთავრესად, რომ უღვლილების დროს თავს დაირთავს ერთგვარ ხმებს, ანუ სახელნაცვალ ძირებს პირის საჩვენებლად, აგრეთვე იმად, რომ გვიჩვენოს ურთიერთობა იმ პირთა შორის. ხოლო ემსგავსება იმავ ენებს იმით, რომ იცვლის დაბოლოებასაც, რაც სხვა არა არის რა, თუ არ მეშველი ზმნა ვარ, რომელიც ზოგჯერ სრულად იუღვლილება. ვარ ზმნის შემწეობით ცვლა დაბოლოებისა პრინციპად დასდებია ყოველ ზმნას და ისეთი სიცხადით არსად, როგორც სომხურში. როცა ქართველი იტყვის ზოგჯერ შემოკლებით ვაკეთებ (კეთებ-ვარ), აკეთებ (კეთებ-ხარ), აკეთებს (კეთებ-არს), ან სრულად დავდივარ, დადი-ხარ, დადის (დადი-არს), სო-

მები თრთავ შემთხვევაში სრულად უღვლილებს ზმნას (მაგ. შინელ, შენება, კეთება) და ამბობს შინუმ-ემ (ვარ), შინუმებს (ხარ), შინუმ-ე (არს). რუსულ ენაშიაც ასევეა: იდეშ (იდ+ესი), იდეტ (იდ+ესტ), იდემ (იდ+ესმი), იდეტე (იდ+ესტე), იდუტ (იდ+სუტ).

ქართული ზმნების სახელნაცვალ ძირთა უღვლილება ის ლერძია, რაზედაც ტრიალებს განუყოფელად ქართული უღვლილება, რაც იმორჩილებს ყოველ ზმნას, მისთვის ერთფეროვნების მიმნიჭებელი და რაც განსაზღვრავს იმ დროსვე მის გვარსაც. ის სახელნაცვალი ძირებია პირველი პირისა ვჲ, მეორისა ჲ, მესამისა კიდევ ჲ. მრავლობითი რიცხვი არა აქვსთ. მათი მისამართია მ, გ, ჲ, რომელთაც მრავლობითი რიცხვია პირველი პირისთვის გვ; მეორე პირისთვის გ. მაგ., ვჲყავ—მყო; ჲყავ—გყო; გვყო, გყოთ, შემდეგი სახელნაცვალი ძირებია ვა, ა, ა—მა, გა; ვი, ი, ი—მი, გი; გვი, გი; ვე, ე—ე, გე; გვე, გე-მაგ. ვაკეთებ—მაკეთებს; აკეთებ—გაკეთებს; გვაკეთებს, გაკეთებსთ; ვიკეთებ—მიკეთებს, იკეთებ—გიკეთებს; გვიკეთებს, გიკეთებსთ. ვეტყვი — მეტყვის, ეტყვი — გეტყვის; გვეტყვის, გეტყვისთ.

უნდა განვიხილოთ ეხლა პირველი სახელ ნაცვალი ძირები ვჲ, ჲ, ჲ, რათგანაც სწორეთ ეს სახელ ნაცვალი ძირებია, რომელსაც დასავლეთ საქართველოში პირველი პირისთვის ჲ მოჰკვეცია, ხოლო მეორე და მესამე პირის მაჩვენებელი ჲ სრულიად გამჭრალა. ის მაგალითები მისი, თუ როგორ იხმარებოდა ვჲ, ჲ, ჲ კლასიკურ მწერლობაში.

**პირველი პირისთვის:** ვჲმადლობ ქრისტესა, გრ. მერჩულისა. რომელსა ვსდევ, id. გაღანამცა მოვჲკლა, ვისრამიანისა ესრე გავჲკლი, id.

**მეორე პირისთვის,** საქმენი წარმართენ გრ. მერჩულისა. განკპოხო შენ შეენიერება, id. ყოველთა თანაწარპეტედ; id; ჰედავ გულსა, id მოპკაზმეთ მინდორნიო, ვისრამიანისა; რამინს ჰყოლიხარ, id; ნათობა ჰმატე, id; ვერ ჰვოებ, id; რაცა დასთესო, id; ვერ გასძლებდიო, id. დასწყნარდი, id, შესჯერდი; თუ სთქვა, id. მოდით და ჰნახეთ, ვეფხისტუასნისა; წადით, გაპხსენით, id. მეფედ ნუ დაპსვი, id; ჰბრძანე, ვისროლოთ, id. ვერა ჰვავ, id. ია მოპრგე, ვარდი ჰყარე, id აღრე სცნობთ, id.

**მესამე პირისთვის:** განმეზადა ტაბლაად გრ. მერჩულისა; ჰრქვა ნეტარსა, id. მეორებასა ჰყოფენ, id. დაპვედრა.. დაწერა, id. ზარი აპკდა, id. გამოპკითხა მეფემან, id. სიხარული მოპტინა, id. კურნებასა ჰპოვებენ, id. ვითარ შეპყვანდა, id. დაშპირდეს, id. ჯვარი დასწერა, id. არა სთნდეს, id. მაღლი მისცეს, id. ჰქონდა ხოროსანი, ვისრამიანისა. ხელმწიფენი ჰყვეს, id. ესე შეპფიცა, id. ეგრე ჰგონია, id. ნუვინ გაპკადოს, id. ასაყარსაცა ჰკრვენ, id. ჰხამს მიჯნური, ვეფხის ტუასნისა რა მოპშორდეს, id. ჰა ჰმიდეს, id. ჰნახეს და ნახვა მოუნდათ, id. ხელი გაპმართეს, id. მათრახი ჰქონდა, id. იგინი დაპხალნა, id. ვერ ჰპოვებდეს, id. მეფემან ჰბრძანა, id. მხეცდა ჰსრვიდა, id. არ ვინ შეპყვა, id. დაღრეჯით ჰჭის, id. უკუნი გარდაპფენდა, id. ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, id. ნუ ჰგონია, id. ვერ მოპკვლენ, id. რა მისპირდეს, id. სკემდეს ჩოგანსა, id. რა ცა სძულსა, id. უკუ სდეს, id. მეფე სწვრთნის, id. სთქვეს, თუ, id. სტირს მეტად, id. ავ თანდილ სჯდა, id. არ დასკენების, id.

ამ მაგალითების მიხედვით ის უნდა დავასკვნათ, რომ ჲ იხმარება სამთავ პირ-

თათვის უცვლელად როცა მუცუ-ჟაგუნე, ყ, პ, ნ, ს, ბ, გ, რ, ქ, ვ, ფ, შ, ზ და სხვა ამგვარის ხმებით იწყება ზმნა; ხოლო იცვლება ს-ანად (ჸ-ინად) დ, თ, ძ, წ, ჯ, ც, ჭ, ტ და სხვა ამგვარის ხმების წინ.

ვინ მოსთვლის, რამდენია შემოხვევა, როცა ორ აზროვნება დაემჩნევა ზმნასა, თუ არ ვიხმარეთ ჰაე; მაგალითად მიყიდა წიგნი, მიჰყიდა წიგნი; მიყო სიკეთე, მიჰყო ხელი; ცემა ვირისა, სცემა ვირსა. ქმნა საქმისა, ჰქმნა საქმე; წერა წიგნისა, სწერა წიგნი; წევს ძალლი, სწევს ძალლი თოკსა. ცხელა დღეს, სცხელა გოგიას. ყვავის ბახალა, ჰყვავის ვარდი, მიტირის ბავშვი, დედას მისტირის ბავშვი. დებს, სდებს, ჭირს თქმა, სჭირს ყვავილი და სხვა.

ჰ-აე სომხურ, ფრანგულ, გერმანულ ენებშიაც იხმარება მხოლოდ სახელის ასპირატივ ხმად, ან შორის დებულად; ქართულ ენაში კი ზედ მეტად იხმარება, როგორც სახელნაცვალი ძირი, ზმნებთან ლრგანიულად დაკავშირებული და პირის მახვენებელი არათუ თავისთავიდ, არამედ ურთიერთობითაც სხვა პირთან. ზმნას აძლევს არა თუ მარტო სიცხადეს, არამედ კეთილ ხმოვანებასაც, თითქოს ენა მუსიკობდესო, ისეთი შნო და ლაზათი აქვს ჰ-აეთი გამოთქმულ ზმნასა. ქართლ-კახეთისთვის ჰ-აე სულის დგმა! ნუ თუ დაივიწყოს, რა კი დასავლეთ საქართველოს არ ემარჯვება? არა და არა! კულტურაც იმას ჰქვია, ვილაბარაკოთ ზოგჯერ ისე, როგორც სხვები ლაპარაკობენ, ვსწეროთ ისე, როგორც იწერებოდა უკეთეს, უფრო ბეღნიერ დროს.

**ჰეტრე მირიანიშვილი.**

# შინაური მიმოხილვა

პირველ დაწესებითი მაღალი სასწავლებელი და ქართული ენა

19<sup>14</sup> / 15 სამოსწავლო წლიდან ჩვენებური აკრედ წოდებული საქალაქო სასწავლებელიც გადაკეთდება შირველ დაწესებით მაღალ სასწავლებლებიად. ამიტომ ურიგო არ იქნება „განათლების“ მკათხველებს გაფაცნო ის, თუ რითი განსხვავდება მომავალი ტიპის სკოლა ასებული საქალაქო სასწავლებლებსაგან და რა ადგილი ექნება დათმობილი იქ ჩვენათვის ძვიროვას საგანს — ქართულ ენას.

ერთი უმთავრესი უშიარატესობა ის ექნება მომავალ სასწავლებლების, რომ იქ კურს დამთავრებულებს მიიღებენ გიმნაზიის შესუთյეულებში უგდზემსნოთ, მოსთხოვენ ეგზამენებს მხრულდ იმ ახალ და ძველ ენებში, რომებისაც ამ გიმნაზიაში ასწავლიან. (შესაძლებელი იქნება გიმნაზიის სხვა კლასებშიც განვითარება ამავე ანგარიშით). საურადღებოა ის იც, რომ კერძო ჰირთა და საზოგადოებათა მიერ დაარსებულ სკოლების გამგეოთა და მასწავლებლების ადგილზე კანდიდატების ამორტიფიც საგანგებოდ დაარსებული სამზრუნველო, სადაც სამოსწავლო მთავრობას ეუზღება თავით წარმომადგენერალი.

აქ ადარივერს ვამბობ იმის შესახებ, რომ მასწავლებელთა მატერიალური მდგრამარება შესამჩნევათ იქნება გაუმჯობესებული, როც გროვ ჭამაგირის, აგრეთვე შენისის მხრივ...

შაგრამ ამ ჭამად ჩვენ უკეთაზე მეტად გვაინტერესებს ის, თუ რა ადგილი ეჭირება ამ სასწავლებლებში მოწავეთა დედა ენას.

ამ საგანს შესახებ თრი — ერთი მეორის საწინადმდებრ აზრია გამოთქმული ახალ დებულებაში. „სასწავლო საგნების განუთითების“ შეთვერთმეტე შეხლში ნათებამა: „გარ-

და იმ საგნებისა, რომელიც მოხსენებულია მერვე შეხლში (მოწავეთა დედა ენა არა სახელებია) პირველ დაწესებითს მაღალ სასწავლებებში სამოსწავლო თაქტის შეზრუნველის თანხმობით, შესაძლებელია შემოდებულ იქმნას, როგორც არა საკალებებულო საგნები, უცხო და ადგილობრივი (მოწავეთა ბუნებრივი ენა) ენები და სხვა დამტებითი საგნები. სტუდ იქვე, მეორე შენიშვნებში, ნათებამა:

„ამ კანონის გამოცხადების შემდეგაც ასებული დადგნილებას ადგილობრივი ენების შესახებ საქალაქო სასწავლებლებში, 1872 წ. დებულებით, ძალაში რჩებათ“. ამ კანონის ძალით კი ქართული ენა, მაგალითად, არა საკალებებულო საგანია და თითო კლასში თრორი გაგვეთილი აქვს დათმობილი გვირაში.

აქ შეთერთმეტე შეხლი ეწინააღმდეგება ამ შენიშვნას, რადგანაც პირველ შემთხვევაში ადგილობრივ ენების შემთხვევათ შზრუნველის თანხმობაა საჭირო და მეორეში კი არა. რა დგანაც არა რესთავების ეს შენიშვნა უფრო ხელსაყრელია, ამიტომ ისინი უნდა ჩატარებული არ არის და თვითო კლასში დედა ენის თრორი გაგვეთილი მაინც შემთხვეობონ.

რაც შეეხება იმ სასწავლებელთა, რომელიც დაარსებულია არან ან დაარსდებიან კერძო მირთა, ან საზოგადო დაწესებულებათაგან, აქ კანონი შეტ თავისუფლებას აძლევს მოწავეთა დედა ენას. ამიტომაც იმავე შეთერთმეტე შეხლისათვის ასეთი შენიშვნა გაუკეთებით. „პირველ დაწესებით მაღალ სკოლებში სასწავლებლის შემნახველთა სურვილის თანახ-

მათ და სახალხო განათლების მინისტრის წე-  
ნა დართვით შესაძლებელია შემოღებულ იქ-  
მნას როგორც სავაჭდებულო საგნები ახალი  
უცხო და ადგილობრივი (მოწაფეთა ბენებრი-  
ვი) ენები, აგრეთვე ხელსაქმე, ხელოსნობა  
და მეურნეობის სხვა და სხვა დარგი, მხა-  
ლოდ იმ პირობით, რომ ამას სავაჭდებულო  
საგნების კურსის შემცირება არ მოჰქვეს“ არ

თუმცა ეს „მაგრამ“ ისეთი ჯადო, რომ

მოწაფეთა დედა-უნის როგორც უნდა იქნა-  
შაშებს, მაგრამ ეგელი კერძო დაწესებულებასი  
და თვითმართველობასი, რომელთაც იმ ტი-  
პის სასწავლებლები აქვთ, ან აპირებენ და-  
ასისი, მოვალენი არაა ფხოზდად მოქმედენ  
საქმეს და ამ მცირე უფლებით მაიც თავის  
დროზე ისარგებლონ მოწაფეთა დედა-უნის  
დასაცავა...“ აურ ცემა იყ ასთენ მუშაო  
სამართლებრივი მინისტრი ი. გ—რი.

## საზოგადოებრივი აზრი

მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

(ნაწილი პირველი)

### IV.

დ. კონკაძე და ლ. არდაშიანი პირვე-  
ლად შეეხნენ იმ მხარეს ჩვენის ცხოვრები-  
სას, რომელზედაც შემდეგში მხოლოდ  
ილ. კავკავაძე შეჩერდა და მისმა ჩვენს  
მწერლობაში სწორ-უპოვარმა ნიჭმა გან-  
ვითარების უმაღლეს წერტილამდე მიაღ-  
წია.

პირველი ძირითადი კრიტიკა სოცია-  
ლური უკულმართობისა ჩვენს ცხოვრება-  
ში კონკაძემ და არდაშიანმა იკისრეს;  
მათ უარყვეს არსებული განწყობილება  
და ახალი ცხოვრებისაკენ დაიწყეს ყურე-  
ბა. იმათ თანამედროვე მგოსნების ყურად-  
ღებაც მიიქციეს და გრიგოლ და ვახტანგ  
ორბელიანებმა შეძლების გვარად თავისი  
მიუზღეს იმ მოტივებს, რომელნიც სა-  
ფუძვლად დაედგნენ მომავალ ცხოვრებას.  
ზევით ნ. ბარათაშვილს დავუნახეთ სხვა

და სხვა მოვლენებზე შეხედულების გა-  
მოურკვევლობა და განსაკუთრებით სრუ-  
ლიად ერთიმეორის მოწინააღმდეგ აზრი  
ისეთ როგორ საკითხზე, როგორიც იყო,  
მაგ. საქართველოს ახალი ცხოვრება.  
რუსეთთან შეერთების დღიდან. ერთი  
აზრია გამოითქმული ბარათაშვილის უმშე-  
ნიერესი პოემა „ბედი ქართლისა-ში“,  
რომელსაც ჩვენ თანამედროვე შეხედუ-  
ლების პოზიციიდან სრული თანაგრძნობა  
გამოუცხადეთ და სხვა აზრია კიდევ მისს  
ლექსში „ძრწოლე კავკასიო“. ასეთივე გა-  
მოურკვევლობა და ამის წყალობით გა-  
საოცარი წინააღმდეგობა გრ. ორბელიან-  
სა მგოსანსა და კერძო პიროვნების შო-  
რის სრულიად აუხსელია, თუ მხედველო-  
ბაში არ მივიღეთ ის Drang und Sturm  
periods, როდესაც მთელი ჩვენი ერის

ცხოვრება ისე აიწერა, რომ თავი და ბოლო არაფერს უჩნდა. ერთი მხრით მთავრობის მუხანათი და იმავ დროს ერთგული მოსამსახურე, შეუბრალებელი ღენერალი და ნამდვილი, გამონაკვთილი ბატონი და იმავე დროს ბრწყინვალე მგოსანი, ისეთი ჰუმანიური აზრებით გამჭვალული, გასაოცარია, როგორ თავსდებოდნენ ერთსა და იმავე პიროვნებაში.

გრ. ორბელიანი თავიდანვე იმ აზრისა იყო, რომ საქართველოში რუსის დამკიდება საქართველოსათვის უდიდეს ბედნიერებას შეადგენდა და ბოლომდისაც შერჩა ასეთი შეხედულება. იგი ხოტბას ასხამს იმპერატორს „სადღეგრძელოში“, რომელიც ცხადია უკუკოვსკის „П'євецъ во станѣ русскаго войска“-ს დიდი გაფლენის ქვეშ არის დაწერილი. ნიკოლოზ ბარათაშვილს კი ასეთივე შეხედულება უცაბედათ გრიგოლის წრის ზეგავლენით ჰქონდა გარეგნულად შეთვისებული, მისი შინაგანი სულიერი განწყობილება კი იმავე თვისებისა იყო, როგორისაც სოლომონ ლეონიძესი ღმრთად ჩამატიქრებელი მოსაზრებანი, რომელიც ბარათაშვილმა მას ათქმევინა „ზედი ქართლის“ -ში. წუთიერი გატაცების მიზეზით 1832 წელს მთავრობის წინააღმდეგ მონაწილე გრ. ორბელიანი, რომელიც მოაშორეს სამშობლოს, უცხოეთში გულის წუხილით იგონებს იმ ნეტარების დღეებს, როდესაც მას შეეძლო, „ჩვენებურათა, ძველებურათა“ გული სიამოვნებისათვის გაეღო და აღტაცებით მოესმინა წარსულ დროებზე მოთხოვობა. იგი მიუხედავათ იმედების დამსხვრევისა მაინც სასოებით შესცერის იმას, ვისი, წინააღმდეგობისათვის იყო იგი სამშობლოს მოშორებული. იმას მაინც იმედი აქვს, რომ მისი სამშობლო, რუსის ხელმწიფის წყალობით „განახლებული,

განათლებული, ფენიქსებრ იწყებს მართა ფრენასა“. გრ. ორბელიანი, როგორც ნამდვილი პიეტი, მეტად ფხიზელ გრძნობიერია და იმის მიხედვით, რა წამს რა გრძნობა სჭარბობს, მისი კალამიც ამ გრძნობას ემონება და ამის ცვალებადობის მიხედვით მის გულს ხან სასოება ეფინება და ხან კი უიმედობა იყორობს. გრ. ორბელიანი იგონებს თავის სამშობლოს წარსულ დიდებას და რამდენიც მეტს ფიქრობს, იმდენათ მეტი ფასი ედება გადასულ დადებას. „ჭე, მაშულო, სასურეელო, ვინ გახსენის, რომ მის გული არ ათრთოდეს სიხარულის აღტაცებითა აღვისილი“ -ო.

ამბობს მგოსანი, როდესაც შესცერის იმ თვალ-წარმტაც შშვენიერებას «სად გელინი, ფერით ზურმუხტნი ნაზადა ადმწვანებიან». და

იგი შექსარის ამ შემკულ ბუნებას, რასაც ასე ღრმათ გრძნობს, და აღტაცებით კითხულობს: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეუნის“ -ო, მაგრამ როდესაც იგი ადარებს სამშობლოს საობარ დიდებით შემოსილ წარსულს და აწინდელ მის მდგომარეობას, გულ-მოკლული ცხადებს სურფილს არ გამოფხიზლდეს, რომ აღარ გრძნობდეს თავის სამშობლოს სულით დაცემას. მის თვალში საქართველოს აწინდელი მდგომარეობა ვერ შეედრება წარსულ დროებს, და მათ იგი იგონებს მხოლოდ იმისათვის, რომ იმ გმირებზე ოცნებამ სულით აღამაღლოს და „გული გვიმაგროს“. მგოსანს იმისი ეპვი უწამლავს სიცოცხლეს:

„ვა თუ რაც წახდეს, ვედარა ადსდეს, გედარ აღუვავდეს ახლის შენებით? და რაც დაუცა, ის წარიტაცა შავმან უთანამიან, ვით უმწე მსხვილდან?!“

გრიგოლს დიდი იმედი აქვს, რომ „მფარველ მარჯვენის“ ქვეშ „ახლის ცხოვრებით ავყვავილდებით, ვითარცა მდელო მზის შარავანდზე“, იგი ოცნებობს ისეთ გმირზე, რომელიც მოევლინოს თავის დაჩაგრულს სამშობლოს, რომლის „ძლიერი ხმა აღადგენდეს დაძინებულს ბედს, და რომელიც ერთი დაკვრით ვეშაპს მიწად დაცემდეს“, მაგრამ... მის ოცნებას ფრთხი ეკუცება, მომავალზე უნუგეშოა და წარსულზე იმიტომ მოსათქვამს, რომ „მთვეჭმითა ნუგეშეცემის და ჭმუნება მითცა შემცირდებისა“. ეგ გამოურკვევლობა, იმედსა და უიმედობას შორის ყოყმანი, ამ ბოლომდისაც შერჩა ზოგ ქართველი...“

გრ. ორბელიანი ხანდახან ამ უიმედობაში იქამდისაც კი მიდის, რომ ამბობს: „სოფელი იმად არა ლირს, კაცი ნატრობდეს უამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა-რას არგებს სოფელსა“, და ამ რგების პროგრამასაც ასეთს იძლევა: ჩვენი სიცოცხლე კეთილ საქმეზე უნდა იყოს აგებული, დაცემული აღადგინო, ბოროტი ვსდევნოთ და სხვისი კვნესა და ტკივილი ჩვენად უნდა მივიჩნიოთ. იგი თეორეტიულად მაინც მიდის იმის შეგნებამდი, რომ მალე ისეთი ღრო დადგება, როდესაც გვარიშვილობა და ნიჭი შეებრძოლებიან ერთმანეთსო და უპირატესობას ნიჭს აძლევს:

„მიუწით ნიჭსა გზა ფართო, თაუენის ცემა დიონესას, ნიჭს აძლევს ზენა მსალედ პაცს და არა გვარიშვილობას.“

თუმცა ეს აზრი ქართველისათვის ისე უცხოც არ არის, როდესაც ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ამბობდნენ: „თუ კაცი თათან არ ვარგა, ცუდია ბეგარაშვილობა“ -ო.

გრიგოლი თანდათან ანგოთარებს ცარის და ბოლოს თავისი ფიქრის ნაყოფი „მუშა ბოქულაძე“ -ში გადმოანთხია. აქ დაწვრილებით აღნიშნულია შრომით და ტანჯვით სავსე ცხოვრება იმისი:

„ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჭრება შეფინავთვის ერთი ლუგმა შექისა“. მგოსანი მწარეთ დაუფიქრებია იმ ანორმულ მდგომარეობას, რომ ერთი მუშაობს, სხვანი კი იმდერიან და არავის „ესმის თუ სადღაც მუშა კვნესას“. იგი ხელავს, რომ ქვეყნის სიმდიდრე, რომელიც მუშისაგან შექმნილია და თვით მუშაც მისი „ოფლით, ლინითა განცხრომის ძეთ“ ეკუთვნის. მგოსანი გვიღვიძებს ამ „შრომის შვილისადმი“ სიყვარულს და გვასწავლის, რომ ამ „სოფლის გარეთ უწყალოდ განდევნილსაც“, გული ისეთი - ვე გრძნობებით უძგენს, როგორც სხვასაც და კეთილის გრძნობაც აქვს მას, თუმცა „სილარიბის სამოსლით“ დაიარება; იგი ამ დაჩაგრულ არსებას კი მის მდგომარეობისადმი ზიზღს უნერგავს გულში, ამაგებს მას:

„წევულ იუს ვინცა მუშა აკურთხა, მოკლებული უდგენ-გარის შექმნასა კაცთა შორის კაცად არ მიჩნევული!“

ამნაირად, თუმცა მგოსანი გულ-ამღვრეულია თავის მოძმის დაცემით და ტანჯვით, მაგრამ იქამდის მაინც ვერ მიდის, რომ უფრო კონკრეტული და ხელ-მოსაკიდებელი რჩევა მისცეს ამ მოძმეს, ვიღრე იმის იმედით კვება, რომ იქ, იმ ქვეყნათ გამოჩენდება მისი სიმართლეო. „ეჭ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზედ სიმღერით, მე ჩემს ბარგსა რაგორმე იქ მოვიხსნი...“



სად მე და შენ ვიქებით თანასწორნი,  
საუკუნის განსასვენსა აჟა ცის!“

უფრო იმედიანი თვალით შესკერის  
ქვეყნის მომავალს ვახტანგ ორბელიანი,  
რომელიც თვალ-ცრემლიანი კითხულობს  
მის სამშობლოს ძველ დიდების ნაშთზე  
და ნანგრევებზე „ბნელის ეტლის“ ბნელ  
მოთხოვას. მასაც გრიგოლივით „გაშმა-  
გებულს გონება ერევა“ და როდესაც გაი-  
თვალისწინებს საქართველოს მდგო-  
მარეობას, იგი თითქმის ღვთის გმო-  
ბამდი მიღის, ბედავს მისწვდეს „მოქლე  
ჭკუით“ მაღალ ღვთაებას, გზა უჩევენოს  
ციურსა ნებას და ეჭვი შეაქვს თვით მას  
არსებობაში. ხოლო ასეთი აღტაცება,  
ეს სურვილი, ბუნებრივ ძალთა მიმდინა-  
რეობაში ჩარევისა, ეს ისტორიისაგან ნარ-  
გუნები არსებული მდგომარეობით უკმა-  
ყოფილება თავისი სურვილების გამოცხა-  
დება, ეს ხომ მთელი სოფლ-მხედველობაა  
პოეტისა. მაგრამ ყოველივე ეს მგოსნის  
მიერ მხოლოდ შეუმცნებლად ნაგრძნო-  
ბისა. ჩვენი მგოსანი გონების თვალით არ  
ჩაკვირვებია და ვერც ჩაუკვირდებოდა,  
თუ რა დიალი და ღრმა აზრი იყო გა-  
მოთქმული შემოქმედების დროს აღთრთო-  
ვანებით წარმოთქმულ სიტყვებში. ის  
უიმედობის დაღი, რომელიც ვახტანგის  
ახალგაზღური სიფიციით მიეცა, ეს ის უა-  
მი იყო, როდესაც საქართველოს სული  
ხდებოდა“ და რომელსაც ვახტანგი იგო-  
ნებს თუ არა „სული უკვნესის, გული  
მისი მწარედ ღონდება“, მაგრამ მასთან  
ისიც გულს უიმედებს, რომ ათასის წლი-  
სა ხასით შემოსილნი დიდებულნი ნაშთ-  
ნი მტკიცედ დგანან და ისინი იქნებიან

უტყუარნი მოწამენი წარსული დიდებულია  
იქიდან გამოისმის მგოსანს:  
„ქრისტეს ჯგრისთვის წამებული კვლავ გამ-  
რავდება  
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ: უშავ-  
დება“-თ.

ორბელიანებს (და თვით ბარათაშვილს),  
როგორც რომანტიკოსთ არ შეეძლოთ  
წარსული აწყვით ზევით არ დაეყენებიათ,  
და თუ რაღაც ფენიქსებრ განახლებას,  
აყვავებას, დაწყნარებას, მოქალაქობრივ  
ცხოვრებას მოელიან, ეგ მხოლოდ იმ  
დროინდელი იმათი ჯგუფის პოლიტიკა  
იყო. დაკარგულის სიღიადეს ისინი ინ-  
ტუიციით ხვდებოდნენ და ეგ იმედები კი  
მათი ხარისხით და ლოიალობის მიზნით  
შემუშავებული ტაქტიკა იყო. რამდენად  
მოწიფული იყო ეს პოლიტიკა და რამ-  
დენად უმცდარი იყო ეს ტაქტიკა ეს ახ-  
ლა უკვე ადვილი მისახვედრია.

გახტანგი მთელს პროგრამას იდლევა კე-  
თილ მმართველობისას. თაყდაპირველად  
იგი მოითხოვს ხალხს თავისუფლება მიე-  
ნიჭოს: „მას მიეცა, რაც მისია, ყოფა ნე-  
ბისა“-ო ეუბნება მეფეს;

„ნუ ანდობ, შენს ერს, დიდო მეფევა,  
მძლავრთა მოხელეთ, შენი სამეფო შენ  
და ერმა ერთად განაგეთო“, ამბობს იგი.  
„იმის სიმდიდრე და მის შრომა მასვე ახ-  
მარე“-ო განაგრძნობს ვახტანგი, რაღა-  
ნაც გრძნობს, რომ მთელი რუსეთი უნდა  
განახლდეს, და რომ იგი დიდი ცვლილე-  
ბისათვის ემზადება.

„ეშურე შევუშ, მანამ ერთ შენი შემთგ-  
ონის ცხოვრებით შენი ერთ შენ განაცხვ-  
დე“.

ურჩევს იგი ხელმწიფეს, რადგანაც მის ხვედრილია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობისათვის ხალხის ნდობას. ასე რომ (ახლანდელი ტერმინალოგიით) ვახტანგს რომელიმე კონსტიტუციონალურ პარტიებში ექნებოდა ადგილი.

ვახტანგსაც არ დავიწყნია გლეხებისაკენ ია გადაესროლა და ესეც ამბობს „გლეხთა ძმობაზე და ქვრივ-ოხერის შეწყალებაზე“, მაგრამ ძლიერ ჰაეროვანი იყო ასეთი „შორით ტრფობა“.

ჯერ კიდევ ლ. არდაზიანმა გაუბედავად გაპკრა იმ სიმს, რომელიც შემდეგს ჰანგზე აყელერს: „წარმოიდგინეთ, ვის არ უყვარს მამა-პაპის ქოხი, თქვენი მშობელი ქოხი! ნუ თუ სხვის სასახლეში უფრო თავისუფალნი იქნებით, უფრო შვება, ლხენა გექნებათ, გინამც თქვენს მშობელს ქოხში“! ამბობს მეჯლანუაშვილი, მაგრამ ამასთან იგი იმის წინააღმდეგი არ არის, ეს ძველი ქოხი გაამშვენიეროს, იგი ჰედავს, რომელიც პიროვნების თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის და მისს რეალურ განთავისუფლებას შესაძლებლად სკრიბს. რომ სხვისი დარბაზი მის ქოხზე უმშვენიერესია და კიდეც გრძნობს მის განახლების საჭიროებას, შეძლებისამებრ გავაკეთებ, გავამშვენიერებ და ანდერძად დაუცდებ ჩემს შვილი-შვილებას, რომ ეს ქოხი არამც და არამც არ გაჰყიდონო, განაგრძნობს იგი. რა თქმა უნდა ეს „ქოხი“, „მამა-პაპის ქოხის სიყვარული“ თვითონ პირადათ ავტორის ნაგრძნობი და ნაფიქრებია, ისე კი ისტორიულად და ფსიხოლოგიურად მეჯლანუაშვილის ეს სიტყვები სინამდვილეს ეწინააღმდეგება: საქმე ის არის, რომ ის კლასი, საიდანაცაა აღებული მეჯლანუაშვილი, ბურჟუაზია სრულიად არ იწყნარებს ამ იდეოლოგიას. ეს კლასი, სადაც კი მან ფეხი მოიდგა,

თავისი ცხოვრების მზის გასანათებლად შემდეგი ლოზუნგი დაისახა: სხი ხენა – იხი patria.

გრიგოლ ორბელიანიც იძლევა რიტორიულ კითხვას:

„ვინ არ შეგვსტროთ მას ადგილს, სად ადაგებენილებეს შირველ თვალია? სად რბილა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი“ – ა

ამავე კითხვის ვარიაცია ვახტანგის ლექსიც:

„მე ჩემი ქახი მირჩევია შენს დიდს ჰალაცია, შენს უგავილთ წალეოტის, მშეგნიერსა და გულიწარმტაცია მე აქ გშებილვარ, აქ გავზრდილვარ, აქ უნდა მოვეკვდე, ჩემი სამარე უნდა იყოს ისევ დიდი კლდე!“

ამავე სიყვარულით უძევრს გულ იმ მგოსანსაც, რომელიც თოვლიან – ყინულიან სალ კლდეს შეკხარის. ორბელიანები უკანასკნელნი არიან ჩვენს მწერლობაში, რომელნიც თავდავიწყებამდის ეტორიან ძველ წარსულ დიდების თავის სამშობლოისას და ჯერ-კიდევ სწამთ თოვლიარისა და ძლიერი მკვლავის მნიშვნელობა, თუმცა პირველი ქართველი პუბლიცისტი ალ. ორბელიანი ჯერ კიდევ 1859 წელს „ცისკარში“ სწერს, თოვ-იარალის დრო გადვიდა და მისი ადგილი სწავლა-განათლებამ დაიკირაო.

„რადასა ეჭით!

რატომ გვირგვინით

არ შეიძლება გინცა გეავთ დირსი?

რომ ბრძოლის ცეცხლი

ასტუდეს ფიცხელი,

ხმლისა ტრიალით, ძლევის უფინოთ  
იმ თქვენშა გმირშა,  
სულით ძლიერშა

ხელს ბაითადით, ძირს დასცეს ყარისა! - დ

იშვევს ძველი თაობა გრ. ორბელიანის პირით ახალ თაობას, რომელიც გაჩქარებული მოეშურება სამოლფაზეო ასპარეზზე იმის გამოსაცელელად. როდესაც ერთ თაობას დრო გადაუვა, როდესაც ცხოვრება თვით ამ თაობის მეღვაწეობით იმდენათ განვითარდება; რომ ახალ შინაარსს ძველი ცხოვრების ქრექი ვერ დაიტევს და უთუოდ ახალი ფორმა უნდა მიიღოს, ამ „გადასულის“ წარმომადგენელნი, მომავლის მამები, უნდო თვალით უცქერიან ამ ახალს, რომელიც მათ მოქმედების კრიტიკით იდგამს ფეხს.

„დრო შეიცვალა,

გამეფდა წწაფლა,

უცქერობა გეღლო შვილებს სახლი სიბრძნისა“

და ოუმცა თქვენგან იმას მოველოდით, რომ მამებს სჯობნებოდით, მაგრამ თქვენს ოქმედებაში საიმედოს ვერასა ვხედავთ, სრული ურწმუნოება შემოიტანეთ და მამებს გვკიცხავთ, მაგრამ.

„მაშის გალიძღვა

შეიჯს ვერ აღიდებს“ - დ

განაგრძობს გრ. ორბელიანი. ყველა დროის ძველი თაობის ფსიხოლოგია ასე-

თია, რომ ყოველი ახალი აზრი, ყოველი ცვლილება, რომლის დამცველად ახალი თაობა გამოდის, მას მავნებლად მიაჩნია და ძველი ტრადიციების მხარეს დგას. ვახტანგის თაობაც მომავალს ედა-ვებოდა და „ცრუ-პოეტებს“ და „ცრუ-ლიტერატებს და პატრიოტებს“ უწოდებდა. ძველი თაობა რადგანაც ხედავდა, რომ ეს ახალი იდეალები ხელდახელ არ ხორციელდებოდა, იგი დასცინოდა მას: „სიტევა სიტევაა,  
საჭმე კი სხვაა“ - დ.

დიდად საინტერესოა სწორეთ ეს კამა-თი თაობათა შორის, აზრთა სხვა და სხვა-ობა და ამ აზრთა გამოცხადებით დაცვა. აქიდან იწყება მართლადაც შეგნებულად ჩვენი ახალი მოქალაქობრივი ცხოვრება.

აი ასეთი აურ-ზაურით დაიწყო ჩვენს მწერლობაში ახალი ხანი, ასეთი ბუზლუნით დასტოვა ასპარეზი ძველმა თაობამ, როდესაც ახალი თაობა, თაობა მე-60 წლებისა, აგრე წოდებული თაობა „თერგ დალეულებისა“ მტკიცედ მოაბიჯებდა და თან მოჰქმნდა ახალი ჰუმანური აზრები, გრავალი კეთილი განზრახვა, თავის ქვეყნისაღმი უანგარო სიყვარული.

აგრეა ხოლმე, — „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“.

**სამსონ დადიანი.**

(შემდგენ იქნება)





1881 წ. სასწავლო გეგმა

## ჯიხაბიშელი „მთვრინავი კატა“ და 1881 წ. სასწავლო გეგმა

(საპასუხო წერილი დიდი-ჯიხაბიშიდან)

**ჯ**იხაბიშელი „მთვრინავი კატა“ გაგვინა-  
წენდა. გაგვინაწენდა აფიათ იმიტომ, ოთმ  
ის, ოთგარც ჯიხაბიში მცხოვრები ვინქე,  
„პარგათ იცნობს ჯიხაბის მასწავლებლებს“  
(კატის სიტყვებია) და ამიტომაც მათ შესა-  
ხებ რობერტის წერილი ტენდეციურათ მო-  
ჩვენებდა. ეს ოთხთვეხი „მთვრინავი“ ასება  
დიდის აშავით „გზიშტკაიცებს“ მასწავლე-  
ბელთა სიმართლეს და მათ „ბრძოლას“ 81 წ.  
ბებმის დაცვის საქმეში. სხანს ეს „კატა“  
საზოგადო საქმის მოუვარულია, სხანს ის ვერ  
ურიგდება „უსამართლობას“ და ამიტომ „ებ-  
რძის“ ობიექტს, მაგრამ იგივე საზოგადო  
საქმე მოითხოვს, კარგათ გაისინჯოს ამ უც-  
ხო „კატის“ „მთლიანწეობა“, ე. ი. მთ-  
ლიანწეობა, თუ ოცნების სისწარით იცავს  
ის სინამდვილეს, სიმართლესა და ჰატიას-  
ნებას.

ბ ნო, კატა, თქვენ ბრძანებთ, რეკორდი  
81 წლ. გეგმა შესცვალა, დაღატმა თავი  
იჩინათ. დაგეთანხმები, ოთმ რეკორდის მარ-  
თლაც ბეჭრი არა სასურველ საქმის ჩადენა  
შეუძლიან, მაგრამ თქვენაც დამეთანხმეთ, სა-  
მართლიანო კატა, ოთმ იგივე რეკორდი იუ-  
მიზეზი თქვენმა კლეინტებ-მასწავლებლე-  
ბმა ხსნებილ სასწავლო გეგმას ერთსულო-  
ვანათ რო უდალატეს. მე თქვენ გეუბნებით  
დიდი-ჯიხაბიში მოწინავე სითვებით, აქ თით-  
ქმის უღველ-გვარი დაწესებულება იურის თა-  
ვს, მასშადამე ის თავის მდგომარეობით უუ-  
რადღებს იპყობის დანარჩენ სხვა ჩამორ-  
ჩენილ სითვებისას; მაშასადამე აქაურ მასწა-  
ვლებლებსაც მეტი საშუალება ეძღვეა ცხა-  
ვრებასთა ახლო დღენენ, განვითარებას მის-

დიდნ და ამგვარად ჩამორჩენილ სითვების  
მასწავლებლებს თავის ცოდნით და განხითა-  
რებით წინ გაუსწორო, და ამიტომაც შედარე-  
ბით, მათ მეტი მოეთხოვებათ უსამართლობა-  
სთან ბრძოლის საქმეში. სახახულევის, ბანო-  
ჭის, ანუ გვაზოურის სკოლის მასწავლებლებს  
შედარებით ჩვენ იმდენს ვერ მოვთხოვთ, რა  
მდენისაც ჯიხაბიშისას; ამ უკანასკნელით,  
ოთ-  
გორც ვთქვით, სკოლა სამუშავება ხელს-  
უწყობს იბრძოლონ თავისა და სხვის სასარ-  
გებლოთ და სამაგალითოდ, მაგრამ, საუბე-  
ღუროთ, ეს არა სხანს მათს ცხოვრებაში.

ბეჭრი მელანი დახარჯა „გატაშ“ მანიკო-  
ვის მიწერ-მიწერილ ხომიების ადსანიშნავათ!  
უნდოდა აფიათ მასწავლებლებს „დაადი  
ბრძოლა“ ებგენებინა ჩვენთვის, მაგრამ ოცნები  
იყო მათი „ბრძოლა“?

— ასწავლეთ რესულით. ბრძანებდა მაჟ-  
ნიკოვი.

— ვერ ვასწავლით, თქვენთ აღმატებულე-  
ბაგ!... იურ შესუნი

— ასწავლეთ თორებმ!..

— ვერ, ვე-ე-ე-რ ვასწავლით თქვე. თქვენთ  
აღმატებულებაგ!

— გადაგივენთ აქედან...

— ვაა, ვასწავლით 15 წლებრინდან!.. აი  
ოცნები სასიათდება ჯიხაბიში მასწავლებლე-  
ბის „დაწესება“ 81 წლ. ბებმის დაცვის საქ-  
მეში და ამას უწინდებოთ თქვენ ბ-ნო „კატა“  
ენერგიულ ბრძოლებებს? ვერ დაბიჯერებთ!  
მე თქვენ გევითხებით, სხვას რო თავი დაგა-  
ნებოთ, გნახორძინდენ კი ბრძოლას ჯიხაბიშის  
მასწავლებლებით თუ გინდ ბიუროკრატიულ

„ꙗნѡніоꙗ“ ნიადაგზე? მაჟნიკოვმა უკანონობა  
ას ჩაიდინა — გასახივრეთ თქვენ ეს დასაბუ-  
თებულათ დირქეტორთან, ანუ ოფიცის მზრუ-  
ნველთან ისე, როგორც ეს მოხდა ქუთაისის  
სკოლებში? 81 წ. სასწ. გეგმა კანონია  
და მისს დარღვევის გამო ამგვარ ბრძოლა  
უკანონობა არ იქნებოდა? ეს არ მომხდარა  
თქვენის მხრივ და ამა პეტიონით თქვენი „ბრძო-  
ლის“ შესახებ დაპარაგი ხო ზემოქმიდი იქნე-  
ბოდ!.. მაჟნიკოვი ბრძანებს: „Джихаини-  
ское училище открыто по типу нор-  
мальныxъ училищъ“ და კატაც იქნა  
განმარტავს ამას (81 წ. გეგმა არ ვრცელ-  
დება ნორმალურ სკოლების); კინამშის  
სასწავლებელზედაც არა? მაგრამ ეს რო ასე  
იყოს, თქვენ ხო 15 ნოემბრიდან რუსულის  
სწავლების სება არ გვქნებოდათ. არაან სას-  
წავლებელი დაწმუნებულია მაგ; კულამშის, უვა-  
რილის, სენაკის, ფლოთის, ასანჩევთისა და  
სხვა, რომელთაც სახაზინო-ნორმალურს უწო-  
დებენ ამაზე არ ვრცელდება 81 წ. სასწ.  
გეგმა, თუმცა სამართლით აქაც უნდა ისწავ-  
ლებოდეს აյ მასწავლებლები სახენადო კასაში  
კამაგირის მხლობო 20% სტავებენ და სხვა...  
სასიათდება ამგვარად თქვენი სასწავლებელი  
(კინამში)? — არა! გააგებინეთ და განუმარტეთ  
ეს თქვენ ვისმე? აღმართ ამის გამოსარ-  
გებებათ როდესმე საკითხი მთავრობისა, ანუ  
საზოგადების წინაშე? — არას დროს! მაშ-  
რაში გამოიხატა, ბ-ნო კატალ, მასწავლებლე-  
ბის ბრძოლა? — მსოფლიო როინდ სიტევის  
„შებრუნებაში“ და მერე... დათმობაში, და-  
დარში!

ଓঁ শৈবেন তক্ষণত পূর্ণা, এ গুরুত বৰাবা, শৈ-  
মধ্যে শৈবাঙ গ্যানিমেষনেৰোৰ, মৈদিৰ বৰ বৈশ্বিকেন্দ্ৰা  
সাৰেগুণাদলেৱোৰ এ সাৰেগুণাদলেৱোৰবৰোৱা । আৰোৱা  
গুণিকোৱাৰিলেৱোৰোৱা ! পৰাগুৰুশেৱেৰোৰ পূর্ণা, পুন-  
ৰোৱা সাৰেগুণাদল বৰচলেৱোৰ, সাৰেগুণ মৈৰাঞ্জ-  
গীৰোৰ, পুনৰোৱা মৈৰাঞ্জেৱোৰ, মৈৰাঞ্জাৰি রূপ পুৰ্ণেৱ

ჯგუფს, რომელსაც „დღეს რო ერთმა დაგავშატია, ხელ გისას გიქეითოთა!“ — აქეს დევიზთ დასახული და დღე-დამეს სარდისა და კარტის თამაშს ანდომებს. ჩევნის აზრით, მის შესახებ „მფრინავი კატის“ მიერ მოსწენებული ცნობა სრული სიუალებდ უნდა ჩაითვალოს!..

მოგახსენებთ ბ-ნო კატა, რომ, თქვენ გერც ერთი ჩემის ბრალდება უარყოფით, არც ერთ ჩემის ბრალდებაზე არსებოთად ჰასეუნი არ გაიციათ, თვითონებე ადასტურებთ მთავარ ჩემის ბრალდებას-წლის შირველ ნახევრიდან იწყებთ რუსების სწავლებას, ამიტომ მინდა გათხროთ, რომ თქვენის გექილობით ვერაფერ დად სამსახურს უწევთ ჯიხაიშის მასწავლებლებს, პირიქით მეტ ზარას აუენებთ მათ, თქვენს თავსაც და, რომ ეს ასეა, ამას უფრო ნათლად ქვემოთ დაინახავთ.

თქვენ ამბობთ 15 ნოემბრიდან ვიწევებთ რუსების სწავლებასთ, — ეს დალატა, მაგრამ მე უფრო შორს მივდივარ და გეგმნებით: თქვენ ვრცენ შეგძლებიათ, ნე თუ ერთხელაც შაინც არ შეფრენიდ-ხართ შირველ განედილებაში-თუ გრიდ სერგოსა და ქნებ—ს მოსწავლეებთან და არ შოგისმექიათ იქ რუსებით „ბეჭბულობა“, არა მხოლოდ 15 ნოემბრიდან, არამედ უფრო აღრე-15 ნოემბრამდინაც-კი? უმთავრესი ბრალდება ესაა ბ-ნო კატა, რაც იპას ამტკიცებს, რომ ჯიხაიშის სასწავლებელში ღალატობენ არა მხოლოდ 81 წლის სასწავლო გეგმას, არამედ ღალატობენ თავიანთ თავსაც-ე. ი. მათ მიერ აღნიშნულ 15 ნოემბრის „მორიგებას“-თვით პედაგოგიური საბჭოს დაღვენილებას. თქვენ ხო „კარგათ იცნობთ“ კატა, ჯიხაიშის მასწავლებლებს, მათ საქმიანობას, იცნობთ კარგად სერგოსა და სხვებს, მაშასადამე, უნდა გცოდნოდა მათი შინაური დალატიც და, როგორც მოქალაქეს, გაბეჭდულ აღგნიშნაონ ეს საზოგადოების

წინაშე, თუ გრიდ „გატის“ შესველისამდე, მაგრამ სჩანს, ბ-ნი კატა-კატურათ იქდება, ის ეშმაგურათ სელს აფარებს თავისს კარგათ ნაცნობების დალატს, სამაგიროთ დიდის რასით გამოდის როგორის წინადმდებარება, რომელიც ამ გვარ დალატზე უთითებს მთა!.. თუ ეს ასეა, მაშასადამე ბ-ნი კატაც, რომელიც, ეჭვი არაა, ხელიად დაფრინანგს ჯიხაიშის შეფლის გარშემო, მხარს უჭირს სერგოსა, მის K-O და მით, თქმა არ უნდა, მხარს უჭირს, 81 წ. გეგმის დალატსაც. ამიერიდან იცნდეს ბ-ნმა „გატამ“, რომ მისი ამგვარი მოღვაწეობა საუცხოველ ნიმუშით ადინიშნება ჯიხაიშის განათლების ისტორიაში... ამის შემდეგ აგლოვ მინდა შევეკითხო ჯიხაიშის მასწავლებლებს, იციან მათ თუ არა ზემოხსენებული ხაზგასმული და თუ იციან, რატომ არათერს ამბობენ ამდენ-ხანს? ამისთანავე ვერ კითხები მათ, იკრიბება თუ არა ამ სასწავლებელში შედაგოგიური საბჭო და თუ იცნობება რამდენჯერ? მაგალითად გასულ თვის ენგენისთვიდან დღემდე რამდენჯერ ჰქონდათ სხდომა და რა დროს? ეს საჭიროა, ბატონო კატა, იმის გასაგებათ, თუ რამდენათ იცნობენ ისინი ერთი მეტობის და მათ მიერ განვლილ სასწავლო საგნებს!.. ვეგითხებით ადგილობრივ საღოთვო სჯულის მასწავლებლებს-ს. დევიძესა და სხვას, რომელ გებშით ასწავლიან ისინი საღოთვო სჯულს? საჭიროა ესეც გიცდეთ?

თქვენ მხოლოდ „პეტი“ შეგაქვთ ბ-ნო კატა, იმაში, რომ იყანდიდის თო-კლასიან სასწავლებლის მასწავლებლებთ, შედარებით მაღლა ვაეცემდი 81 წ. სასწ. გეგმის დაცვის საქმეში და „მტკნარ სიცორუეს“ უწოდებთ ღოლობერიძის მიერ „ქართულ ენის“ აქრძალებას, მაგრამ ეს არ კმარა ბ-ნო კატა, ადინშნულ ფაქტების უარსაეთვათ. ფაქტი-ფაქტით უნდა უარყოფით და არა მარტო ფიტო-



ნი, სიტყვებით, მანამ კი ჩემ მიერ აღნის  
შეული მოხსენება შეურევებულ მიმჩნია...

მაგრამ, გთხოვთ, მომისმინდ ჰატივცე-  
მულ კატალ! ჯიხაიშის მასწავლებლები, მათ  
შორის „მოქინევა კატალ“ და გარეშე ინ-  
ტერიენციებით — ექიმთ, ფერმალო და სხვანო,  
მოგეხსენებათ, შეიძლება ის ფაქტი, რომ გასულ  
წელს, როცა ჩეკენი შესანიშნავი და უველა-  
საგან ჰატივცემული პედაგოგი იყობ გრგება-  
შეილი გარდაიცვალა და მისი ჰატივის მცემუ-  
ლი რამდენიმე პირი ადგილობრივი სკოლის  
ეზოში შეიკრიბა განსულებულის დასაფლავე-  
ბაზე დამსწრე პირთა ასარჩევათ, სკოლის ზე-  
დამხედველმა ბ-ნმა ს. დოდაბერიძემ ნება არ  
დართო ამ პირთ ეს სიმშატიური გრძნორასევა  
შეურევებინთ, წარბ-შეურსრულათ სკოლის  
ეზოდან განდევნა ისინი, მიუხდავათ იმისა,  
რომ ამ დროს იქვე იურ ადგილობრივი-პო-  
ლიცია-მამასახლისი და ამ საქმისა არავრი-  
საწინაღმდეგო პერსონა მას.. შეიძლება თქვე-  
ნაც იქვე ბრძანდებოდით, მურინათ კატალ,  
ადგილობრივ მასწავლებლების თანადასწრე-  
ბით, შეიძლება იქვე ბრძანდებოდნენ ამ დროს  
გარეშე ინტერიერებიც-და თუ ბრძანდებო-  
დით, რატომ ხმა არ ამოიღეთ და არ აღნი-  
შეთ ეს ბულ-საკლავი ფაქტი, — ფაქტი,  
რომელიც, ეჭვი არა, შავი-აჩრდილათ, მას-  
ერ სევდათ დაწვება გულზე უველა მას, ვი-  
ნც იცნობს ჩეკენს სკოლას, ვინაც ჰატივს  
სცემს „დედა-ენას“ და მის მშობელს დადე-  
ბულს დაკბის! სიმართლის მაძიებელთ „მოქი-  
ნავა კატალ, თქვენ რად არ გვიამშეთ ეს უსა-  
მართლობა, როგორც კიხაიშის მასწ. „ბრძა-

ლის“ ისტორია? შეიძლება არ იცდლით ეს?  
— იცდლით, ძალის კარგათ იცდლით, მაგრამ  
სდემდით რადაც მოსაზრებით. აღსანიშნავია  
მხოლოდ ის ფაქტი, რომ ადგილობრივის  
მოძღვანისა და საღვთო სჯულის მსწავლებელ-  
მა ს. დევიძემ, გულ-ნატებების სკოლის ზედა-  
მხედვლის ამ გვარი საქციელით, სთქვა: ეპ-  
კლესის გარებს გავადებ, იქ მოვილაშარებთ  
დაკბის ჰატივსაცემთა.. და თუ ეპკლესია-  
ში შესაძლებელი იყო დაკბის შესახებ დაპი-  
რაკი, ხუ თუ დაკბის ადგილი არ უნდა ჭი-  
ნოდა სკოლაში, — სკოლაში, რომლის კეთილ  
დღეობას მან მოხელი თავისი სიცოცხლე შე-  
სწირა, თავისი სული და გული მას უანდე-  
რა! თქვენ კადევ განიმეორებთ — ბ-ბო, დი-  
რეკტორის ხებართვა არ გვიქნდათ და სხვას..  
მაგრამ კმარა, გაუიგეთ ბ-ნო კატალ, რა გვარი  
მიღება ბრძანდებულსათ, ვიცანით თქვენთან  
ახლომდგომი ინტელიგენციაც და ამის შემ-  
დებ მე თქვენ გეუბნებით: ზნეობრივი უზ-  
ლება არ გაქვთ ჩეკენი წმინდათა წმინდა — ჩეკე-  
ნი „დედა-ენა“ ხელში აიღოთ, ბავშვებს ასწა-  
ვლით და მით ჩეკენ მასწავლებლის დაკბის  
საელი შეურაცხელოთ!

დაას, შეურაცხელა იქნება მისთვის ეს?  
კმარა, ბ-ნო კატალ, კმარა!..

რობერტ

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.



# ცნობი

ქ. მ. წერა-პითევის გამავრცელება.  
საზოგადოებრივ მომენტების.

ქუთასის განეოფილების 1912 წლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

1. გამგების შედებისას და მისი სხდომები

1912 წლის გამგეობა შესდგებოდა თორმეტი კაცისაგან, რომელთაგანაც ექვსი ძველი წევრი იყო და ექვსი ახალი, 1912 წლის 22 იანვარს საზოგადო კრებაზე არჩეული. საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 20 სხდომა, რომელთაც დაესწრენ:

თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი (პეტერბურგში ყოფნის გამო რამდენიმე სხდომას არ დასწრებია) 12 ჯერ. თავმჯდომარის ამხანაგი ისახებ ღცხელი 15 ჯერ. მელანია გველესიანისა (ახალი წევრი) 14 ჯერ. მარიამ ვარდოსანის ასული (ახალი წევრი) 15 ჯერ. ელისაბედ ტეეშელაშვილისა (ახალი წევრი) 10 ჯერ. იაზონ ბაქრაძე 19 ჯერ. ისიდორე კვიცარიძე 17 ჯერ. ბართლომე მოსეშვილი 10 ჯერ. სამსონ ყიფიანი 18 ჯერ. სეიმონ ხეჩინოვი (ახალი წევრი) 9 ჯერ. სილოვან ხუნდაძე 14 ჯერ. ტრიფონ ჯაფარიძე (ახალი წევრი) 13 ჯერ.

II. განეოფილების წლიური კრება

1913 წლის 22 იანვარს მოხდა განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც განიხილა სამი წლის ანგარიში და 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, გამგეობის მოქმედება სამი წლის განმავლობაში, მომავალი წლისათვის მისი სამოქმედო პლანი, მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, დაამტკიცა გამგეობის ანგარიშები და აირჩია გამგეობაში წინანდელ წევრთაგან ექვსი და ექვსი ახალი წევრი, სამიც მათი კანდიდატი, ხოლო სარევიზიო კომისიაში დასტოვა ისევ ძველი წევრები (იხ. დამატება).

## III. უმთავრესი შეარები ბაზების მფქმედებისა



1. განყოფილების ნივთიერ საშუალებათა გაძლიერებაზე ზრუნვა.

ა) გამგეობამ თავისი წევრებისა და აგენტების დახმარებით გაამრავლა განყოფილების წევრთა რიცხვი და აიყვანა ის 367-დი.

1909 წელს განყოფილებას ჰყავდა 80 წევრი. 1910 წ. მიემატა 63 წევრი. 1911 წ. მიემატა 24 წევრი. 1912 წ. 191 წევრი.

სულ განყოფილებაში ირიცხება წევრათ 367 კაცი, ხოლო მათზე სხვა და სხვა წლის შემოუტანელი გადასახადი ვალათ ითვლება 567 მანეთი, როგორც სჩანს ქვემოდ მოყვანილნ ცხრილიდან.

წლები	რამდენი წევრი ითვლება			რამდენ წევრი არ შემოუტანია შემ. წლების გადასახადი			
	სულ	ძეგლი	ასალი	რომელი წლების		რამ. შემ.	გადასახ.
				1910	1911	1912	მან. შემ.
1909	89	—	89	38	42	36	348
1910	152	89	63	—	36	27	189
1911	176	152	24	—	—	10	30
1912	367	176	191	—	—	—	—
სულ	—	—	367	38	78	73	567

რაღანაც ძველ წევრთაგან ფულის შეგროვების წინანდელი სისტემა საკვიტანციო წიგნაკების საშუალებით უვარებისი აღმოჩნდა, რის გამოც ბევრს ისეთ წევრს, რომელნიც სიამოვნებით გადაიხდილნენ ხვედრ ფულს, გადასახადი შემოუტანელი დარჩენიათ, გამგეობამ შეადგინა ანბანზე დაწყობილი წიგნი, სადაც ჩაწერილია ყოველი წევრი, რომელსაც კი რომელიმე წლის გადასახადი არ შემოუტანია. ამ წიგნს გამგეობა საგანგებო კაცის ხელით დროგამოშვებით ჩამოატარებს წევრთაგან გადაუხდელი ხვედრი ფულის მისაღებათ. ამ წესით იმ წევრთ, რომელთაც ფულის გადახდა უნდათ, მაგრამ არ გადაუხდიათ, რაღან არავინ მოსთხოვა, უაღვილდებათ თავისი მოვალეობის შესრულება.

ბ) 1912 წელს გაიმართა ქალაქის ბალში საჯარო სეირნობა განყოფილების სასარგებლოთ, რამაც დასტოვა წმინდა შემოსავალი 1086 მან. 66 კ.

გ) შემოწირულობა ფულათ და ნივთებათ (იმას გარდა, რაც სეირნობაზე გამართული ბაზრისათვის შემოსწირეს) — შემოვიდა სულ 134 მან.

დ) 1912 წელს გამგეობას ჰქონდა დადგმული ფულის შესაგროვებელი ცულის ბეჭი შემდეგ აღილებში: შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოში ხაზინადარ ჭუბაპრიასთან, იქვე თავმჯდომარის კაბინეტში, ი. კვიცარიძის სააგენტო კანტორა „იმერეთში“, ქალაქის აფთიაქში, პეტრე გოკიელის მაღაზიაში, გ. გორდაძისა და ს. წერეთლის მაღაზიაში და საურთიერთო ნდობის ბანკში დირექტორ რ. დათეშიძესთან, და ამ გზით შესაგროვა 81 მანეთი და 57 კაპ.

ე) 27 ოქტომბერს წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის, სახალხო უნივერსიტეტის და დრამატიული საზოგადოების წარმომადგენელთა საერთო კომისიის ხელმძღვანელობით, ბ. ბ. ინუენერ ფრიკის, პეტრე ყიფიანის და სხვა პატივცემულ პირთა დახმარებით, გაიმართა ტრადიციული ილიას სალამო ქალაქის თეატრში. წმინდა შემოსავალი 183 მან. 65 კ. გაეგზავნა მთავარ გამგეობას ილიას ფონდის გასაძლიერებლათ.

## 2. სახალხო წიგნსაცავ სამკითხველოების გახსნა

საანგარიშო 1912 წლის პირველი იანვრისათვის ქუთაისის განყოფილების მზრუნველობაში იმყოფებოდა 8 წიგნსაცავ-სამკითხველო. წლის განმავლობაში გამგეობამ მიიღო ნებართვა ბიბლიოთეკის გახსნისათვის ს. დიმში, წესში, აგარაში, წერადისში და ზემომაღლაკში. ამათგან ბიბლიოთეკა დაარსდა 1912 წელს სოფ. დიმში და წესში. სხვა სოფლებიდან გახსნის შესახებ ცნობები ჯერ არ მოგველია.

იმავე წელს ს. ბალდადში არსებული ბიბლიოთეკა იქმნა მიღებული ქუთაისის განყოფილების მზრუნველობაში.

ამგვარათ 1912 წლის დასასრულს ქუთაისის განყოფილების მზრუნველობაში იყო ათი მომქმედი წიგნსაცავ-სამკითხველო, სახელდობ:

- |                             |   |   |
|-----------------------------|---|---|
| 1. ქუთაისში არქიელის გორაზე | { | ქუთაისის განყოფილების სახელით გახსნილი.   |
| 2. სიმონეთში                |   |   |
| 3. კურსებში                 |   |   |
| 4. ხრესილში                 |   |   |
| 5. სვირში                   |   |   |
| 6. სუფსაში                  | { | მთავარი გამგეობის სახელით არის გახსნილი და მზრუნველობას უწევს ქუთაისის განყოფილება. |
| 7. დიმში                    |   |   |
| 8. წესში                    |   |   |
| 9. მუხიანში                 |   |   |
| 10. ქვემო ქვიტირში          |   |   |
| 11. ბალდადში                |   |   |



3. წიგნსაცავ-სამკითხველოების წარმოების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობა ცდილობდა თავისი წევრების დახმარებით გამოექვლია თავისი წიგნსაცავ-სამკითხველოების მდგომარეობა, მათი საჭიროება და მნიშვნელობა აღილობრივ მკვიდრთა გონიეროვი განვითარებისათვის, განათლებისათვის. გამგეობის წევრთა წარმოდგენილი მოხსენებიდან სჩანს, რომ ზემოაღნიშნული ბიბლიოთეკების უმეტესობა მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია. ცუდი, ვიწრო, ცივი ბინა, წიგნების მხრით უკიდურესი სიღარიბე, ავეჯეულობის უქონლობა, მკითხველთა სიმცირე, მკვიდრთა გულგრილობა და თანამგრძნობელთა თანდათან კლება, ანგარიშების არევ-დარევა,—ის სურათი ბიბლიოთეკების უმეტესობის მდგომარეობისა. ამ გარემოებამ გამგეობა იმ დასკვნამდი მიიყვანა, რომ ბიბლიოთეკების ასეთ მდგომარეობაში დატოვებას მათი მოსპობა სჯობს, რაღაც ისინი თითქმის სრულებით უსარგებლო არიან ხალხისათვის. ამიტომ გამგეობამ დაადგინა მიიღოს ყოველი შესაძლებელი ზომა ბიბლიოთეკების ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლათ და სხვათა შორის შემდეგი ზომები მიიჩნია შესაფერათ:

ა) მოსიარულე მეთვალყურის დანიშვნა, რომელმაც ხშირ-ხშირათ უნდა ინახულოს თითოეული ბიბლიოთეკა, მოახდინოს აღგილობრივ მკვიდრთა კრებები და ებაასოს მათ ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე, დააინტერესოს ხალხი ბიბლიოთეკების არსებობით და მოუწოდოს მას მათ დასახმარებლათ, გაუწიოს ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკების აღგილობრივ გამგებებს ბიბლიოთეკის წარმოების საქმეში, შეამოწმოს ხოლმე ხშირ-ხშირათ ამა თუ იმ ბიბლიოთეკის ანგარიშები, რომელიც უნდა წარმოებდნენ თანახმად გამგეობის მიერ დაბეჭდილისა და ბიბლიოთეკებისათვის დარიგებული საანგარიშო წიგნებისა, და თავისი შთაბეჭდილება, შეხედულება და პლანი წარმოუდგინოს გამგეობას ამა თუ იმ ბიბლიოთეკაზე, რათა გამგეობას შეეძლოს თავის დროზე მიიღოს ზომები ბიბლიოთეკაში შემჩნეული ნაკლის გასასწორებლათ და ყოველი დაბრკოლების ასაცილებლათ.

მეთვალყურე მოწვეულია მდგომარე წლის 15 იანვრიდან 1914 წლის 1-ლი იანვრამდი. თუ ამ დროის განმავლობაში მისმა შრომამ სასურველი ნაყოფი მოიტანა, ეს თანამდებობა დარჩება, ხოლო თუ ბიბლიოთეკებს შესაფერი გაუმჯობესება არ დაეტყო, მაშინ ეს აღგიღი მოისპობა და გამგეობას ექნება მსჯელობა ბიბლიოთეკების მომავალზე.

მეთვალყურე თავისი თანამდებობის ასრულებას შეუდგა ამ წლის 15 იანვრიდან, და, როგორც სჩანს ჯერ-ჯერობით, გამგეობა არც შემცდარა, რომ მან ეს აღგიღი დაწესა, მაგრამ ამაზე იქნება მოხსენებული მდგომარე წლის ანგარიშში მომავალი წლის საზოგადო კრებისათვის.

ბ) გინაიღვან ბიბლიოთეკების გახსნისა, შენახვისა და წარმოების წესდება არ მოიპოვებოდა და ყოველი ბიბლიოთეკის გამგენი ისე აწარმოებდნენ საქმეს, როგორც მოესურვებოდათ, რის გამოც ბიბლიოთეკების საქმეებში არ იყო წესიერება, გამგეობამ უკვე სამი წლის წინათ შეადგინა ვრცელი წესდების პროექტი, მიაწოდა მთავარ გამგეობას თხოვნით, რომ მას გადაეშინჯა იგი და გამოეცა ყველა

განყოფილებისათვის სახელმძღვანელოთ; მაგრამ ეს არ მოხერხდა და ამიტომ ქუთაისის განყოფილების გამოსცა წესდების პროექტი და დაურიგა თავის ბიბლიოთეკებს დროებით სახელმძღვანელოთ \*).

გ) გამგეობამ დააბეჭდვინა თითოეული ბიბლიოთეკისათვის და უფასოთ დაურიგა მათ 1913 წლისათვის შემდეგი საანგარიშო და საწარმოო წიგნები:

1. ონვენტარის წიგნი.
2. საკატალოგო წიგნი.
3. შემოსავალ-გასავალის წიგნი.
4. საკვიტანციო წიგნი.
5. წიგნების შინ წამლებთა ჩასწერი წიგნი და 6. ბიბლიოთეკაში მოსიარულე მკითხველთა წიგნი.

ამ წიგნების სწორი წარმოება მისცემს გამგეობას შეძლებას თვალყური ადეცნოს ბიბლიოთეკების წარმოებას და ყოველწლიური ანგარიშიც საესტი და ვრცლათ შეადგინოს, რაც დღევანდელ პირობებში შეუძლებელია.

#### 4. წიგნსაცავ-სამკითხველოებისათვის ნივთიერი დახმარება

გამგეობას არ აქვს იმდენი საშუალება, რომ ყველა ბიბლიოთეკის ხარჯები თვითონ იკისროს და არცა სთვლის ამას მიზნის შესაფერ მოქმედებათ, რადგან სადაც ადგილობრივი მკვიდრნი დაინტერესებული არ არიან ბიბლიოთეკის არსებობით იმდენათ, რომ მისთვის ცოტაოდენი ხარჯი იტვირთონ, იქ ბიბლიოთეკა ვერ იმუშავებს სასურველათ და ვერ მიაწევს თავის მიზანს.

ხოლო გამგეობა თავის მოვალეობათა სთვლის დახმარება გაუწიოს თითოეულ ბიბლიოთეკას შეძლებისამებრ, ისე კი, რომ ადგილობრივი მკვიდრნიც არ იქნენ სრულებით გათავისუფდებული ყოველივე მოვალეობისაგან ბიბლიოთეკის მიმართ. — ამ მხრით კიდევ გააკეთა მან ცოტა რამ და მომავალში იმედი აქვს უფრო შესაფერი მონაწილეობა მიიღოს ბიბლიოთეკების შესანახავი ხარჯების გაწევაში.

ა) თანახმათ წინანდელი თავისი გადაწყვეტილებისა, გამგეობამ გადასცა მუხიანის ბიბლიოთეკის გამგეს ბ. ჯინჭველაშვილს თუთხმეტი თუმანი ბიბლიოთეკისათვის სახლის ასაგები ხარჯის ნახვრის დასაფარავათ.

ბ) გამგეობამ გადასწყვიტა თითოეულ ბიბლიოთეკას მიეცეს თითო თუმანი საწიგნე შესაძენათ. ამ გადაწყვეტილებით ზოგიერთმა ბიბლიოთეკამ კიდევ ისარგებლა.

გ) ბიბლიოთეკებს დაურიგდათ 1913 წლისათვის ბიბლიოთეკის სხვადასხვა საწარმოო წიგნი, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

დ) გამგეობა თავისი ხარჯით უწერდა ბიბლიოთეკებს ორს ყოველდღიურ გაზეთს, ერთს ყოველთვიურს, ერთს საყმაწვილო შურნალს და ამას გარდა ერთს აგრძნომიულ გაზეთს — „მოსავალს“.

1913 წლისათვის ბიბლიოთეკებზე ხარჯი ნავარაუდევია ათას ასი მანეთი და იმედია, რომ მათი წარმოება შესაფერ ნიადაგზე დადგება და მათი მნიშვნელობა გაიზდება.

\* ) მთავარ გამგეობას დიდი ხანია შემუშავებული აქვს წესდება სახალხო სამკითხვებისა, ეს წესდება ცალკე დაბეჭდილია და დამტკიცებული გამგეობის მიერ. ქუთაისის განყოფილების მიერ კი საზოგადოების წესდების მიუხედვად — გამოცემა ბიბლიოთეკებისათვის საერთო წესდებისა, ჩვენის ზორით, უნდა აღემატებოდეს განყოფილების უფლებას. „განათლების“ რედაქცია.

1912 წლის განმავლობაში 20 სახალხო სკოლებისთვის დახმარება ხარჯით ეგზავნებოდა საყმაწვილო უურნალი — ზოგს „ჯეჭილი“ და ზოგსაც „ნაკალული“ ისეთი დახმარება გამგეობამ აღმოუჩინა:

ორ სკოლას სენაკის მაზრაში. ხუთს სკ. ზუგდიდის მაზ. ერთს სკ. ოზურგეთის მაზ. ორს სკ. რაჭის მაზ. სამს სკ. ლეჩხუმის მაზ. ოთხს სკ. ქუთაისის მაზ.

ამას გარდა ბათომის ოლქში ერთ სკოლას გამოუწერა ნაკალული, ჯეჭილი, სახალხო გაზეთი და განათლება.

#### 6. წიგნების გამოცემა

1912 წლის განმავლობაში გამგეობამ გამოსაცავის ხარჯით სამი წიგნი:

1) დარგინიზმი ფერიერისა, თარგ.

მ. 30

ი. ფანცხავასი 1200 ც. დაიხ. 171—80

2) „თინას ლეკური“ ეკ. გაბაშვილისა 2400 ც. „ 88—17

3) „მაგლანას ლურჯა“ 2400 ც. „ 102—90

სულ სამი წიგნი 6000 ც. „ 362—86

ამ წიგნების რამდენიმე ცალი გაეგზავნათ ავტორებს, რაოდენიმე ცენზორს და რედაქტორებს; რაც დარჩა, ზოგი მაღაზიებს დაურიგდათ გასაყიდათ, ზოგი წ. კ. გამაგრცელებელი საზოგადოების სხვადასხვა განყოფილების გამგეობებს. სამწუხაროთ, უმეტესობამ გაყიდული წიგნების ანგარიში ჯერ ვერ წარმოუდგინა გამგეობას.

#### 7. სტამბის დაარსებისათვის ზრუნვა

გამგეობამ განიზრახა სტამბის დაარსება. როცა ამ საკითხს სწყვეტდა, ის ხელმძღვანელობდა შემდეგი უმთავრესი მოსაზრებით: მას სურდა გაეადვილებინა და გაეიაფებინა წიგნების გამოცემა — და, ამას გარდა, შეექმნა განყოფილებისათვის მუდმივი წყარო შემოსავლისა. მან შეიმუშავა დაახლოებით ხარჯთაღრიცხვა, ე. ი. გამოიანგარიშა მოსალოდნელი შემოსავალი და გასავალი, და რაკი დარწმუნდა, რომ სტამბის დაარსება მის ორივე მიზანს შეეფერება, გამგეობამ მოიწვია საგანვებო კრება განყოფილების წევრებისა და მოახსენა მას თავისი განზრახვა სტამბის დაარსებაზე. საზოგადო კრებამ მოიწონა გაშეგეობის პროექტი და სასურველად სცნო სტამბის დაარსება.

თანამდებობა ამ დადგენილებისა, გამგეობამ უკვე გამართა მიწერ-მოწერა ფირმებთან, შეიმუშავა ზოგიერთი წესები და დაადგინა, რომ სტამბა უნდა გაიხსნას 1913 წლის პირველი აგვისტოდან.

#### IV. მომსახული მფედების პლანი

1913 წლის განმავლობაში გამგეობას აქვს განზრახვა რაც შეიძლება უკეთ მოაწყოს ბიბლიოთეკების საქმე, გამოსცეს რაც შეიძლება მეტი საყმაწვილო სასოფლო მეურნეობის შესახებ პოპულარული წიგნები და უმჯობესათ მოაწყოს გავრცელება ხალხში და დააყენოს სტამბის წარმოების საქმე ჯეროვან ნიადაგზე და გახადოს ის მუდმივ შემოსავლის წყაროთ.

დამატება I.



1912 წლის ანგარიში ქართველთა შორის წ.-პ. გამაფრ. საზოგ. ქუთაისის განყოფილებისა, გასაცილებელი გასაცილებელი  
შემოსავალი

გასაცილებელი

1912 წ. დამდეგს განყოფილებას ჰქონდა	910 44	910 44	გაეგზავნა განყოფილების დაარსებულ სამ-
1912 წ. განმავლობაში შემოუვიდა:			კითხველობებს და ზოგ სკოლებს წიგ-
საწევრო ფული 1910 წლის . . .	600 00		ნები და ფურნალ-გაზეთები . . . . .
საწევრო ფული 1911 წლის	123 00		380 99
საწევრო ფული 1912 წლის 287 კაცის	925 00		დამის და მუხიანის სამკით. შეკავის შესაძ.
სეირნობიდან წმინდა შემოსავალი . . .	1086 66		20 00
ტ. გაბუნიას და კ. ბაქრაძის გვირგვინე-			მუხიანის სამკ. სახლის ასაშენებ. დახმ.
ბის გაყიდვით . . . . .	115 00		150 00
ყულაბებით . . . . .	81 57		ა. წულაძეს მეფუტებ. წიგნის შესაძნათ.
წიგნების გაყიდვით . . . . .	43 86		50 00
ფულის სარგებელი ბანკიდან გვერგო .	20 37		მათხოვების სამკ. ერთდროული დახმარება
შემოწირულება პაპოვის სავაჭრო ფირ-			25 00
მისაგან . . . . .	15 00		მისალოც დეპეშებში დაიხარჯა . . . . .
დავით ლუკას ძის ლექვინაძისგან . . .	2 00		4 15
ნინო რუხაძის ქალისგან . . . . .	1 00		სამძიმრის დეპეშებში . . . . .
დესპინე რატიანის ქალისგან. . . . .	1 00	2420 46	3 70
			წიგნების გამოცემის ხარჯები სულ. . . . .
			318 07
			მოწოდ. და მისაწ. ბაზ. დაბეჭ. და დარიგ. . . . .
			17 30
			ბეჭედი ქართული წარწერით . . . . .
			6 00
			გერბის მარკები და ფოშტის ხარჯები . . . . .
			6 78
			წესდების პროცეტის, შემ-გასავ. წიგ. კვ.
			ტალონის და სხვა დასაბეჭ. დაიხარ. . . . .
			98 51
			გზის ხარჯები (სხვა და სხვა პირს) . . . . .
			78 50
			წვრილმანი ხარჯები . . . . .
			4 22
			შავი ქვის საზ. კანტ. მსახურ ქალთ . . . . .
			20 00
			განცხადების დასაბეჭდი რედაქციებს . . . . .
			30 00 1213 22
			1913 წლის დამდეგს განყოფილ. ჰქონდა
			ბანკში ნაღადათ . . . . .
			2117 68
			კავი . . . . .
			3330 90

## გადაჭუვითილებანი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაფრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება ბის წევრთა წლიური კრებისა, 22 ასევრის 1911 წლისა.

1) კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ბ-ნი გიორგი ზღანოვიშვილი და მდივნათ ბ-ნი პეტრე ყიფიანი.

2) განსვენებულ დავით სარაჯიშვილისა და ნიკოლოზ ლოლობერიძის ხსოვნას კრებამ ფეხზე ადგომით ჰატრი სცა.

3) შეეკითხოს ქუთაისის განყოფილების გამგეობა მთავარსა და სხვა განყოფილებათა გამგეობებს გამოსთქვან თავისი აზრი — აქვს თუ არა გადამწყვეტი ხმის უფლება საზოგადოების ერთი განყოფილების წევრს მეორე განყოფილების წევრთა კრებაზე.

4) ქუთაისის განყოფილების წევრებათ ჩაირიცხენ ის პირნი, რომელთაც სურვილი განუახლებიათ განყოფილების წევრებათ ჩაწერისა და მასთან 1911 წლის საწევრო ფული გადაუხდიათ.

5) განყოფილების წლიური კრება ყოველწლივ უნდა გაიმართოს არა უგირანეს მარტის დამლევისა.

6) გამგეობის მოქმედების ანგარიში ისეთი მოსაზრებით უნდა დაიბეჭდოს, რომ იგი კრების მოწვევის დღემდი წევრებს დაურიგდეს.

7) გამგეობას მიენდო მომავალ კრებას წარუდგინოს მოხსენება საკუთარი ბინის დაქირავებისა და საქმის მწარმოებლის მოწვევის შესახებ.

8) კრებამ საჭიროთ სცნო გამგეობის წევრათ 12 კაცი აირჩიოს და მათ კანდიდატებათ სამი.

9) გამგეობას მიენდო იმ საშუალებათა გამოძებნა, რომელთა დამხარებითაც შესაძლებელი გახდება დაახლოება საზოგადოების წევრთა საზოგადოების საქმეებთან. ასეთ საშუალებათ კრებამ დაასახელა: წევრთა საერთო კრებების ხშირი გამართვა საზოგადოების სხვადასხვა საქმეზე მოსალაპარაკებლათ და დამხმარე კომისიების არჩევა წევრთა მისაზიდავათ და საზოგადოების საშუალებათ გასაძლიერებლათ.

10) კრებამ უარყო საწევრო გადასახადის შემცირება ერთ მანეთამდი.

11) კრებამ სასურველით სცნო, რომ სათათბირო ხმის მოსაპოებლათ დაარსდეს წევრთათვის მცირე გადასახადი, და გამგეობას დაევალა, რომ ამ საგნის შესახებ შეეკითხოს მთავარ გამგეობას.

12) ერთხმათ დამტკიცდა 1909, 1910 და 1911 წლის ანგარიშები.

13) ერთხმათ დამტკიცდა გამგეობის მიერ წარმოდგენილი 1912 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

14) თანახმათ ბ-ნი გრიგოლ გველესიანის წინადადებისა, კრებამ მიანდო გამგეობას თავზე მიიღოს ინიციატივა ლინგვისტთა კრების მოწვევის შესახებ და ამისათვის შესაფერი მოხსენება წარუდგინოს მთავარ გამგეობას.

15) გამგეობის თავმჯდომარეთ აირჩიეს გიორგი ზდანოვიჩი. გამგეობის წევზე რებათ: ქ-ნი მელანია გველესიანისა, ელისაბედ ტეეშელაშვილისა და მართა ქართველისანიძის ასული, ბანი: იოსებ ოცხელი, სამსონ ყიფიანი, ბართლომე მოსეშვილი, სილოვან ხუნდაძე, იაზონ ბაქრაძე, ისიდორე კვიპარიძე, ტრიფონ ჯაფარიძე და სვიმონ ხეჩინოვი.

კანდიდატებათ: ვლადიმერ დარჩიაშვილი, სერგო რობაჭიძე და მელიტონ ბერიშვილი.

**სარევიზო კომისიაში:** ალექსანდრე კრინიცკი, რაფელ კანდელაკი და რაფელ დათეშიძე.

## ს ი პ

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაფრცელებელი საზოგადოების  
ქუთაისის განყოფილების წევრებისა**

აბესაძე ივლიანე, დეკანზი, ავალიანი დავით, \* ავალიშვილი არჩილ, \* ანჯაფარიძე ივლიანე, ართმელაძე ტიტე, \* ასათიანი ბეჭან, ასათიანი ბიქტორ, ახვლედიანი ევტიხი, ახვლედიანისა სარა, ალშიბაია გრიგოლ, აბდუშელიშვილი დავით, ახვლედიანი ბიქტორ, აბდალაძე ვასილ, ამირაჯიბი ლილია, აბესაძე ნინო, არჯევანიძე სამსონ, ამაღლობელი ილია, არდიშვილი ვასილ, აბზიანიძე ნიკოლოზ, აფხაძე სამსონ (ბლალ.), ალადაშვილი თევდორე, ასათიანი ტიხონ, არსენიძე რაფელ, ბაკურაძე ირაკლი (მლვდ.), ბაქრაძე იაზონ, ბაქრაძე კონსტანტინე, \* ბაკურაძის ირაკლის ასული, ბაღრიძე გიორგი, \* ბარაბაძე ნესტორ, ბახტაძე სერგი, \* ბერიძე ილარიონ, ბიბილეიშვილი ბართლომე, ბოკერია ივანე, \* ბუაძე დავით, \* ბენაშვილის ბაბო, ბუაძე რაფელ, \* ბერიძის ასული ვენერა, \* ბოკერია სამსონ, ბერიშვილი მელიტონ, \* ბერიკაშვილის იროდიადა, ბოკუჩავა ბესარიონ, ბარათაშვილის ესთეტ, ბახტაძის ელენე, ბასილაძე ტრიფონ, ბახტაძისა ეკატერინე, ბახტაძე იოსებ, ბერიძე ჭუკოლ, ბარათაშვილი გრიგოლ, ბეჭედნაძე ალექსანდრე, გარსევინიშვილი ალექსანდრე, \* გელაშვილი ლავრენტი, გერსამია ალექსანდრე (დეკანზი), გოკიელი პეტრე, გუგუშვილი ლომენტი (კოწია), გველესიანი ზურაბ, \* გიგანტიშვილი მოსე, გიორგაძე გრიგოლ, გორდაძე გიორგი, გელაზაროვი ანტონ, \* გაბელაშვილი ფილიპე, გიგინეშვილი გრიგოლ, გოგნიაშვილი ლევან, გოგირიძე კონსტანტინე, გოკიელი გაბრიელ, გიორგი, იმერეთის ეპისკოპოსი, გიორგაძე ნესტორ (მლვდელი), გეგეპეკორის ოლღა, გაბადაძე ბესარიონ, გობეგია ივანე, გიგინეშვილი მარგალიტა, გველესიანისა მელანია, გველესიანი გრიგოლ, გვეტაძე იოსებ, გეგელაშვილი ნიკოლოზ, გორგაძე ანთონზ, გაბუნია კირილე, გრიგოლიასი ელისაბედ, გრიგოლაშვილი ლეონტი, გრიგოლაშვილი ალექსანდრე,

\* ) ვარსკვლავთ ადნიშნულ წევრებს საწევრო ფული 1912 წლის გადაუხდეჭა აქთ.



ვოცირიძისა ლიუდმილა, გასნევსკი პეტრე, \* გოგავა ერმალოზ, გრიგოლის ელის საბედ, გელოვანი იასონ, დათეშიძე სამსონ, დათეშიძე რაფენ, დოლაბერიძე ვა-სილი (დეკანოზი), დევიძე ლავრენტი, \* დავითაია ვლადიმერ, დათეშიძე ნიკიფო-რე, დათიაშვილი ილარიონ, დარახველიძე მიხეილ, დავითაია ნესტორი, დევი-ძე დავით, დარჩიაშვილი ვლადიმერ, დათუნაშვილი სერაპიონ, \* ერისთავისა კნ. მარიამ, \* ერისთავი კონსტანტინე, \* ერისთავი ნესტორ, ეზიკური სიმონ, ეპიტაშვილი ივანე, ვოლსკის ასული ბარბალე, ვარდოსანიძის ასული მარიამი, ვეკუა ვლადიმერ, ზდანოვიჩი გიორგი, ზარკუა ასლან, ზედგინიძისა დარია, ზენა-აშვილი პლატონ, თუთბერიძე გიორგი, \* თუმანიშვილი ვასილ, თაბაგარი ალექ-სანდრე, \* თაყაიშვილი ილია, თუთბერიძე ერასტი, თუთბერიძე გალაქტიონ, თევ-ზაძე ილია, თვალავაძე გიორგი, თებზაია მარგალიტა, თევზაძის ლიუბა, იოსელია-ნი აკაკი, იოსელიანის ოლღა, კაკაბაძისა რებეკა, კაკაბაძე ილია, კანდელაკი რაფ-დენ, კვიცარიძე ისიდორე, კლდიაშვილი დავით, \* კვირკველია სპირიდონ, კილაძე ივანე, \* კორდავა პლატონ, კრინიცკი ალექსანდრე, კობახიძე იონა, \* კილაძე ვასილ, კილაძე სამსონ, კლდიაშვილი ოლღა, კვაჭანტირაძე არტემ, კლდიაშვილი დავით, კოკოჩაშვილი ლევან, კიკნაძე ალექსანდრე, კეთილაძე ვასილ, კორძაია თეოდოსია, კორძაიას ვერა, კლდიაშვილი ვასილ, კემულარია იოსებ, კალანდარი-შვილი სამსონ, კილასონია ანტონ, კოკოჩაშვილის ლიუჩია, კოკოჩაშვილი პეტრე, კორძაია ნოე, კაჭახიძე კონსტანტინე, კაკაბაძე მეთოდე, კოხერიძე ალექსანდრე, კანდელაკი ნიკიფორე, ლეჯავა ბენედიქტე, ლორთქიფანიძე დიმიტრი, ლორთქი-ფანიძე ვალერიან, ლორთქიფანიძე ალექსანდრე, \* ლორთქიფანიძე დავით, \* ლორ-თქიფანიძე იოსებ, ლალიძე მიტროფანე, ლევკეიშვილი სპირიდონ, \* ლომინაძე ბე-სარიონ, ლორთქიფანიძე პავლე, ლოლაძე ბარნაბა, ლორთქიფანიძე მიხეილ, ლუ-კიანოვი დავით, ლორთქიფანიძე დავით, ლექვინაძე დავით, ლომიძე დავით, ლო-მიძე თევდორე, ლორთქიფანიძე გრიგოლ, ლორთქიფანიძე აქესნტი, მამურიანა ბენედიქტე, მთავრიშვილი თომა, მესხი ნიკოლოზ, მიქაძე სერაპიონ, \* მიქელაძე ილარიონ, მოსეშვილი ბართლომე, მხეიძე არქიპო, მდივანი დავით, \* მხეიძე ბიქ-ტორ, მაჭავარიანი დავით, \* მოსეშვილი ვლადიმერ, მხეიძე ნოე, \* მუმლაძე გორგი, მიქაძე ნოე, მაჭავარიანი ზაქარია, მაჭავარიანი სიმონ, მგალობლიშვილი იუს-ტინე, მახარაძე ანტონ, მიქაბერიძე რაფენ, მახარაძე ქაიხოსრო, მარუაშვილი ვლადიმერ, მხეიძე სეფე, მოსიძე ზაქარია, მიქელაძე ბესარიონ, მგალობლიშვილი ლიდია, მაჭავარიანის თამარ, მოსიძე პავლე, მგალობლიშვილი მიხეილ, მიქელა-ძე ჭ. 3. მამალაძე (მასწავლებელი), მექლიძე სიმონ (მლვდელი), მგალობლიშვილი ფილიპე, მაჩიტაძე კალისტრატე, მიქაძე რაფენ, მასხულია ვასილ, მეფისა-შვილი ანტონ, მიქელაძე პიპინია, მიქელაძე ვლადიმერ (ბონდო), მიქელაძე დავით, მაჭარაძე ირაკლი, მიქელაძე სოლომონ, მდივანი დავით, მიქაძე ირაკლი, მსხრიკა-ძე ივანე, მელაშვილი ნინო, \* მაჭავარიანი სიმონ, ნაკაშიძე ისაკ, ნიკოლბიშვილი იასონ, \* ნიუარაძე ივანე, \* ნიუარაძე იასონ, \* ნაზაროვი დავით, ნათაძე გრი-გოლ, ნაცვლიშვილი ვლადიმერ, ნარაკიძე გრიგოლ, ნასარიძე გრიგოლ, ნაზაროვი ლიმიტრი, ნათაძე ლეონ, ნემსიჭვერიძე ზოსიმე (მლვდელი), ნიკოლაძე ეკატერინე,

ნადირაძე გრიგოლ, ოცხელი იოსებ, ოცხელი სიმონ, ოსიტოვი ილია, კონტაგიუს  
 ლიძე მიხეილ, ოყროშიძე დომენტი, ონიაძე სამუილ, \* პაიჭაძე ნიკოლოზ, \* ჭე-  
 რიაშვილი ელენე, პურადაშვილი ივანე, პავლოვი გრიგოლ, \* უორულიანი ნი-  
 კოლოზ, რობაჭიძე სერგეი, \* რუხაძე მიხეილ, რუხაძე ვარლამ, რუხეშვილი მი-  
 რიან, რეხვიაშვილი ფილიმონ, რამიშვილი ივანე, რაფაელოვი პეტრე, \* საეტი  
 ილია, \* საპიცე კოსტანტინე, საყვარელიძე ალექსანდრე, სვანიძე ონისიმე, სურ-  
 გულაძე დავით, სვანიძე გიორგი, \* სუთიძე ვასილ, სალაძე პლატონ, სანიკიძე  
 ნადეჟდა, სოხაძე ტარასი (მღვდელი), სვანიძე ამბროსი. საბუროვისა ალექსანდრა,  
 სარჯველაძე დიმიტრი, სვანიშვილი ევგენი, \* ტყეშელაშვილი გიორგი, ტყეშელა-  
 შვილი კონსტანტინე, ტყეშელაშვილისა ელისაბედი, ტერტეროვი სერგეი, ტყეშე-  
 ლაშვილი გიორგი, ტყეშელაშვილი ონისიმე, \* უზნაძე დიმიტრი, უზნაძე ნოე,  
 უზნაძე ზაქარია, \* ფანცხავა იაკობ, ფილიპოვი ფილიპე, ფურცელაძე ნესტორ,  
 \* ფალავა მელქისედექ, ფანცხავა ვარლამ, ფერაძე ნიკოლოზ, ფერაძე თომა, ფან-  
 ცხავა დიომიდე, ფოჩხუა არსენ, ფხავაძე ექვთიმე, ფაჩულიანი ნინო, ქვარიანი სი-  
 მონ, ქიქოძის ქალი თამარ (მღვინისა), ქორქაშვილი გრიგოლ, \* ქუთათელაძე ნი-  
 კოლოზ, ქიქოძე ნიკოლოზ, ქელბაქიანი ნიკო, ქვარიანი ნესტორ, ქოჩკიძე ვლა-  
 დიმერი, ქვლივიძე ალექსანდრე, ქუთათელაძე დავით, ქარცივაძე ნიკო, ქორქაშვილი  
 გრიგოლ, ღულაძე დავით, ღოლობერიძის მართა, ღოლობერიძე სიმონ, ღვინეფაძე  
 ანდრია, ყიფიანი პეტრე, ყიფიანი სამსონ, ყუბანეიშვილი ნესტორ, ყაუხჩაშვილის  
 მარიამ, შარაბიძე ნიკოლოზი, შარაბიძე ალექსანდრე, შანიძე კოსტანტინე, შუ-  
 ბლაძე ანდრია, \* ჩახავა აპოლონ, ჩიქოვანი ნესტორ, ჩინჩალაძე მიხეილ, \* ჩხეიძე  
 გრიგოლ, \* ჩაკვეტაძე პავლე, ჩივაძე გიორგი \* ჩივაძე დიდიმ, \* ჩხენკელი ლავ-  
 რენტი, \* ჩხეიძე პავლე, ჩიმაკაძე ლონგინოზი, \* ჩიქოვანი ევგენი, ჩიქოვანი  
 ილია, ჩიმაკაძე იაკობ, ჩარექვოვი იაკობ, ჩარკვიანი აბესალომ, ჩიქოვანი  
 ნ., ჩხატარაიშვილი ევტიხი, ჩარკვიანისა იადვიგა, ჩიქოვანი მიხეილ, ჩხეი-  
 ძე კალენიკე, ჩხეიძე კოსტანტინე, ცაგერეიშვილი გერასიმე, ცაგირეიშვილი  
 მელიტონ, ცკიტიშვილი ივანე, ციბაძე საბა, ცქიტიშვილი ივანე, ცაგერეიშვილი  
 გაბრიელ, ცხადაძე ალექსანდრე, წულუკიძე დავით, წერეთელი სავლე, წერეთე-  
 ლი ვასილ, წერეთელი სოლომონ, წულუკიძე ელენე, წულეისკირი ბარბალე,  
 წერეთელი გედევან, წულუკიძე პლატონ, წერეთელი ვლადიმერ, წერეთელი ამი-  
 რიდონ, ჭუბაბრია დავით, \* ჭირაჭაძე სილიბისტრო, \* ჭეიშვილი ივლიანე, ჭუ-  
 ბერიძე ვლადიმერ, ჭიჭინაძე სეით, ჭელიძე ფილიპე, ჭეიშვილი იოსებ, ჭეიშვილი  
 სიმონ, ჭითავა ივლიანე, ხელთუფლიშვილი ნინო, ხარაბაძე ვარლამ, ხუნდაძე  
 სილოვან, ხეჩინოვი სიმონ, \* ხუნდაძე ერმილე, ხელთუფლიშვილის ელენე,  
 ხაურმია სტეფანე, ხუტულიაშვილი გიორგი, ხიზანაშვილი პლატონ, ხმალაძე  
 ლაზარე, ხაზარაძე ილარიონ, ხელიძე ანტონ, ჯაფარიძე ტრიფონ, ჯაფარიძისა  
 ოლღა, ჯაფარიძე ბიკტორ, ჯორჯიგია კოსტანტინე, ჯაფარიძე გიორგი, ჯაფა-  
 რიძისა მარინე, ჯაყული ალექსანდრე, ჯანელიძე ალექსანდრე, ჯანელიძე ნიკი-  
 ფორე, ჯანელიძისა მატრონა. სულ 375 წევრი.



# მოსსინება

ქ. შ. წ.-კ. გამარტინებელ საზოგადოების ფოთის განეოფილების  
საზოგადო კრებისა 1912 წ. 14 აპრ. (დასასრული).

მ. ქსკა: კარგი უქნაა გამგეობას, რომ არ დაუწევა შენება. სრულიათ უდრიულათ მიმხნა წიგნების მაღაზიის გახსნა. ჯერ შეძლება არ გვაქვს და მერე კადეგაც რომ გქვილდეს სახსარი მაღაზიისთვის შენობის აგების და შიგ ვაჭრობის გრძართვის — უსათუოდ ვიზა-ალფებთ. შეიძლება გავხსნათ კიბეკი. ამავე აზრის არის გ. საბახტარიშვილი. მე შეონდა წიგნის მაღაზია, ფოთში, ლაპარაკობს ის, მაგრამ არაოდეს ზარალის მეტი არაფერი მინახავს.

გამგეობის წევრები დგ. ლ. წულაძე, გ. გაგუა და ო. ალექსიშვილი მომხრე არან მაღაზიის გახსნისა.

მისა გვალია. უნდა გაგებესნათ წიგნის მაღაზა საქირავებ დუქანში და გეშინჯათ ერთ წელიწადს — საზარალოა, თუ არა ეს საქმე.

კოწია გიანენაშვილი გამოთქვაში გაეკითხვებას. წიგნის მაღაზიის გამართვას უნდა დასხლოვებით 4.000 გ. გამგეობას კი მსოდლოთ 400 მანეთამდის დევს. შეიძლება განასესება თანხით ამსებლა საქმის დაწესება! მიკვირს, რომ უწუხებდა თავი გამგეობის ამ საკითხისთვის, საჭირო თანხა რომ კერძოდა მანიც. უმჯობესი იქნებოდა ბევრის წილათ, გამგეობის პირდაპირ იმ ასპექტზეზდ ევლო, რასაც წესდება ავალებდა: მაგრეც სშირათ დექტრები და სახალხო კითხვები და სხვა ამ გვარები. ამავებში კი გამგეობას არაფერი უნდარი არ გამოუჩენა.

მ. ქსკა კიდევ ამტკიცებს შეუსაბამობას მაღაზიის გახსნისას. სასიამოენოთ მიაჩნა მას, რომ გამგეობას არ დაუწევა ეს საქმე და შემორჩენილი აზრი, რათა გამგეობამ საზოგადო კრების დაუკითხავათ იმისთვის რთული საქმე არ იღება თავს.

საზოგადო კრების ერთხმათ დაადგინა გამგეობას დაგვალოს, ნუ მიღების თავის თავზე წერ ერთ მსხვილ საქმის განსაზღვრებას, ნამეტერ რომელიც ფულის სარჯის ღიგებას. ამ შემთხვევაში მიმართოს ყოფელთვის საზოგადო კრების სანქციას.

გამგეობის წევრი ო. კოხევიძე: მე როგორც გატური, წიგნის მაღაზიის გახსნის საკითხი კრების უმეტესობას ნააღრევათ და საზარალოთ მიაჩნია. ჩემის აზრით გამგეობამ თავიდანვე ისეთ კულტურულ განმინათლებელ საქმეს უნდა მოკიდოს ხელი, რომელიც შემთხვევაში მისცემს ჩემნის დარიბ განუეფულებას. მე მოგახსენებთ ელეგტრო ტეატრ-ზედ. ავაშენთ შენობა ელექტრო-თეატრისთვის იმ ადგილზედ, რომელიც ქალაქში დაგვითმო წიგნის კითხვისთვის. თეატრს კულტურულ განმინათლებულ საქმესაც ვამსახურებთ და აგრეთვე უტევურ შემთხვევაში წყაროთ გადაექცევა წ. კ. გ. საზოგადოებას. ბევრი იტევის რომ, ფული არ გვაქვს და რითა ავაშენოთ. მოგეხსენებათ, სრულიათ უფლისმ, მაგრამ ენერგიით საგაე ფოთის სახალხო სამკითხველოს გამგეობამ კერძო შემოწირულ გ

ბით, თუ ვალის ადებით ქალაქის ბაღში ააგო ისეთი შენობა, რომლითაც თამაში — შეგველება ძლიან ვამსახურთ. ფოთის საზოგადოება ძალიან დაქმარა სამკითხველოს შენობის აგებაში, მოვეიდოთ საქმეს სელი და დაწმუნებული ვარ, ფოთელები ჩეკი დაგვეხმარება. დამარების იმედიც რომ არ გაქონით, ვალი აყილოთ და მით ავაშენოთ. ჩეკი სამკითხველოს შატარა ზალა, ელექტრო თეატრად, გაქიანვებული თუმცა ულველისფრით მოუხერხებელია ელექტრო-თეატრისთვის მაგრამ მაინც გვაძლევს თვეში 100 მანეთს, რამაც მოელი ვალი გაუსტუმრა სამკითხველოს და ეხლა კი შემთხვევლის მხრით მშვენიერ მდგრ მარებაში ჩაავენა, ეს ზალა სიპატარავისა და სხვა მიზეზების გამო ვერ აკმაყოფილებს ელექტრო თეატრის საქმეს. სამკითხველოს გამგების წერი გახლვარ და ამ საქმესთან ახლოსა ვარ და ვიცი და მოგახსენებოთ რომ ელექტრო თეატრის საქმე ეცლება ხელიდან გამგების. სხვა კერძო პირებმა უნდათ ჩაიგდონ ეს საქმე ხელში. ჩეკი დაუწეოთ ეს საქმე; ნუ გაუშევებოთ შემთხვევას ხელიდან.

შევითაც მოგასსენებ რომ წიგნის მაღაზიის გახსნისა დადი უმრავლესობა საზოგადო კრებისა წინააღმდეგია. უფრო მეტი მომხრე ჭევს წიგნების პატარა კიასკის აშენებას. თუ საზოგადო კრებამ მიიღო ჩემი აზრი და ელექტრო თეატრისთვის შენობის აგება გადასწუვიტა, იმ შემთხვევაში შენობის გეგმა იმხანად შევადგინოთ, რომ შიგ კიასკაც მოვათავსოთ რომელიმე პატარა, განვებ მისთვის გათვალისწინებულ ღთახვით.

წერებმა მ. ესაკიაშვილმა, მ. გვალიაშვილმა, ი. ჩახავაშვილმა, დ. ნიკოლაშვილმა და სხვამ მხარი დაუჭირა ამ საკითხს.

საზოგადო კრებამ ერთხმათ დაადგინა: ა). აგოს აგურის შენობა ელექტრო თეატრისთვის. ბ) დაევალოს გამგებისა გამოიანგარიშოს რას მოგვცემს წელიწადში ამნაირი შენობა კ. ი. შენობა, რომელიც დააქმაყოფილებს ფოთის მოთხოვნილებას თეატრისა და ილუსტრიონის შესახებ. და ამ შემთხვევლის თანახმათ ივარაუდოს ქუთაისის სათ. აზნაური ბანების ვალი თავის პროცენტით ( $6.75\%$ ). თუ რამდენ ვალს აიტანს თეატრი და ილუსტრიონი თავის შემთხვევლით. გ) ამ ვალის გათვალისწინებით შეადგინოს გამგების შლანი და ხარჯთ აღრიცხვა რაც შეიძლება მალე და მთახსენოს საზოგადო კრებას.

### გამგების წევრების არჩევა.

თავიდამსარებ მთახსენია კრებას, რომ გამგების არმა - წევრმა ქ-მა ა. ვ. მიქაელის ძალი და ა. ი. იაგულოვმა დაანებეს თავი გამგებისა. იაგულებული ვარ შეც თავი დავანებო. მე შირველადაც, როდესაც თავმჯდომარებ მირჩევდით, მოგახსენებ, რომ დრო არა მაქტებს და ვერ ვამეუმავებ ამ საზოგადოებაში, როგორც საჭიროება მოითხოვს. ამ საზოგადოებაში სამუშავარი და საკეთებელი ბევრია. ამას უნდა უფრო მოცდილი ადამიანი, რომელიც მომეტებულათ ამ საქმეზე ფიქრობდეს. მაშინ არ დაშივერეთ და მაინც ამირჩიეთ. ეხლა მე მიზნია უველა დარწმუნებული ხართ, რომ ჩემი არჩევა ვერაუერი ნაერთები გამოდგა. გამგების ასე მერთად მოდგაწეობას მე ჩემს თავს ვაძრალებ. შევწევიტოთ რამდენიმე წუთით სხდომა და ითათბირეთ, თუ ვინ უნდა ამოვარით თავმჯდომარეთ და წერებათ.

გამგების წევრმა ა. შვანიაშ სთხოვა კრებას გაენთავისუფლებინათ ისიც, რადგანაც ამ ასარეზზედ ვერაუელი სარგებლობა ვერ მოაქვს.

თავმჯდომარებ და სხვებმაც სთხოვეს ა. შვანიას დარჩენილიყო, რადგანაც მცხალე და დარჩენილი გამგებამ თეატრისთვის შენიბის აგებას მოკიდოს ხელი და იმ შემთხვევაში ა. შვანია ერთი უსაჭიროები წევრი იქნება გამგებას.

ინდოი შვანიამ მიიღო თხოვნა და დარჩა წევრათ. თავმჯდომარებ სხდომა შესწუვის 15 წევრით.

კრებას განახლებისას (წევრებმა) საზოგადოებამ ერთხმათ სთხოვა პ-ნ. ი. შეუნარგიას დარჩენილიყო თავმჯდომარეთ. ი. შეუნარგიამ კვლავ უარი განაცხადა კიდევ იმავე მოსაზრებით, რაც ზევით წამოაუენა. რამდენიმე კამათისა და თხოვნის შემდეგ ი. შეუნარგიამ განაცხადა სურვილი თავმჯდომარეთ დარჩენისას

შემდეგ კრებამ ერთხმათ ამილრჩებს გამგებას წევრებათ მიხეილ ატრიას ქე გვალია, ნიკოლაზ ერმლის ქე კვინიგაძე, ლავრენტი მაქსიმეს ქე ტელუში და გიორგი ალექსანდრეს ქე საბახტარიშვილი. კომისიის სარევიზიო წევრების არჩევა.

კრებამ ერთხმათ აირჩია კოსტანტინე მიხეილი ქე გიგინეიშვილი, პეტრე ქუთათელაძე და კანდიდატე კოდაა.

მდივანმა მოახსენა კრებას, რომ წევრების მე 6—შესლისა ძალით საზოგადო კრებამ უნდა განსაზღვროს, თუ სად იქმნეს შენახული თავისუფალი თანხა საზოგადოებისა. გამგებას თავისუფალი ფული თავიდანგვე აქვს შენახული ფოთის წვრილი კრედიტის აშხანაგობაში.

საზოგადო კრებამ დაადგინა თავისუფალი ფული საზოგადოებისა ინხებოდეს სახელდახმა ანგარიშზე ფოთის წვრილ კრედიტის ამხანაგობაში.

მიხა ესაკა. უნდა აღვიარო საზოგადოების წინაშე და მთგახსენოთ, რომ საანგარიშო წელს გამგებამ ვერ გამოიჩინა უნარი შრომისა. გამგების მცნონარება სხვათა შრომის გამოიხარა საზოგადოების წევრების რიცხვის შეტრიუმით. პირველ სანებში საზოგადოებას ჰყავდა 73 წევრი. გამგებამ ვერ მთახერხა ეს რიცხვი, რომ გაზირდა და ესეც გერ შეინარჩუნა; ვერ მთახერხა ამ პირებისაგან, რომელმაც სიამოვნებით განაცხადეს სურვილი წევრებისა და ჩაწერენ, აედო საწევრო ფული. ფულის შევრება თხოვულობს რამოდენიმევერ მიმართო კაცს და მერე დრო შეურჩიო. მე მაგალითად მხრილი ერთხელ მთხვევეს საწევრო ფული და ისიც შების წინა დღეებში.

მთხვენელი გარ გამგებისა, ნუ დაიზარებს და იმეცადინოს, რაც შეიძლება მეტი წევრი შესძინას საზოგადოებას. შეიძლება გამგების წევრს ბევრმა აწევნოს, უსამოვნება მიაუენოს ფულის მოთხოვნის დროს, მაგრამ ამან წევრთ გული არ უნდა აუგდოს საქმეზე და არ უნდა იუკადრისოს უსიამოვნების მიენება.

დაბეჭდეთ წერილები საზოგადოების მიმართ. დაუთქმით წერილში გადები ფულის შემოტანისა; მიეცით საშეალება ნაწილ ნაწილათ შემოიტანონ საწევრო ფული. ერთი საბოლოო მიაღეთ უფლებით ზოგების ზომები, რომ ჩვენი საზოგადოება გაიზარდოს, სირცხვილი არ არის ამ საზოგადოებას ორასი წევრი მანც არ ჰქვედეს ფოთში!

ლავრენტი თუდუში წევრების რიცხვის სიმცირეს ხსნის სხვათა შრომის საწევრო ფულის სიღილით. სამი მნიუთი მას ბევრათ მიაჩნია და შემთაჭვს აზრი შემცირდეს საწევრო ფული.

ამ საკითხში დიდი გამათა გამოიწვია კრებაზე.

ანდრი ლომავა საწერო ფულს ვ მანეთს დიდათ არ ნახულობს. გული თუ გულობს, ქადა თრივე სელით იქმევათ, ლაპარაკის ის. გისაც აქვს სურვილი ჩვენი საზოგადო ეროვნულ დაწესებულების წერობის, იმისათვის რა უნდა იქს შთელი წლის განმავლობაში ისიც ნაწილი ნაწილით, სამი მანეთის გადახთა. წინააღმდეგია საწერო ფულის შემცირებისა.


კრისტიან ხნის გამათის შემდეგ კრებაში ხმის უშეტესობით გადასწუვიტა აღიძნას შეაძგინდობა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებულ საზოგადოების წინაშე საწერო ფული სამი მანეთი შემცირებულ იქმნას თან მანეთამდე.

ხელს აწერენ თავმჯდომარე და განედოილების წევრები.

დედათან სწორია:

თავმჯდომარე ი. მეუნარგია

მდივანი კ. გამყრელიძე.



## განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს ორი საპრემიო თანხა: უგანათლებულები თავადის გრიგოლ დადიანისა და ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძის. თ-დ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან პრემიად მიეცემა 400 მანეთი ორ წელიწადში ერთხელ; ხოლო ნ. ბ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან ყოველ წლიდით 300 მანეთი.

I. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. თ-დ დადიანის სახელობის პრემიის მისაღებად წარმოდგენილი თხზულება უსათულ ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი; ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა ან რომელიმე ეპოპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენისა უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი,



ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათლესავე რთული სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლისამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიკური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია, ე) იურისპრუდენცია, ვ) მთოლლოვა.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავლენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლიად მთლის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

თხზულებას ქართული ეთნოგრაფის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერისი რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, წერილებიდგან, ფიზიკურ აგებულებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა -- გამოსარკვევად: 1) ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამამავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა, გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანკურსარიაში 1-ლ იანვრამდე 1914 წლისა....

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, შხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1910 წელზე აღრე გამოცემული.

საბეჭნიურო-პედაგოგიური და სალიტერატურული უნივერსიტეტი  
სამართლებრივი უნივერსიტეტი

# „განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის.

(წელიწადი გეგმვები)

1913 წელში უურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-  
თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. უურნალში იბეჭ-  
დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-  
ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან;  
აქვს თვიური უურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე  
უკეთ დასურათებული. უურნალში მასაწილებებს იდებენ უელა ჩეხი საუკეთესო მუ-  
ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და ბოეტები.

იანვრიდან უურნალში იქნება ცალკე განუოფილება, სადაც დაბეჭ-  
დება უოველგვარი-ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გზმავრცელებელი საზო-  
გადოებისა და მისი განუოფილებათ მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი უურნალისა არის მოთხოვნილი (4 ბ.) მხოლოდ  
სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს უურნალი  
დაეთმობათ წლიურად სამ მანეთად, საზღვარ გარეთ 6 მანეთი. ვინც  
წლიურ ფასს უურნალისას იანვრის ბოლომდის გადიხდის, საჩუქრად  
მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-  
დაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან.  
ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ  
ორ ყდგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, რომელ 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მოწერაში დროზე დაგვეთხოვ უურნალი.

მისამართი: თიფლის. დვორის გრუზინს გრუზინს გრუზინს  
გიმნაზია. ლ. გ. ბოცვაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის  
უოველ-თვიურ უურნალ

# „განთიაზონე“

(წელიწადი შირველი)

და უოველ-კვირეულ გაზეთ

# „შინაურ საქმეებზე“

(წელიწადი შეხეთე)

წლიური ფასი უურნალისა ცალკე 5 მან., გაზეთისა 4 მან., ორივე ერთად 8 მან.  
სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს თავისებულება წლიურად 7 მან.

დაგვეთხოვთ. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ საზოგადოებრივია.

# განცხადება

„პრეზული იაკობ გოგებაშვილის სახსოვნები“, რომლის ვამოცემა იყისრა ქურნალ „განათლების“ რედაქციამ, ვამოცა განსვენებულის იაკობის გარდაცვალების წლის თავს ე. ი. ივნისის 1-ს. წიგნი მოზრდილი ფორმატისაა, შეიცავს 320 გვერდზე მეტს, შიგ მოთავსებულია მრავალი სურათი, წერილები, ხიტები, სამკლოვიარო დეპეშები, ქურნალ გაზეთებში დაბეჭდილი მასალები და მრავალი სულ ახალი დღემდის დაუბეჭდავი მასალა. წიგნი ერისონის 75 კაბ.

წმინდა შემოსავალი, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, გადადებული იქნება სახალხო განათლების ფონდის გასაძლიერებლად, რომელიც განსვენებულმა იაკობმა დაარსა.

ქურნალ „განათლების“ რედაქციამ უკვე დამზადა მოზრდილი ზომის სურათები განსვენებულის იაკობ გოგებაშვილისა სკოლებში დასარიგებლად მოწაფეთათვის, სასწავლო წლის ბოლოს, განსვენებულის გარდაცვალების წლის თავზე. რედაქცია ხსენებულ სურათებს დაუკანებლივ გაუგზავნის მსურველთ, თთო სურათი ღირს 10 კ.

უკველი ღირსეული მამულიშვილის და ქმედის მოკეთის დაფასება ნიშანია ერის კულტურისა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ ჩვენი სახალხო სკოლები ჩვენი შედაგობის მაშამთავრის ხსენებას მრავიცედ ბრძექდავენ მოზარდ თაობის მეხსიერებაში. სია იმ სასწავლებლისა, რომელნც ხსენებულს სურათებს დაიკვეთენ, დასტამბული იქნება ქურნალ „განათლებაში“.

ჯერჯერობით, როგორც სჩანს, სურათების დაბარებაში უპირატესობა ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების ეტურიათ.